

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

რამაზაშვილი მარიამი

**„მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა -
გამოწვევები და პერსპექტივები**

(თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის
მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი ზაქარია ქიტიაშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

Faculty of psychology and Education Sciences

Master's program "Education Sciences"

Mariam Ramazashvili

Challenges and perspectives of master program "Teacher education"
(based on Tsu's master program "Teacher education")

The thesis is fulfilled for the purpose of getting
Master's academic degree in Education Sciences

Master's thesis advisor: Qitiashvili Zaqaria

Associate Professor of Faculty of Psychology and Education Sciences at TSU

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელი“ მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით ერთ-ერთ რელევანტურ კურსად ითვლება და მნიშვნელოვანია შეფასდეს მისი ეფექტიანობა შესაბამისად ამ პროგრამით დაინტერესებული მხარეების მიერ.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შესწავლა და პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება ლიტერატურის/ დოკუმენტაციის ანალიზი.

რაც შეეხება ამოცანებს, მათ შემდეგნაირად განვსაზღვრავთ:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება
- ემპირიული კვლევის ჩატარება
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

კვლევის საგანს წარმოადგენს თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა, კვლევის ობიექტი გახლავთ თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკა-განხორციელების პროცესი.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მანამდე არ ჩატარებულა მსგავსი სახის კვლევა არ ავლენს იგივეობას და არ იმეორებს სხვა კვლევის შედეგებს.

კვლევა ეხება თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებლის“ გამოწვევებისა და პერსპექტივების დადგენას, იმის გაანალიზებას თუ რა დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულ პროგრამას, როგორია ამ ყველაფერთან მიმართებით კურსდამთავრებულთა შეხედულებები, მათი რეფლექსიები, რა რჩევებს და რეკომენდაციებს გვთავაზობენ ისინი პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის, რას ფიქრობს ზემოთხსენებულთან დაკავშირებით თავად პროგრამის ხელმძღვანელი,

აქვს თუ არა პროგრამას იმის პოტენციალი, რომ გაუმკლავდეს XXI საუკუნის გამოწვევებს, ფეხი აუწყოს დღევანდელ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში წამოჭრილ მოთხოვნებს. სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით წინამდებარე ნაშრომში, იმისთვის, რომ საჭიროებისამებრ მოხდეს აღნიშნული პროგრამის დახვეწა, გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ტიპები, თვისებრივ კვლევაში მოვიაზრებთ ჩაღრმავებულ ინტერვიუს, ხოლო რაოდენობრივში გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტულ მაჩვენებელს. კვლევის შერჩევას ჰქონდა მიზნობრივი ხასიათი, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა თსუ-ს სამაგისტრო პროგრამა “მასწავლებელთა განათლების” კურსდამთავრებულები ბოლო 5 წლის განმავლობაში. წინამდებარე ნაშრომში გავაანალიზეთ მასწავლებლის პროფესიასთან და სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები, გავეცანით მათ სტრუქტურას და შინაარსს. შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად შევისწავლეთ და დავამუშავეთ აღნიშნული მიმართულებით უცხო ქვეყნებში არსებული სიტუაცია. აშშ-ის (სტენფორდი) გერმანიის და ესტონეთის მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული კვლევის შედეგები, რომლებიც მოცემულია დასკვნების და რეკომენდაციების სახით.

Ramazashvili Mariami

The study of master program “ Teacher education” challenges and perspectives

Annotation

Teacher profession is one of the most important in the world, it is necessary to have great attention from the state, discussions about teacher preparing have a long history, Today , the issue of teacher preparedness is the level of legislation, which emphasises its importance and prioritization.

The newsworthy of this is that, the master program “teacher education “of Ivane Javakhishvili Tbilisi State University is so valuable and demanding in the sphere of preparing teachers, that’s why it is important to evaluate its effectiveness from the point of view of stakeholders respectively.

The main purpose of the presented paper is to study some difficulties which occurred during the practical realization of this program, challenges and expectations, to formulate recommendations according to analysing of main literature and proper documentation.

There is not scientific research about this topic, so, this research results is the innovation itself .

The research subject is master program “ teacher education” and the research object is the practical realization of the mentioned program .

The tasks of the research are:

- ✓ study of secondary information;
- ✓ define the issue;
- ✓ elaborate methodology;
- ✓ empirical research and analysis the results of the research;
- ✓ Give the recommendations.

In this paper, we used the qualitative and quantitative research. In the qualitative research we mean deep interview.

Our research concerns the definition of master program “ teacher education” in order to reveal its positive and negative sides. we wonder to know the opinions of graduates , their reflection which will be guideline for us to formulate the ways of improvement and recommendations accordingly to the European standards.

In this presented paper we used two methods of research qualitative and quantitative. In qualitative research we mean deep interview and in quantitative research-we consider the indication of percentage of graduates responses. The selection is special purpose. 5 years graduates of this program.

Existing legislative and regulatory documentation has been analysed. We have acquired the documentation programme of 'teacher education' itself, In order to conduct comparative analysis, we have studied the situation of the teacher education master programs in foreign countries:

U.S.A. Germany and Estonia. The results of the survey are detailed in the form of the conclusions and recommendations.

სარჩევი

შესავალი	8
§ 1.თავი - საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება - საკითხის განსაზღვრისათვის.....	11
§1.1მასწავლებლის პროფესიის რაობა	12
§ 1.2 მასწავლებლის კვალიფიკაციის საკითხის განსაზღვრისთვის.....	19
§1.3. მასწავლებელთა პროფესია, სამართლებრივი რეგულაციები	21
§ 1.4 ბოლონის პროცესი- ურთიერთკავშირი საუნივერსიტეტო განათლებასთან	34
თავი II - მასწავლებლის მომზადება - ისტორიული კონტექსტი.....	42
§ 2.1 ზოგადი მიმოხილვა	42
§ 2.2 თსუ-ში არსებული ვითარება.....	45
§ 3 თავი სწავლებლის მომზადება - საერთაშორისო გამოცდილება	55
§ 3 1. სტენფორდის კვლევა	55
§ 3.2 მასწავლებელთა მომზადება ესტონეთში.....	59
§3.3 გერმანია- მასწავლებელთა მომზადება	63
კვლევითი ნაწილი.....	73
დასკვნები.....	99
რეკომენდაციები.....	104
გამოყენებული ლიტერატურა.....	105
დანართი	

შესავალი

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიაა, ის საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან, მასწავლებლის მომზადების საკითხის შესახებ მსჯელობა საუკუნეებს ითვლის. დღეს მასწავლებლის მომზადების საკითხი ჩვენს ქვეყანაში სამაგისტრო დონეზე დგას, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას და პრიორიტეტულობას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ როგორც ზემოთხსენებული პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში გაწერილი დებულებების, ისე მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული პუნქტების გაანალიზება, და, საჭიროების მიხედვით მათი პრაქტიკაში სათანადო რეალიზება. ეს საკმაოდ კომპლესური და შრომატევადი პროცესია, მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2009 წელს და უკვე ათი წელია საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს, რაც მის კურსდამთავრებულებების შედეგებით ამოიცნობა, თუმცა, ცხადია, არსებობს პრობლემური მხარეები, რომელთა გამოვლენასაც შევეცდებით კვლევის ფარგლებში.

მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს, რომ მათ თავიანთი თეორიული ცოდნის რეალიზება მოახდინონ სასკოლო პრაქტიკაში, ამისთვის ისინი სწავლების პროცესში წარგზავნილნი არიან სხვადასხვა სკოლებში დაკვირვებების განსახორციელებლად და გაკვეთილების ჩასატარებლად.

მოცემულ ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა კურსდამთავრებულების და ამ პროგრამის ხელმძღვანელის შეხედულებები, კურსის დადებითი და უარყოფითი მხარე, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი იქნება ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების სათანადოდ აღქმა და მისი გამოსწორება სამომავლოდ.

პრობლემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა მასწავლებელთა განათლება, პედაგოგების მომზადების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან კურსად ითვლება და მნიშვნელოვანია შეფასდეს მისი ეფექტიანობა ამ პროგრამით დაინტერესებული მხარეების თვალთახედვით, რამეთუ პროგრამას რეაკრედიტაცია უწევს 2019 წლის დეკემბერში, და, კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები ვფიქრობთ, რომ დაეხმარება პროგრამის მესვეურთ რათა დაისახონ და ჩამოყალიბონ მისი გაუმჯობესების გზები და ხედვები.

„ზოგადი განათლების შესახებ „საქართველოს კანონში მასწავლებლის განათლების ერთ-ერთ გზად განხილულია მასწავლებლის მომზადება სამაგისტრო დონეზე. ამ კანონის 21-ე მუხლის ბ ქვეპუნქტის თანახმად *„უნდა ჰქონდეთ განათლების მიმართულებით მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია“*.

მიგვაჩნია, რომ პროგრამის განახლებისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებაში მონაწილე დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის/ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მომზადება. სწორედ ამ მიზნით, ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩავწერეთ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ჩავატარეთ გამოკითხვა. **კვლევის სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ აქამდე არ ჩატარებულა მსგავსი სახის კვლევა და ამ მიმართულებით წარმოადგენს ინოვაციას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შესწავლა და პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები

- ლიტერატურის/ დოკუმენტაციის ანალიზი
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება

- ემპირიული კვლევის ჩატარება
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

კვლევის საგანი თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა

კვლევის ობიექტს წარმოადგენს თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკა-განხორციელების პროცესი.

კვლევის მეთოდი- რაოდენობრივი კვლევა, თვისებრივი კვლევა: ლიტერატურის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც ჩავატარეთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებულ პირებთან.

რეპოდენტთა შერჩევას ჰქონდა მიზნობრივი ხასიათი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიეთ თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის ბოლო ხუთი წლის კურსდამთავრებულები და ინტერვიუ ჩავატარეთ პროგრამის ხელმძღვანელთან.

კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის შედეგად დავადგენთ რა გამოწვევების წინაშე დგას თსუ-ის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა, რა დადებით და უარყოფით მხარეებს ხედავენ კურსდამთავრებულები პროგრამის რეალიზაციის პროცესში და რა რეკომენდაციებს სთავაზობენ ისინი პროგრამის მესვეურთ მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

§ 1.თავი - საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება - საკითხის განსაზღვრისათვის

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერი საკითხის სრულყოფილად შესასწავლად აუცილებელია გავარკვიოთ, თუ საიდან იღებს იგი სათავეს და რა თეორიულ სწავლებებზე იგი დაფუძნებული. ვთანხმდებით იმაზე, რომ მასწავლებლის პროფესიას ფესვები უხსოვარ დროში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღივცხვამდე აქვს, თუმცა, ცხადია, ამას განსხვავებული გამოხატულება ჰქონდა სხვადასხვა დროს. პედაგოგის პროფესიის განვითარება პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ წყობასთან, ანუ როგორი სახელმწიფოც გვაქვს, რა პოლიტიკის მატარებელიც არის ის, იმგვარად ხორცილდება ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკა და, ამგვარად ვითარდება და მოღვაწეობს მისი მთავარი ბერკეტი- პედაგოგი. რომელიც თავის მხრივ ფებს უნდა უწყობდეს იმ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რასაც სთავაზობს მას ევროპული სტანდარტები, რათა მან ჯეროვნად მოახერხოს როგორც პიროვნული, პროფესიული განვითარება, ისე XXI საუკუნის სტანდარტების შესაბამისი მოსწავლის აღზრდა- განათლება.

მასწავლებელთა განათლებისა და მათი მომზადების საკითხების ისტორიას ქვემოთ შევეხებით ვრცლად, მანამდე ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ იმას, რომ ჩვენი საკვლევის თემის დღის წესრიგში დაყენება განაპირობა სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო დონეზე გაწერილმა პუნქტმა მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო დონეზე გადაწყვეტის თაობაზე. ის ფაქტი, რომ, მასწავლებლის პროფესიისთვის მომზადება სამაგისტრო დონეზე ავიდა, ცხადია, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას როგორც ქვეყნის ისე საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენი საკვლევი თემა გახლავთ მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამის გამოწვევებისა და პერსპექტივების განხილვა თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა "მასწავლებელთა განათლების" მაგალითზე. წინამდებარე ქვეთავში კი გვექნება საუბარი უშაულოდ მასწავლებლის პროფესიის წარმოშობასა და მის მახასიათებლებზე.

§1.1 მასწავლებლის პროფესიის რაობა

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა განათლების სისტემის ძირეული რეფორმების საკითხი, რაც უკვე დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, განათლების სამინისტროს მიერ მომზადდა და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა უმაღლესი და ზოგადი განათლების კანონები. რამდენიმე წლის სერიოზული მუშაობის შედეგად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა პირველი ეროვნული გამოცდები, რამაც შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული იმედები ჩაუსახა ქართულ საზოგადოებას, ამასთან განათლების სამინისტროს მიერ შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივ დისციპლინათა სასწავლო გეგმები. (ქ. ჭკუასელი „საზრისი“ „პედაგოგის პროფესიული ხელოვნების ასპექტები“ 2005)

ცხადია, არაფერს ვიტყვით ახალს თუ აღვნიშნავთ, რომ როგორც არ უნდა იმუშაოს განათლების სამინისტრომ, რა რიგის და ხასიათის დოკუმენტებიც არ უნდა მიიღოს რეფორმა ვერ იქნება საკმარისად წარმატებული, თუ არ მომზადდა შესაბამისი დონის და ახალი მოთხოვნების აღმსრულებელი მასწავლებელი.

ჩნდება კითხვა : - მაინც რა არის მასწავლებლობა? რას მოიაზრებს თავის თავში ტერმინი - მასწავლებელი? როგორც ჩვენთვის ცნობილია, მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარმოიშვა ჯერ კიდევ შორეულ ეპოქაში პირველყოფილ - თემურ საზოგადოებაში, მაშინ როდესაც თითო-ორი სიბრძნით გამორჩეული ადამიანი იყო ამ ცოდნით აღჭურვილი და შეეძლოთ ახალგაზრდებისთვის გადაეცათ ის აუცილებელი დებულებები, რაც საჭირო იყო იმ დროის საზოგადოებისთვის. საუკუნეების განმავლობაში მასწავლებელი განასახიერებდა საზოგადოებას, ცოდნას, კულტურას, პატიოსნებას. თუმცა, მას შემდეგ რაც ამ პროფესიამ მასობრივი ხასიათი შეიძინა, სამწუხაროდ უკან დაიწია მისმა პრესტიჟულობამ, თუმცა, ცხადია, რომ ყველა შეგნებულ ადამიანს კარგად ესმის ამ პროფესიის სირთულე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისთვის.

მასწავლებლის განმარტებას ამგვარად ვხვდებით ლექსიკონში- „პიროვნება, რომელიც სწავლის პროცესში დახმარებას უწევს, რჩევებს აძლევს მოსწავლეს, ხშირად საშუალო სკოლებში. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებისთვის იხმარება სიტყვა მაგ. პროფესორი, ლექტორი“ [განმარტებითი ლექსიკონი 2016წ]

თანამედროვე გაგებით, ადამიანი, რომელსაც მიზარებული ჰყავს აღსაზრდელი, შეგირდი და უნდა აღზარდოს, ამ სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებით, რაც თავისთავად მოაზრებს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. კითხვაზე თუ რა არის საჭირო იმისთვის რომ მასწავლებელმა ეს შეძლოს, პასუხი არც თუ ისე მარტივია, რადგან სრულფასოვანი ბავშვის აღზრდაში მხოლოდ საგნობრივი ცოდნის რესურსებით უზრუნველყოფა საკმარისი როდია. მას მართებს ასევე მონათესავე დისციპლინების ცოდნა პედაგოგიკის თეორიის, ისტორიის, საგნის მეთოდისა და ასაკობრივი ფსიქოლოგიის ცოდნა .

საგულისხმოა, ასევე ცნობილი კლასიკოსის დისტერვეგისა და სხვა ცნობილი პედაგოგების აზრი ამ საკითხთან მიმართებაში, რომლებიც მიუთითებენ, რომ პედაგოგს მართებს არ შემოიფარგლოს მხოლოდ პედაგოგიკისა და მეთოდის რეკომენდაციებით და თავად ეძებდეს სწავლებისა და აღზრდის შემდგომ დახვეწა-გაუმჯობესების გზებს.

მასწავლებლის პროფესიაზე საუბრისას, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ანტიკური ეპოქის გამოჩნდილი მოღვაწე სოკრატე და მისი მოსაზრებები მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით მას მიაჩნია, რომ მასწავლებელს მართებს დიდი პროფესიონალიზმი, იმისთვის, რომ შექმნას სათანადო პირობები მოსწავლეთა ნიჭისა და შესაძლებლობების გამოსავლენად. იგი მასწავლებლის მიერ მოსწავლის ინტელექტუალური ძალების ამოქმედებასა და განვითარებას „ მეორე დაბადებას“ უწოდებს. ვფიქრობ, რომ მისი შეხედულება ნამდვილად ესადაგება თანამედროვეობას და სულაც არ გადადის პათეთიკაში, რადგან მას მიაჩნდა, რომ როგორც ათენა იშვა ზევსის თავიდან ასევე უნდა შესწევდეს მასწავლებელს უნარი მოსწავლის თავიდან შვას ჭეშმარიტება. დღევანდებლობასთან თუ გავაველებთ პარალელს, მასწავლებელს გაცილებით მეტი ძალისხმევის გაღება უწევს რათა აღზარდოს XXI საუკუნის მოთხოვნების შესაფერისი მოზარდი, რასაც მოახერხებს პირველ რიგში, წარსული

გამოცდილების გაზიარებით და შემდგომ ამ უკანასკნელის სინთეზით თანადროულობასთან, რაც პროფესიონალიზმის ხელში, ვფიქრობთ, რომ ნამდვილად გამოიღებს შედეგს.

გამოჩენილი მოაზროვნეების გვერდით უთუოდ აღსანიშნავია, პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლის იან ამონ კომენსკის შეხედულება, იგი სწავლებისა და აღზრდის ცენტრალურ ფიგურად თვლის მასწავლებელს, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ თვისებით, რომელთა დანერგვასაც გეგმავს მოსწავლეებში, კომენსკის აზრით, პირადი მაგალითი წარმოადგენს უპირობო აუცილებლობას, რადგან *„არაფერი არაა უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ უკანმიმდევარი წინმიმავლის კვალს მიჰყვებოდნენ და რომ მოწაფენი აღიზარდნენ... მასწავლებლის მაგალითზე“*.

მასწავლებელი საყოველთაო პატივისცემით უნდა სარგებლობდეს. სახელმწიფო ყოველმხრივ და ყველა საშუალებით უნდა ცდილობდეს მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებასა და დაცვას, რადგან *„ისინი დაყენებული არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს“*. (მასწავლებლობა, პროფესია თუ მოწოდება, ირინე ხატიაშვილი 2014წ)

მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ფრანგი განმანათლებლის ჯან-ჟაკ რუსოს მოსაზრება, რომელიც მასწავლებლობის პროფესიას ყველაზე რთულს და ხანგრძლივს უწოდებს, რუსოს მოსაზრებებს საკმაოდ ღრმა ფილოსოფიური დატვირთვა აქვს. მას მიაჩნდა, რომ მასწავლებელი აღსაზრდელის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება არ დაკარგავს აქტუალობას დროთა განმავლობაში და მისი სიღრმისეულად გაცნობიერება და პრაქტიკაში სათანადოდ განხორციელება ნებისმიერი მასწავლებლის ვალდებულება გახდება.

მსოფლიო განმანათლებლების და მოაზროვნეების მოსაზრებების გვერდით ცხადია, რომ გვერდს ვერ ავუვლით ჩვენს საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას შეხედულებებს პედაგოგის პროფესიასთან მიმართებით. მას მიაჩნდა, რომ მასწავლებელს, რომელიც შედის კლასში, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მას საზოგადოებრივი ფუნქცია აკისრია და სოციალური დანიშნულება აქვს. საგნის

სწავლებისას მან არ უნდა დაივიწყოს ისიც, რომ მან მოსწავლე უნდა აღზარდოს და არ ასწავლოს მხოლოდ საგანი, უნდა იზრუნოს მის სულიერ მდგომარეობაზე. „სული არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შეიღებოს გადასცეს. სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა დგას“.

ი. გოგებაშვილის მიხედვით, მასწავლებელს უშუალოდ სკოლაში მოღვაწეობის გარდა დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებაც აქვს. ის ქვეყნის სოციალური და ეკონომიური განვითარების შუაგულში ტრიალებს. ის დიდ ზეგავლენას ახდენს ხალხის კულტურულ განვითარებაზე. დიდი ქართველი პედაგოგის აზრით, მასწავლებელი უნდა იყოს როგორც თავისი მოწაფეების, ისე მთელი ხალხის სანიმუშო მაგალითი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს ის თავისი მაღალი დანიშნულების აღსრულებას.

რუს კლასიკოსს ლევ ტოლსტოის შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული მასწავლებლის მიმართ მოთხოვნები იგი თვლიდა, რომ თუ მასწავლებელს მხოლოდ საქმის სიყვარული აქვს, იგი კარგი მასწავლებელი იქნება. თუ მას აქვს მხოლოდ მოსწავლისადმი სიყვარული, როგორც დედას და მამას, იგი იმ მასწავლებელზე უკეთესი იქნება, რომელმაც ყველა წიგნი წაიკითხა, მაგრამ მას, რომელსაც მოსწავლეების სიყვარული გააჩნია. სრულყოფილი მასწავლებელია, რომელიც თავის თავში აერთიანებს საქმისა და მოსწავლეებისადმი სიყვარულს. (მასწავლებლობა, პროფესია თუ მოწოდება, ირინე ხატიაშვილი 2014წ)

XXI საუკუნეში, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ პროფესიონალ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ყველა ის თვისება, რომელიც მას დაეხმარება აღმზრდელის ფუნქციებიც შეითავსოს.

პედაგოგის პროფესიის მნიშვნელობაზე ნიშანდობლივ ხაზგასმას აკეთებს პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი შ .ჩხარტიშვილი. რომელიც მიიჩნევს, რომ „აღზრდის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ უპირატესობაზე აგებულ ავტორიტეტს აქვს. მასწავლებელი მოსწავლეზე აღმზრდელობით ზემოქმედებას ყველაზე მეტად მორალური სიმტკიცითა და სრულყოფილებით ახდენს. იგი თვითონ უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი პრინციპებით აღჭურვილი პიროვნება, რომ სხვების (ამ შემთხვევაში მოსწავლეების) ასეთად ქცევა

შეძლოს. ყოველგვარი სააღმზრდელო ღონისძიება კარგავს ძალას იმ მასწავლებლის ხელში, რომელიც მოსწავლეთათვის მორალურ საფუძველზე აღიარებულ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი, რაც მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს, მოეპოვება, ესაა ავტორიტეტი, რომელსაც იგი მუდამ თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს. ”

პედაგოგი, კლასიკოსი, დემოკრატი, ჰუმანისტი და განმანათლებელი კონსტანტინე უშინსკი გამოდიოდა რა მასწავლებლის დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებიდან, მასწავლებლისთვის აუცილებლად თვლიდა ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა ხალხის, ერის, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა, ბავშვისა და პედაგოგიური პროფესიის სიყვარული („ჩაწვდეს მოსწავლის მოთხოვნილებებს, ჩაიხედოს მის სულში“), ფართო და მრავალმხრივი საფუძვლიანი განათლება, მისწრაფება თავისი ცოდნა გადასცეს სხვას. გამოჩენილი პედაგოგი თვლიდა, რომ მასწავლებელი უნდა ფლობდეს პედაგოგიურ ტაქტს, რადგან უამისოდ იგი ვერ იქნება კარგი აღმზრდელი, თუნდაც კარგად ჰქონდეს შესწავლილი პედაგოგიკა. მას მიაჩნდა, რომ მასწავლებელი თვითონ უნდა იყოს დაჯილდოებული ყველა იმ თვისებით, რომელთა აღზრდასაც იგი ითვალისწინებს მოსწავლეებში. პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს ადამიანური თვისებებით აღჭურვილი, რათა მან შეძლოს „ადამიანში ადამიანის აღზრდა.“ (მასწავლებლობა, პროფესია თუ მოწოდება, ირინე ხატიაშვილი)

მასწავლებლის პროფესიას ვერ წარმოვიდგენთ ვერასდროს დიდაქტიკის ძირითადი დებულებების გარეშე, რადგან ეს სახელმძღვანელო იყო არის და იქნება ჩვენი გზამკვლევი პედაგოგიურ ცხოვრების გზაზე, ამას ადასტურებს არა მხოლოდ წარსული გამოცდილება და ცნობილი ფილოსოფოსების, პედაგოგების თუ ცნობილი განმანათლებლების, მოაზროვნეების ხედვები და მითითებები, არამედ თანამედროვე სწავლის პრინციპებიც სწორედ რომ დიდაქტიკას ეყრდნობა და, XXI საუკუნის მოსწავლის აღზრდისთვის აუცილებელი მოთხოვნების ამოსავალი წერტილიც დიდაქტიკური დებულებებია.

კლასიკურ დიდაქტიკაზე დაყრდნობით გამოვეყოფთ პედაგოგის პროფესიული სახის სამ ასპექტს და მათ ერთიანობაში მოვიაზრებთ:

- საგნის ცოდნა

- მეთოდური მომზადება
- პიროვნული თვისებები

ცხადია, გაცნობიერებული გვაქვს, რომ საგნის ცოდნა არ ნიშნავს მხოლოდ იმ საგნის, დისციპლინური მეცნიერების საფუძვლიან და შეგნებულ ცოდნას, რომელსაც იგი ასწავლის, საგნის კარგად ცოდნა პირველ რიგში ნიშნავს არა მხოლოდ იმ კონკრეტული საგნის ცოდნას, არამედ მასთან მომიჯნავე დისციპლინების ფლობასაც. საშუალო სკოლის მასწავლებელს მოვიაზრებთ როგორც მკვლევარს, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა ფლობდეს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს და, ამავე დროს, მასწავლებელს ევალდებულება სისტემატურად გაიმდიდროს საკუთარი ცოდნა, გაეცნოს ახალ ლიტერატურას და მოახდინოს საკუთარი ცოდნის სათანადო მოდიფიცირება თანადროულობასთან. (პედაგოგის პროფესიული ხელოვნების ასპექტები. ქეთევან ჭკუასელი 2005 გვ 94.)

მასწავლებლის მიერ პედაგოგიურ მეცნიერებათა ციკლის დისციპლინების ცოდნას შეიძლება დავარქვათ მეთოდური მომზადება. ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სრულფასოვანი მასწავლებლის მომზადების თვალსაზრისით. მასწავლებლის წინაშე სწავლების პროცესში თავს იჩენს მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისთვის ცნობილია ის ხერხები და საშუალებები, თანამედროვე ტექნოლოგიები და პედაგოგიური სტრატეგიები, რომელთა გამოყენება სწავლის მაღალ მაჩვენებელს იძლევა.

ცალსახაა, რომ პედაგოგიურ მეცნიერებათა ციკლის საფუძვლიანი ცოდნის მეშვეობით მასწავლებელი თავის მოღვაწეობას შეგნებულად და ხარისხიანად წარმართავს.

როდესაც ვსაუბრობთ მასწავლებლის კომპეტენტურობაზე, პირველ რიგში უნდა გავიაზროთ თუ რას გულისხმობს ეს ტერმინი, აქ იგულისხმება უპირველეს ყოვლისა ცოდნა საგანში, რაც აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიონალიზმის გასაზომად, მეორე ასპექტად შეიძლება განვიხილოთ მეთოდური მომზადება და მესამე პუნქტად გაგვაქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებები. საგნის ცოდნაში ვგულისხმობთ:

- ზოგადმეცნიერულ მსოფლმხედველობას;

- საგნობრივ- მეცნიერულ ცოდნას;
- პროფესიულ მობილურობას (საბაზო ცოდნის თანადროულობასთან მოდიფიცირებას);
- პროფესიულ განვითარებას.

მეთოდურ მომზადებაში პირველ რიგში მოვიაზრებთ პედაგოგიური დისციპლინების ცოდნას, საგნის დიდაქტიკას, სამართლებრივ ნორმებს, რაშიც თავის მხრივ შედის პედაგოგიკის უფლება- მოვალეობა და მოსწავლის უფლება-მოვალეობა, მეორეს მხრივ კი უნარებს იმის განსასაზღვრად თუ როგორ მოახდენს მასზე დაკისრებული სხვადასხვა მოვალეობების რეალიზებას, როგორებიცაა:

- სწავლების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზაცია მოსწავლის ასაკის შესაბამისად;
- სწავლების პროცესში დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნა;
- მოსწავლის ინტერესების გათვალისწინება;
- მოსწავლესთან თანამშრომლობა ;
- მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა;
- მოსწავლის მოტივირება, მასალის გადმოცემა ;

(პედაგოგიკს პროფესიული ხელოვნების ასპექტები. ქ. ჭკუასელი 2005 გვ 96)

რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს აქ იგულისხმება: „ზნეობრივ ეთიკური- სახე; საკუთარი კულტურის, ტრადიციების სოციალური და მორალური ფასეულობების პატივისცემა. პიროვნული ღირსების თვითშეგრძნება, მოსწავლის პიროვნების პატივისცემა, საკუთარი პროფესიისა და მოსწავლის სიყვარული , თვითდაკვირვება და თვით-შეფასება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ. პასუხისმგებლობის გრძნობა დისციპლინირებულობა ორგანიზებულობა კოლეგიალურობა საკუთარი სუბიექტურობის სტერეოტიპული აზროვნების შეზღუდვების აღიარება -შემწყნარებლობა ახალი იდეების და გამოცდილების მიღება და გაზიარება, ზოგადი ერუდიაცია.” [პედაგოგიკს პროფესიული ხელოვნების ასპექტები. ქ. ჭკუასელი 2005].

ცხადია, რომ აღნიშნული მოდელი არ წარმოადგენს იდეალურ ვარიანტს და და საჭიროებს გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, რაც უნდა მოხდეს როგორც საზოგადოების ისე განათლების სამინისტროს დაკვეთის შესაბამისად.

ზემოთხსენებული კრიტერიუმებით მასწავლებლის დახასიათება წარმოადგენს იმ აუცილებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რომლითაც უნდა იყოს აღჭურვილი XXI საუკუნის სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებელი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში იცვლება მოთხოვნები და სტანდარტები თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, ფუნდამენტური მახასიათებლები მაინც უცვლელი რჩება, და, ჩემი აზრით, ამ ყველაფერს ყავლი არასდროს გაუვა, მთავრი არის ის თუ რამდენად მოახერხებს მასწავლებელი ფეხი აუწყოს იმ გამოწვევებს, რომლებიც მუდმივად დგას მის წინაშე სწრაფად ცვალებად გარემოში.

§ 1.2 მასწავლებლის კვალიფიკაციის საკითხის განსაზღვრისთვის

მასწავლებლის პროფესია ყველა სხვა პროფესიათა შორის გამოირჩევა თავისი სირთულით, მასწავლებელი სპეციალისტია, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა სხვადასხვა ტიპის სკოლებში. პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში ცნობილია მასწავლებელთა პროფესიის მრავალი საინტერესო და საყურადღებო შეფასება. მაგალითად ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს, დიდ ქართველ განმანათლებელს და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს მასწავლებელი მიაჩნდა „ერთ-ერთ დედაბოძად ქვეყნის წარმატებისთვის“, რადგან მასწავლებელს ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მისია აკისრია და ბუნებრივია რომ მას სხვა პროფესიის ადამიანებისგან განსხვავებით განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება.

უდავოა, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს იმ საგნის საფუძვლიანი ცოდნა, რომელსაც ასწავლის და იგი დაუფლებული უნდა იყოს საგნის სწავლების მეთოდიკას, ასევე აუცილებელია რომ ის სათანადოდ იყოს დაუფლებული პედაგოგიკის მეცნიერების მთელ სისტემებსა და მონათესავე მეცნიერებას (ზოგადი ფსიქოლოგია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, ასაკობრივი ფიზიოლოგია, სასკოლო ჰიგიენა და სხვა.) ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პედაგოგიკის თეორიისა და მისი

მონათესავე მეცნიერებების ცოდნა ერთნაირად სავალდებულოა ყველა საგნის სპეციალისტ-მასწავლებლისთვის, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ცნობილი კლასიკოსის მითითება ” „*პრაქტიკა უთეორიოდ იგივეა რაც ექიმბაშობა მედიცინაში*“ (კონსტანტინე უშინსკი) .

პედაგოგიკის ისტორია სხვადასხვა ეპოქის აღზრდის განათლებისა და სწავლების თეორიასა და პრაქტიკას გულისხმობს. ამ საგნის თეორია აუცილებელია იმიტომ, რომ მასწავლებელმა შეძლოს და წარსული გამოცდილების შესწავლითა და მისი გააზრებით სრულყოს თავისი პედაგოგიური განათლება, სწორად შეაფასოს ახლანდელი და შესაბამისად განჭვრიტოს მომავალი.

აუცილებელია ასევე კონკრეტული საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნა. „სასწავლო საგნის სწავლების მეთოდიკა“ წარმოადგენს პედაგოგიკის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანთა სწავლების პრინციპებს, მის შინაარსს, ორგანიზაციასა და მეთოდებს, ასევე მასთან კავშირში იმ აღმზრდელობით მხარეებს, რომლებიც ამ საგნების სწავლების პროცესში ხორციელდება.

ჩვენი მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ პედაგოგიურ მეცნიერებათა ცოდნა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფილს და ამის მიხედვით ფასდება მისი პროფესიული დონე. იმისთვის რომ პედაგოგიური საქმიანობა იყოს წარმატებული სკოლაში მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიური თვისებები, პედაგოგიური მიდრეკილება, ნიჭი და უნარი.

სასწავლო კურსების შემადგენელი ბლოკების კონფიგურაციის შემუშავება უნდა ხდებოდეს თვით პედაგოგიურ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის მიერ. „პედაგოგიკა“ „პედაგოგიკის ისტორია“ და ასე შემდეგ.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დისციპლინების სწავლის გარეშე ვერ მოვახერხებთ ვიყოთ დარწმუნებულნი პედაგოგის თეორიული ცოდნის სიმყარეში, თუმცა ცხადია, რომ ეს დისციპლინები თანხვედრაში უნდა მოდიოდეს დღევანდელ სტარდარტებთან და უნდა იზიარებდეს იმ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რომლის წინაშეც დგას დღევანდელი სასკოლო განათლება.

§1.3. მასწავლებელთა პროფესია, სამართლებრივი რეგულაციები

ამ ქვეთავში მომივიხილავთ იმ კანონებს, სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მასწავლებლის პროფესიასთან. განსაკუთრებით გავმახვილდებით სამაგისტრო საფეხურზე მყოფ მომავალი მასწავლებლისთვის განსაზღვრულ დებულებებზე, რომლებიც გაწერილია სამართლებრივ დოკუმენტებში. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ბოლო პერიოდში მასწავლებლობის პროფესიასთან დაკავშირებით ბევრი სიახლე დაინერგა, შეიქმნა ნორმატიული ბაზა, რომელსაც საფუძვლად დაედო მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია. შემუშავდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხიანი შემოწმების მექანიზმი. აკრედიტირდა მასწავლებლის მომზადების პროგრამა.

დარგის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ:

- ✓ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
- ✓ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
- ✓ განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია
- ✓ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
- ✓ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
- ✓ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა
- ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- ✓ ბოლონიის დეკლარაცია
- ✓ ინჩეონის დეკლარაცია.

მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა სტრატეგიული ამოცანისა და კონცეფციის ერთიან სისტემაში მოქცევას, ეს უკანასკნელი მასწავლებელს სთავაზობს დეტალურად გაწერილ კარიერულ

საფეხურებს იმას თუ როგორ შეიძლება კონკრეტული ეტაპის გავლა და თავის მხრივ , წარმოადგენს მასწავლებლობისთვის დამატებით მოტივაციას საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის და ასევე ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაზრდას” *არსებობს კარიერა ხოლო ღირსეულები ირჩევენ მასწავლებლის კარიერას*” (ჟურნალი მასწავლებელი N1 2010)

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება დამტკიცდა 2009 წლის 10 დეკემბერს (იმავე წელს მოხდა სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლების“ აკრედიტაცია) სერტიფიცირების მიზანს წარმოადგენდა პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობაში დადგენა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მასწავლებლის პროფესია რეგულირებადი გახდა, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მასწავლებლობის მსურველს ევალდებულება დაადასტუროს საგნის კომპეტენცია გამოცდის ჩაბარებით და შემდგომ უკვე გაიაროს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა იმ შემთხვევაში თუ არ არის მოქმედი მასწავლებელი, ხოლო ამ უკანაჟსნელის პოზიციაში მყოფთათვის კი საგნის კომპეტენციის წარმატებით გავლის შემდეგ საჭიროა პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება, ან სამაგისტრო დონეზე მასწავლებლობის სტატუსის მიღება.

საკვლევი თემის ფარგლებში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ კანონში უმაღლესი განათლების შესახებ მასწავლებლობის მინიჭებასთან დაკავშირებული განმარტება :“ო 2) განათლების მაგისტრი - იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც პირს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დადგენილი კრედიტების დაგროვების შედეგად ენიჭება.(კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2014წ.)

გარდა ამისა, კანონში ზოგადი განათლების შესახებ მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ექნება მასწავლებლის მიმართულებით დამთავრებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების სწავლების მითითებას და ამავე დროს მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დადასტურებული თავისი პროფესიული

საგნობრივი კომპეტენცია რომელიც არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობის მიერ. (კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 27 3 მასწავლებელთა განათლება)

მასწავლებლის მომზადების კუთხით, განვიხილავთ პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს, რომლის პრინციპებსა და დებულებებზე დაყრდნობით ხდება სწორედ სამაგისტრო დონეზე მომავალი პედაგოგისთვის ცოდნა- უნარებით შეიარაღება.

მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის განსაზღვრის მთავარ დოკუმენტს. მას გააჩნია მკაფიოდ გამოხატული სამი ნაწილი, სადაც მოვიაზრებთ, პირველ რიგში პროფესიულ მახასიათებელს, რაც გულისხმობს საგნობრივი კომპეტენციით პედაგოგის უზრუნველყოფას, მეორე ფაქტორად განსაზღვრული გვაქვს მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვა, მესამე ფაქტორი კი არის პროფესიული განვითარება. პროფესიულ მახასიათებლებლად მოიაზრებენ იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ერთობლიობას რომლებითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი მასწავლებელი. რაც შეეხება სასწავლო პროცესის მართვას, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმი რამდენად კარგად მოახერხებს ის სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და, ამავე დროს, გაამრავალფეროვნოს მრავალმხრივი მეთოდებისა და შეფასების სისტემის გამოყენებით. მათ მართებთ სათანადო კოლეგიალური თანამშრომლობა ჰქონდეთ კოლეგებთან და ეცადონ არ დაზოგონ ძალისხმევა, რათა თავიანთი ცოდნა უნარი და ღირებულებები მოარგონ მოსწავლის საჭიროებებს. და, თავის მხრივ ამით მოახდინონ თავიანთი პროფესიული განვითარება სათანადო თვითრეფლექსიის გზით.

ჩვენი კვლევის სამიზნე ობიექტის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი, რომელსაც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში შემდეგი მახასიათებლები უნდა გააჩნდეს. *„მასწავლებელი ფლობს შესაბამის პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს და შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში“ [მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი].*

მასწავლებელი ვალდებულია გააცნობიეროს როგორც სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც მას წარედგინება საკანონმდებლო დონეზე, ასევე ეთიკური ნორმები, რომელთა სათანადო გამოყენება აუცილებელია სასწავლო პროცესში სასწავლო რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

უფროსმა მასწავლებელმა უნდა შეძლოს და გააცნობიეროს მისი მოვალეობა პირველ რიგში საკუთარი თავის, სახელმწიფოსა და მოსწავლის წინაშე. ის გარემოება, რომ თითოეული მოსწავლე წარმოადგენს უნიკალურობას, ინდივიდს და მათთან მუშაობისას მართებს დიფერენცირებული მიდგომის, სტრატეგიების გამოყენება, ეს უნდა იყოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი ზოგადი მახასიათებლებიდან ასევე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესოს მიღწევები და სრულყოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა. ცალსახად მნიშვნელოვანია სათანადო კომუნიკაციის უნარი, რაც მოიაზრებს კოლეგებთან ურთიერთობას, თანამშრომლობას, პრობლემების ერთობლივად გადაჭრას პროფესიული განვითარებისთვის.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის თანახმად, უფროსი მასწავლებელი ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს და იყენებდეს სწავლების კონკრეტულ მეთოდს და ორგანიზების ფორმასთან დაავშირებულ ქცევის წესებს, როდესაც ვსაუბრობთ მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებით ცოდნით, უნარებით აღჭურვაზე, უნდა დავაზუსტოთ და გავაანალიზოთ, რომ ჩვენს საქმე გვაქვს XXI საუკუნის მოსწავლეებთან, რომლებიც წინა საუკუნისგან გასხვავებით ახალ სირთულეებს წარმოშობენ სწავლების თვალსაზრისით, რაშიც იგულისხმება როგორც მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ისე გარემო პირობების ზემოქმედობითობა მათ ქცევაზე, რაც არ არის ნამდვილად ადვილი სამართავი და ამ მხრივ მასწავლებელი საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დგას, მას მოეთხოვება გაუმკლავდეს მის წინაშე წარმოჭრილ პრობლემებს და ამავე დროს მოახდინოს საკლასო ოთახში არსებული კონფლიქტების პრენევიცია და უკვე არსებული, შესაძლო დამაბულობის, პროფესიონალურად, მოსწავლის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით მოგვარება და სიტუაციის დასტაბილურება, სწორედ ამ უკანასკნელის მისაღწევად მას

მართებს რომ იმოქმედოს არა მხოლოდ საკუთარი ძალებით არამედ სათანადო თანამშრომლობით, კოლეგიალური ურთიერთობის დამყარებით როგორც თანამშრომლებთან ისე მოსწავლის მშობლებთან, მათ მეურვესთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან.

როდესაც ვსაუბრობთ მასწავლებლის მომზადებაზე, გააზრებული გვაქვს ის ფაქტი, რომ მას ახარია XXI საუკუნის მოსწავლის აღზრდა-განათლება, რომლისთვისაც ინფორმაციის მოძიება ამ ეპოქაში, უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს და აი, სწორედ აქ იჩენს თავს მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმი, რომ მათ ადეკვატური და შესაბამისი დახმარება აღმოუჩინოს სწორი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მათი როგორც ასაკობრივი, ისე ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, გადასცეს ის ცოდნა, რაც მას საფრთხეს არ შეუქმნის და პირიქით დადებით გავლენას მოახდეს მის განვითარებაზე, ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი მოსწავლეს განუვითაროს იმგვარი უნარ-ჩვევები, რაც ჩამოაყალიბებთ, მათ, როგორც დამოუკიდებელ შემსწავლელებს.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი ნათლად წარმოგვიდგენს იმ აუცილებელ კომპონენტებს, რომელთა ცოდნაც და დაუფლებაც ევალდებულებათ უფროს მასწავლებლებს, იმისთვის რომ სათანადო-სააღზრდელო-საგანმანათლებლო დახმარება აღმოუჩინონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რომელთანაც მუშაობა უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. ასევე დიდი სიფრთხილით მოსაკიდებელი საკითხია სასწავლო პროცესის შეფასება, რადგან ეს საკითხი ყოველთვის დიდ დაინტერესებას იწვევს მოსწავლეებში. ისინი ყოველთვის დიდი გულისყურით ელოდებიან მასწავლებლის “ვერდიქტს”, ამ დროს მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა იყოს სამართლიანი, ობიექტური, რასაც მოახერხებს შეფასების რუბრიკების, სქემების და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გამოყენებით სასკოლო სივრცეში.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიმოხილვაზე საუბრისას, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გავიზიარო მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი, (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, შენიშვნები და რეკომენდაციები ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი,

მარინე გოგნელაშვილი, 2014) რომელიც წარმოადგენს 2014 წელს მიღებული სტანდარტის კრიტიკული ანალიზის მცდელობას , ჩემთვის სრულიად მისაღებია ავტორთა პოზიცია ზოგადი განათლების სისტემაში ნეგატიური ზეგავლენების აღბათობის თავიდან აცილების თვალსაზრისით დასმული საკითხები , რომლებიც ეხება სტანდარტის სტრუქტურული მოდელის ტრანსფორმირებას , საგულისხმოა , რომ ავტორთა რჩევები ეყრდნობა პედაგოგის მეცნიერების ზოგად პროფესიულ ხედვებს , მოგეხსენებათ რომ ამ დოკუმენტში სავსებით მართებულად იყო აქცენტირებული მასწავლებელთა სახელდების საკითხი, კერძოდ პრაქტიკოსი წარჩინებული და მკვლევარი მენტორი მასწავლებლების სახელდება პირველ რიგში იწვევს ბუნდოვანებას მათი შინაარსის თვალსაზრისით მეორეს მხრივ, ართულებს ურთიერთობას სკოლასა და მშობელს შორის, რბილად რომ ვთქვათ, საფრთხეს უქმნის მასწავლებლის რეპუტაციასა და პრესტიჟს ასევე საყურადღებოდ მიმაჩნია სტრუქტურული ერთეულების შემდეგი მახასიათებლებით ფორმულირება :

- ცოდნა და გაცნობიერება ;
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;
- ღირებულებები(დამოკიდებულებები);

ნიშანდობლივია, რომ მასწავლებლის ოთხივე სტატუსის მქონეთათვის ერთიანდება პროფესიული მახასიათებლები ა) საგნის და მისი სწავლების მეთოდის ცოდნა ბ) სახელმწიფო და იმ ენის ცოდნა რომელსაც / რომელზეც ასწავლის. გ) თავისი პროფესიისა მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის გააზრება და გაცნობიერება სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების მიმართ , დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპების დაცვა. ე) თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარება და ნებისმიერი მოსწავლის წარმატების მოლოდინის ქონა.ვ) თითოეული მოსწავლის როგორც კოგნიტური ისე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირება ზ) მოსწავლის სწავლისა და განვითარების უზრუნველყოფა ესგ-ს მოთხოვნათა შესაბამისად .თ) მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დაცვა ი) პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ეფექტური კომუნიკაციის უნარის გამოვლენა და სკოლასთან დაკავშირებული ყველა მხარესთან თანამშრომლობა.

[მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი].

გარდა ამისა, მასწავლებელს სახელმწიფო სტანდარტით მოეთხოვება დარგობრივი მახასიათებლის გარკვეული ცოდნა-ჩვევებისა და უნარ-ჩვევების ფლობა. მნიშვნელოვანია გამოვყოთ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომებისა და სტრატეგიების განხორციელება, რაც თავის მხრივ იქნება საფუძველი იმისა, რომ შეიქმნას და მოეწყოს მოსწავლის მამოტივირებელი გარემო, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი, როგორც ფიზიკური, სოციალური ისე ემოციური განვითარების დონე. მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა იყოს სათანადოდ მომზადებული, იმისთვის რომ შეძლოს სსსმ მოსწავლის ინტეგრირება სასწავლო გარემოში და ეს ყველაფერი უნდა მოხდეს სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. სხვა უამრავ ცოდნა ჩვევასა და უნარ-ჩვევებთან ერთად, რისი ცოდნაც და გათვალისწინებაც მართებს მასწავლებელს აღვნიშნავ, მის აუცილებელ უნარს მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები.

მასწავლებლის პროფესიისთვის აუცილებელი მოთხოვნების კიდევ ერთ კანონმდებელ საშუალებას წარმოადგენს დარგობრივი მახასიათებელი, რომლის პირველი დოკუმენტი შეიქმნა 2011 წელს. მისი სტრუქტურა მოიცავდა პირველ რიგში სფეროს აღწერას, შემდგომ დასაქმების სფეროს, რომელსაც მოსდევდა საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლის შედეგები, (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის) საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის, ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის სახელოვნებო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადებისთვის საჭირო დებულებები ამასთან ერთად ის მოიცავდა საბაზო-საშუალო საფეხურის სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის. სამხედრო საგნის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის და ბაკალავრიატის შემდეგ მასწავლებელთა მომზადებისთვის აუცილებელ პოსტულატებს. გარდა ამისა, მასში წარმოდგენილი იყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო/საგანმანათლებლო პროგრამის 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, გაწერილი იყო ექვსი სწავლის შედეგი: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი სწავლის უნარი და ღირებულებები.

მოგეხსენებათ, რომ უახლესი დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი შეიქმნა 2018 წელს, ცხადია, რომ არსებობს შინაარსობრივი თვალსაზრისით ცვლილებები, რადგან გვაქვს 7 წლიანი ჭრა, და ამ ხნის მანძილზე საქართველო საგანმანათლებლო სივრცემ მოდიფიცირება განიცადა, შეიცვალა მიდგომები, დამოკიდებულებები სასწავლო პროცესის მიმართ, გაუმჯობესდა და დაიხვეწა მთელი რიგი სტანდარტები და მეთოდები, რომელთა ეფექტიანი გამოყენება მართებს XXI საუკუნის მასწავლებელს, ცხადია, რომ 2011 წლის დოკუმენტში მასწავლებლის პროფესიის რეგულირებად ხასიათზე არის საუბარი, (ჩვენი ქვეყანა უკვე ბოლონიის პროცესის წევრია 2005 წლიდან) გაწერილია კრედიტების ოდენობა შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებისთვის. თუმცა, ცხადია, რომ უახლესი სტანდარტი ინფორმაციის გადმოცემის თვალსაზრისით უფრო მეტად სიღრმისეულ ხასიათს ატარებს. და სტრუქტურის მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს. 2018 წლის დოკუმენტი გვთავაზობს დარგობრივი კომპეტენციების ახლებურ ვარიანტს, რაც მოიცავს: ცოდნა - გააზრებას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევების მიღწევის სპეციფიკურ მეთოდებსა და დემონსტრირების სპეციფიკურ კრიტერიუმებს.

დარგობრივი მახასიათებლი 2018 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში, ამ დოკუმენტს მთავარ ლაიტმოტივად გასდევს ის მიზანი, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სწავლის სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას.

იმისთვის, რომ შევადაროთ დარგობრივი მახასიათებელი და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ გარემოებას, რომ ორივე დოკუმენტი ერთმნიშვნელოვნად დეკლარირებს იმასთან დაკავშირებით რომ უფროს მასწავლებელს მართებს გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ბუნება, უნიკალურობა, შესაბამისად მათთან მუშაობის პროცესში გამოიყენონ დიფერენცირებული სტრატეგიები, უფროსი მასწავლებლის მოვალეობას წარმოადგენს შემდგომ და საკუთარი და მოსწავლეთა ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესოს მათი მიღწევები და სრულყოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა, მნიშვნელოვან ფაქტორად ისახება ასევე კოლეგებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის განვითარება, თვით-

განვითარებაზე ზრუნვა, რაც პირდაპირპროორციულად არის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის საწინდარი. დარგობრივი მახასიათებლისგან განსხვავებით, სადაც ნათლად არ იყო გამოკვეთილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგიები და მიდგომები, სტანდარტში ეს მკაფიოდ ჩანს „*მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთან მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით*“.[ეროვნული სასწავლო გეგმა]. დარგობრივ დოკუმენტში მოტანილი ინფორმაციის მიხედვით კი მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გათვალისწინება იყო საყურადღებო, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში საკმაოდ კარგად არის ფორმულირებული ნოვატორობის, ინიციატურობის როლი მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში მისი და მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

დარგობრივი მახასიათებლის სიღრმისეული გაცნობით, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ის გარემოებაზე აქცენტირება თუ რამდენად კარგად შეძლებს მასწავლებელი მოსწავლეების აღჭურვას იმგვარი კომპეტენციებით, რომ მათ ადეკვატურად მოახერხონ თეორიაში არსებული ცოდნის პრაქტიკაში სათანადო რეალიზება, ანუ მათ კარგად უნდა ჰქონდეთ განვითარებული ე.წ. ტრანფერის უნარი, შეეძლოთ ერთი კონკრეტული საგნის მასალის გაცნობით და შესწავლით ადეკვატური დაკავშირება და ბმა გააკეთონ სხვა საგნთან, ეს უნარი ვფიქრობ, რომ მართლაც გაზრდის პრაგმატულ უნარს მოსწავლეებში და კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტორიც, რომ მასწავლებელმა შეძლოს და სათანადოდ გააცნობიეროს მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელი კლასგარეშე საქმიანობის როლი.

რაც შეეხება სასწავლო პროცესის შეფასებას, ამ შემთხვევაშიც გამოიკვეთება საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი რისი გათვალისწინებაც მართებს მასწავლებელს ეს გახლავთ სსსმ მოსწავლის შეფასება. ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით ამ შემთხვევაში მასწავლებელი საკმარისად კარგად უნდა ფლობდეს შეფასების პრინციპებს, მეთოდებსა და ტიპებს, რათა შეძლოს მათი შესაბამისი გაანალიზება, მასწავლებელს უნდა შეეძლოს შეფასების რუბრიკების საშუალებით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება.

ამ მხრივ მასწავლებლის ღირებულებების მთავარ საზომს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ მან მიიღოს თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება შეგნებულად მიუდგეს ამ საკითხს, იმას რომ, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება რათა ამით მოსწავლემ მოახერხოს სათანადო ინტეგრაცია სასკოლო საზოგადოებაში.

მასწავლებელს მოეთხოვება უპირობოდ იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, რასაც მოახერხებს საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზით, ამისთვის კი უნდა გაეცნოს და მიიღოს ცოდნა თანამედრვე ტენდენციებიდან და კვლევებიდან, რათა უზრუნველყოს სასკოლო პრაქტიკის სრულყოფა.

დარგობრივი მახასიათებელი ეფექტური მასწავლებლის აუცილებელ ცოდნის რესურსად მიიჩნევა მის უნარს, მოახდინოს სათანადო კომუნიკაცია მშობლებთან, კოლეგებთან და მოსწავლეებთან, აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებში მთავარ ნიშანსვეტს წარმოადგენს იმგვარი აქტივობების ფორმირება რითაც ხელი შეეწყობა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას, ზემოთქმულის უზრუნველსაყოფად მასწავლებელს გარდა პიროვნული მახასიათებლებისა (რისი გათვალისწინებაც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს სასწავლო პროცესში) აუცილებლად ესაჭიროება თავისი ცოდნის აღჭურვა იმ რესურსებით, რაც გაწერილია ზოგადი განათლების ეროვნულ დოკუმენტში ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ზოგადი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოში, სწორედ ამ აღნიშნული დოკუმენტების სიღრმისეული შესწავლით მან უნდა მოახერხოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება.

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის გარემოება, რომ მასწავლებელმა თავისი აქტივობები უნდა დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის აუცილებელი აქტივობების უზრუნველყოფა. გარდა იმისა, რომ მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს ზემოთხსენებულ დოკუმენტებს და თავის მხრივ სასწავლო პროგრამას, მისი ეფექტიანობა სასწავლო გარემოში კიდევ უფრო კარგად გამოიხატავნდება, თუკი იგი შეძლებს

და დამოუკიდებლად მოიძიებს საგანმანათლებლო, ბეჭდურ და ICT რესურსებს, მიზნობრივად გამოიყენებს მათკონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, რათა ამით შეძლოს და მოსწავლეებს განუვითროს ციფრული მოქალაქეობის უნარი.

როგორც უკვე ვახსენეთ, კვალიფიცირებული მასწავლებლის მომზადება წარმოადგენს სახელმწიფოსა და განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და აქედან გამომდინარე ენიჭება მასწავლებლის მომზადების პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა, ეს პროფესია წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებად პროფესიათა რიცხვს და სწორედ ამიტომაც არის სახელმწიფოსთვის ასეთი მნიშვნელოვანი.

ნიშანდობლივია იმის ხაზგასმა, რომ საქართველოში “ზოგადი განათლების შესახებ” 2005 წლის კანონის მიღებამდე მოქმედებდა საბჭოთა სტანდარტები მასწავლებელთა მომზადებისა და ზოგადი განათლების დაფინანსებაში. 90-იანები წლების მიწურულს(1997 წ) მოხდა მასწავლებელთა ატესტაცია, რაც მიზნად ისახავდა გამოევიწყინათ კვალიფიციური მასწავლებლები და შემოეღოთ კატეგორიები, თუმცა დრომ და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საწუხაროდ არასწორი დაგეგმვის გამო კიდევ უფრო გაამყარა მასწავლებელთა მუშაობისა და ანაზღაურების სისტემაში არსებული ქაოსი.(ზაქარია ქიტიაშვილი,ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში/ 1991-2013 წლები/ 2016 წ)

2001 წლიდან მსოფლიო ბანკის დაფინანსებულ პროგრამის ფარგლებში დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება, რაც გულისხმობდა პედაგოგებისთვის ღირსეულ ანაზღაურებას ახალი სასწავლო მასალისა და მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების არ არსებობას, მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად მასწავლებლებმა მაინც მოახერხეს საკუთარი პროფესიისა და როლის, მასწავლებლის შრომის და სტატუსის სოციალური ღირებულების შენარჩუნება.(მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია. 2007)

მოგეხსენებათ 2003-2004 წლებში საქართველოში მოქმედ მასწავლებელთა პროფესიის სისტემა იყო ცენტრალიზებული და სუბიექტური, რაც გამოიხატებოდა შემდეგ ნიშნებში:

უმაღლესი განათლების დონეზე არსებობდა მოძველებული სასწავლო პროგრამები და მასწავლებლის მომზადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები და უფრო ხშირად კი კონკრეტული პროფესორები .

საუბარი იყო იმაზე, რომ მასწავლებლობის უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დამამთავრებელი გამოცდით, რომელიც სამწუხაროდ იყო სუბიექტური და არ ეყრდნობოდა მასწავლებლის ერთიან და გაზიარებულ სტანდარტებს, ამასთან იმ დროს არ იყო ჩამოყალიბებული მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი, და, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა არ ატარებდა კოორდინირებულ ხასიათს და, თავის მხრივ, არ არსებობდა კავშირი პროფესიულ განვითარებასა და მასწავლებლის კარიერულ ზრდას შორის.

ზემოაღნიშნულ პრობლემებთან გამკლავების ნაბიჯები გადაიდგა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ (2003). განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

განხორციელდა მასწავლებელთა უმაღლესი განათლების პროგრამების თანხვედრა ერთი მხრივ პროფესიულ სტანდარტთან და, მეორეს მხრივ, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. გააცნობიერეს, რომ თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროგრამა შეიძლება მიეღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოხდებოდა ამ სამი სუბიექტის თანამშრომლობა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესიული სტანდარტის დამდგენი და ეროვნული გეგმის შემქნელი ინსტიტუტი. პრობლემის გადაჭრის მეორე გზად დასახეს მასწავლებლის უფლების მინიჭების სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა სერტიფიცირების ეროვნული გამოცდის ჩაბარებით. მესამე გზა იყო მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შექმნა და მისი ნორმატიულ დოკუმენტად ჩამოყალიბება., ამასთან აუცილებელი იყო შექმნილიყო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სტიმულირების სისტემა. ასევე საჭიროებამ მოიტანა რომ დანერგილიყო მასწავლებლის მუშაობის

გაზომვის ობიექტური სანდო და კოლეგიალური შეფასების მეთოდები. მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში რომ უნდა შექმნილიყო მასწავლებლისთვის შრომის კომფორტული და მიმზიდველი გარემო, რაც გამოიხატებოდა მასწავლებლობის პროფესიის პრესტიჟის გაზრდაში, რაც გულისხმობდა ღირსეულ ანაზღაურებას, სამუშაო კვირის შემცირებას, წელიწადში ერთხელ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხანგრძლივი შვებულების უფლებას სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებლის პროფესიული მომზადებისა და განვითარების კონცეფცია მიზნად ისახავს სამ პრინციპს: 1. მასწავლებლის მომზადების პროფესიული განვითარებისა და მასწავლებლობის უფლების მინიჭების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. 2. მასწავლებლის შრომის ანაზღაურების შესაფასებელ მიღწევებთან დაკავშირებული წამახალისებელი სისტემის დამკვიდრებას. 3. მასწავლებლის შრომის მიმზიდველი პირობებისა და გარემოს საკანონმდებლო საფუძვლების შექმნას.

როგორც ვნახეთ, საკანონმდებლო რეგულაციებმა დროსთან ერთად განიცადა ცვლილებები, რომლებიც მოერგო საზოგადოების განვითარებასთან ერთად სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს. მასწავლებლის პროფესია მუდმივად იყო დაკვირვებს ობიექტი სახელმწიფოს მხრიდან, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასწავლებელი წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარების ქვაკუთხედს და მის ხარისხიანად, სრულფასოვნად და დროის გამოწვევების საპასუხო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებას სჭირდება ბევრი ფიქრი, განსჯა, მსჯელობა, გონივრული გადაწყვეტილების მიღება, რაც მოითხოვს დროს, სათანადო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. მასწავლებლის მომზადების საკითხის დაყენება სამაგისტრო დონეზე არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, რადგან ეს საკითხი აქტუალურია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც თვლიან, რომ მასწავლებლის, კვალიფიცირებული კადრის მომზადებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის განათლების თვალაზრისით და ხარისხი ამ თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტია. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მაშინ მოექცა ყურადღების ქვეშ, რაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდა ევროპის უდიდეს საგანმანათლებლო სივრცეს, და გახდა მისი კანონიერი წევრი. ეს ფაქტი ჩვენს ქვეყანას დიდი გამოწვევების და პასუხისმგებლობების წინაშე აყენებს.

§ 1.4 ბოლონიის პროცესი- ურთიერთკავშირი საუნივერსიტეტო განათლებასთან

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა უკვე 14 წელია რაც ბოლონიის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილებიანი წევრია, რაც საკმაოდ საპასუხისმგებლო და საყურადღებო მოვლენაა, ჩვენ ევროპულ სივრცესთან თანაზიარებით გავხდით იმ სტანდარტებისა და მთავარი დებულებების გამზიარებელნი, რითაც რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამები ბოლონიის პროცესში შემავალ ქვეყნებში.

თსუს სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლების“ კურსდამთავრებულის ცოდნის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტის მიერ, რაც საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობების წინაშე გვაყენებს. მოგეხსენებათ, ბოლონიის წევრობა მრავალ გამოწვევებთან და წარმატებებთან ასოცირდება. ბოლონიის პროცესის განვითარების, მასში უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ჩართვისა და მის ძირითად მიზნებზე მკაფიო ფოკუსირების კვალდაკვალ გაიზარდა თიუნინგის საქმიანობის მასშტაბებიც. თიუნინგის პროექტი, რომელიც ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრების მიერ ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ 2000 წელს დაიწყო, არის აქტიურად ჩართული ბოლონიის პროცესში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნები საჭიროებენ შესაბამისი და კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვას.

თიუნინგი წარმოადგენს უნივერსიტეტების მიერ მართულ პროექტს, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტებმა ევროპული ინტეგრაციისა და ევროპული სივრცის შექმნის მიზნით წარმოქმნილ ახალ გამოწვევებსა და ახალ შესაძლებლობებს უპასუხეს ეფექტიანი, სისტემური, და კოორდინირებული თანამშრომლობით. თიუნინგის პროცესმა მიზნად დაისახა უნივერსიტეტების დონეზე მაღალი ხარისხის ძიების პროცესში წვლილის შეტანა. უფრო ზუსტად კი, მის მიზანს წარმოადგენს პირველი და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხებისთვის ათვლის წერტილების განსაზღვრა, როგორც

ზოგადი ისე დარგობრივი კომპეტენციისთვის, ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სფერო -განათლების მეცნიერებები.

გამოყოფენ კომპეტენციების დონეების ხუთ ელემენტს, რომელთა გაანალიზებაც მოეთხოვებათ მომავალ მასწავლებლებს, ესენია:

- ✓ ცოდნა და გაცნობიერება ;
- ✓ ცოდნის თეორიიდან პრაქტიკაში გადატანა ;
- ✓ ინფორმირებული დასკვნების გაკეთება;
- ✓ საკომუნიკაციო უნარები ;
- ✓ შემდგომი სწავლის უნარი;

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ელემენტების დეკლარირება წარმოადგენს წარმოადგენს ევროპის კვალიფიკაციათა ჩარჩოს დამსახურებას.

თიუნინგი პროექტის რეკომენდაციით თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც მუდმივად ცვალებად ხასიათს ატარებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგად ანუ ტრასფერულ კომპეტენციებს. აღნიშნული რეკომენდაცია მიიღეს კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის შემდეგ და გამოკვეთეს რეზულტატი: თითოეული დარგობრივი ჯგუფი შეთანხმდა თავისი სფეროსთვის ყველაზე მნიშვნელოვან ზოგად კომპეტენციის ნაკრებზე, ასევე ანალიზისა და სინთეზის უნარზეც.

როგორც ვიცით, განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინურ დარგს და ის შედგება მთელი რიგი საბაზო დისციპლინებისგან, კერძოდ ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია, გამოყენებითი ლინგვისტიკა კურიკულუმის შემუშავება სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, სოციალური ანთროპოლოგია და ისტორია, მასწავლებელთა განათლების შემთხვევაშიც ასევე მოიაზრებს სხადასხვა სასწავლო დისციპლინას ესენია: მათემატიკა, ენა და ლიტერატურა, სოციალური მეცნიერებები და ასე შემდეგ.

დარგი გაყოფილია ორ ფართო და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროდ. ესენია მასწავლებელთა განათლება და განათლების მეცნიერებები. როგორც ვიცით, დღეს ევროპაში დაწყებითი სკოლის თითქმის ყველა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებს უმეტესობას აქვს პირველი საფეხურის ხარისხი ან

ექვივალენტური განათლება. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნების უმეტესობაში, სასწავლო პროგრამის კომპონენტები და მისი მიღწევის სტანდარტები შეესაბამება განათლების სამინისტროს ან პროფესიული ორგანოების, მაგალითად მასწავლებელთა საბჭოების მიერ განსაზღვრულ ეროვნულ რეგულაციებს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის ჰომიგენურობას. (საგანმანათლებლო სტუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში ხულია გონსალესი და რობერ ვაგენარი 2005წ.)

ცნობილია, რომ მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტი ინარჩუნებს ავტონომიურობის სტატუსს, რის გამოც სახეზე გვაქვს დიფერენცირებული პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მაგრამ ამის მიუხედავად გამოკვეთილია საერთო და ზოგადი მახასიათებლები უნივერსიტეტებს შორის, ესენია ცოდნა, უნარი და ფასეულობა, რომელთა ფლობაც მოეთხოვება მასწავლებლის მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად თავისი დარგის ან კურიკულუმის სფეროში. ცხადია, რომ ის უნდა ითვალისწინებდეს და ფებს უწყობდეს განათლების ეროვნულ პრიორიტეტებს მუდმივი გამოწვევებისა და არაპროგნოზირებად სოციალურ კონტექსტში პროფესიონალის დონეზე.

საყურადღებო ინფორმაციას ვაწყდებით განათლების სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლენილ ანომალიურ სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც ეხება პირველ და მეორე საფეხურზე აკადემიური ხარისხების განხორციელებას. მასწავლებელთა განათლების თანმიმდევრულ მოდელში, სადაც სტუდენტი სწავლობს ერთ ან ორ აკადემიურ დისციპლინას (180-240 კრედიტი ECTS) მასწავლებლის განათლების დიპლომის შემდგომი (60-90 ECTS) კომპონენტის წინ, იმის მიუხედავად რომ სტუდენტმა მასწავლებელთა განათლების საწყისი კვლიფიკაციის მოსაგროვებლად შეიძლება დააგროვოს ჯამში 240 კრედიტი, სამწუხაროდ ქვეყნების გარკვეულ ნაწილში ამ გზით დაგროვილი 300+ ECTS არ ნიშნავს მეორე საფეხურის დიპლომს, ეს ხდება იმის მიუხედავად რომ შესაძლებელია დიპლომის შემდგომი კომპონენტი ძირითად შემთხვევაში პასუხობდეს მეორე საფეხურის დონის მახასიათებელს.

ჩვენთვის ცნობილია განათლების სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციები რომელიც ეხება ბოლონის პირველ და მეორე საფეხურის აკადემიური

ხარისხების სტანდარტებს მასწავლებელთა განათლების შესაბამისობას და მისი სხვა დისციპლინების სფეროებთან შედარებას, ფიქრობენ რომ ზემოაღნიშნულს ხელი შეეწყობა მასწავლებელთა განათლების პირველ და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხების სტრუქტურით, ბოლონია გვთავაზობს მეორე საფეხურის დიპლომისკენ მიმავალ შესაძლებლებელი გზების გარკვეულ რაოდენობას. .1) პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხს არჩეულ დისციპლინაში 180- 240 კრედიტს მოსდევს თანმიმდევრული მოდელის მასწავლებელთა განათლების დიპლომი 90- 120 კრედიტი (მინიმალური 90 კრედიტი, იქ სადაც დიდაქტიკა ან პედაგოგიკა ჩართულია პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხში) და მოიცავს კვლევითი მომზადების კომპონენტს.

2) პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხს არჩეულ დისციპლინაში 180- 240 კრედიტი მოსდევს მეორე საფეხურის თანმიმდევრული მოდელის მასწავლებელთა განათლების დიპლომი 60 კრედიტი, რომელსაც ასევე მოსდევს დროში ლიმიტირებული მეორე საფეხურის დიპლომი განათლების მეცნიერებებსა და სტრუქტურირებულ შესავალში(მოიცავს კვლევით მომზადებას 60 კრედიტის)

3) პირველ ციკლს, სადაც სასწავლო დისციპლინა, (დისციპლინები) და განათლების კომპონეტი ერთდროულადაა მოწოდებული 240 ECTS-ში მოსდევს მეორე საფეხურის დიპლომი განათლების მეცნიერებებში სტრუქტურირებულ შესავალში.

(მოიცავს კვლევით ნაწილს 60 კრედიტი)

განათლების პროგრამებში ამჟამად შეინიშნება მთელი რიგი აქტივობები, რაც ეხება ბოლონიის სამ საფეხურიან მოდელს. განათლების სამუშაო ჯგუფში არ არსებობს ქვეყანა რომელშიც არ მიმდინარეობდეს დისკუსია ბოლონიის პროცესის განხორციელების შესახებ.

მასწავლებლის განათლებაში შეთავაზებული უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების ფართო სპექტრი ხშირად სრულდება მაგისტრის ხარისხით, თუმცა არის შემთხვევები, როცა ზოგჯერ ვხვდებით დიპლომის შუალედურ დონეს. მეორე საფეხურის პროგრამების უმრავლესობას აქვს ძლიერი სასწავლო კომპონენტი, რომელიც მხარდაჭერილია ემპირიული და /ან თეორიული თეზისით ან დისერტაციით რომელიც პროგრამის ბოლო მესამედს ან უფრო მეტს ითვლის.

ყველა ტიპის განათლების პროგრამები ავითარებს აზროვნებისა და საქმიანობის იმ გზებს, რომლებიც ხასიათდება მაღალი ტრანსფერულობითა. პროგრამების უმაღლესდამთავრებულთათვის შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი დასაქმების სფეროები: სამუზეუმო საქმე, ახალგაზდობის ლიდერობა, სათემო საქმიანობა გამომცემლობა ადგილობრივ და ეროვნულ საგნამანათლებლო ადმინისტრაციებში. მასწავლებელთა განათლების კურსდამთავრებულები ფინეთში ხვდებიან ისეთ პოზიციებზე როგორცაა ლიდერობა და მენეჯმენტი არიან მკლევრებ - კოორდინატორები განათლების ფსიქოლოგები .

აღნიშნავთ, განათლების ჯგუფის დეკლარირებას იმ კუთხით, რომ ეს კომპეტენციების საბოლოო სია არაა და ამით ნამდვილად არ ამოიწურება. აღნიშნული კომპეტენციები მხოლოდ მაჩვენებლის ფუნქციას ატარებს და ასეც უნდა იყოს გამოყენებული.

კომპეტენციების უმრავლესობა საერთოა როგორც მასწავლებელთა განათლების ისე განათლების მეცნიერებებისთვის, ზოგიერთი კომპეტენცია სპეციაფიკურია მასწავლებელთა განათლებისთვის.

თანამედროვე რეკომენდაციებით, რომლებიც შემუშავებულია ევროპის წამყვანი ქვეყნების მიერ, მასწავლებელთა განათლებას უნდა გააჩნდეს შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

ა) მოსწავლის წარმატებებისა და მიღწევებისთვის ხელშეწყობა

ბ) კომპეტენცია სწავლა სწავლის მთელ რიგ სტრატეგიებს

გ) მოსწავლეებისა და მშობლების კონსულტირების კომპეტენცია

დ) შესაბამისი სასწავლო საგნის ცოდნა ჯგუფებთან და ინდივიდებთან შესაბამისი კონსულტაციის უნარი

ე) ელექტრონული რესურსების გამოყენებისა და სასწავლო გარემოში მათი ინტეგრირების უნარი

ვ) დროის ეფექტური მართვის უნარი

ზ) საკუთარი საქმიანობის რეფლექსიისა და შეფასების უნარი

თ) კომპეტენციები პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტაში

ი) მასწავლის მრავალფეროვან საწირობებზე რეაგირების ნარი

კ) სწავლების/ სწავლის გარემოს გაუმჯობესების უნარი

ლ) სპეციალური საგანმანათლებლო კონტენტის კურიკულუმის ადაპტრების უნარი.

იმის გამო რომ მასწავლებელთა განათლება წარმოადგენს არათანმიმდევრულობის მაგალითს, ბოლონის პროცესი განხორციელებასთან მიმართებით, ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფთ ზუსტად სტუდენტების დატვირთვას გაზომვას, როგორც ვიცით, ჯერ ჯერობით ყველა ქვეყანას არ აქვს დაყოფილი პირველი და მეორე საფეხურის პროგრამები. ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად საბერძნეთში ტერმინი „მასწავლებელთა განათლება“ მხოლოდ პირველი საფეხურის დონეზე არსებობს, შემდეგ საფეხურზე კი ყველასთვის გამოიყენება ტერმინი „განათლების მეცნიერებები“.

ბოლონის რეკომენდაციებით, დასაქმების თვალსაზრისით, მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს თავისი ძალები მოსინჯოს სკოლის მასწავლებლის ამპლუაში, მიძის განათლებაში, უნივერსიტეტებში პროფესიულ განათლებაში, განსაზღვრულ სასკოლო საგნის მასწავლებლად და ასევე განათლების სისტემის გარეთ, იქნება ეს კომუნიკაციის სფერო თუ ბიზნესი.

ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასწავლო პროგრამებისა და სწავლის პერიოდების თავსებადობისა და შესაძარობის მიღწევა, მოცემული მიზნის მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების სისტემის კონცეფციების გამოყენება. (TUNING Guidelines and Reference Points for the Design and Delivery of Degree Programmes in Teacher Education Edition 2018)

ბოლონის პროცესის თანახმად, განათლებაში მთავარი არის ის, რომ ის არის უწყვეტი და განვითარებადი პროცესი, ეს არის ფუნდამენტური ადამიანური აქტივობა მიიღოს მონაწილეობა ცოდნის შექმნასა და გადაცემაში ეს არის კულტურის განვითარება და გადაცემა, აზროვნების უნარების გაზრდა, განსაკუთრებით ისეთი

უნარების, რომლებიც მიმართულია პრობლემის მოგვარებასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის გარანტს საზოგადოებაში. (molnar et al 2017)

მასწავლებელთა სამაგისტრო პროგრამის გამოწვევებსა და პერსპექტივებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ საერთაშორისო კვლევების მიერ გამოტანილი შედეგები, ერთ-ერთ ასეთ კვლევას წარმოადგენს პიზა, რომლის შედეგებზე დაყრდნობით დაასკვნეს, რომ ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა უკეთესი შედეგი. ეს რეზულტატი დაეფუძნა იმ გარემოებას რომ ისინი კონცენტრირებულნი იყვნენ თითოეული მოსწავლის განვითარებასა და საჭიროებებზე. მასწავლებლის ხარისხი არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი საგანმანათლებლო სივრცეში რომლის ეფექტურობა განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს .(OECD2010 chety friedman and Rokof 2011 Hanushek 2011.)

2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პიზის კვლევა გვთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციებს, მათ სურთ რომ ქვეყნებმა მათი პრიორიტეტები მიმართონ მასწავლებელთა ხარისხის გასაუმჯობესებლად, რათა მათ მოამზადონ XXI საუკუნის სტუდენტი ისეთ უნარებში როგორცაა კრეატიულობა, მენეჯმენტი, კომუნიკაცია კოლაბორაცია, დამოუკიდებლად მუშაობა. kozma. 2008. თიუნინგის პროგრამის მესვეურნი ხაზს უსვამენ მასწავლებელთა განათლების დიდ მნიშვნელობას (commission of the European comunities 2007, Europa 2007 European commision 2005.)

უდავოა, რომ მასწავლებელთა განათლება მნიშვნელოვანია, რადგან ის პირდაპირპროპორციულად მოქმედებს მასწავლებლის ხარისხზე. (musset 2010 Barenera Redemonde 2016) ბოლონიის პროცესის რეკომენდატორები თვლიან, რომ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია უზრუნველყოთ დაწყებითი განათლება. მასწავლებელთა მომზადება მოიცავს დაწყებით მასწავლებელთა განათლებას, ადრეულ კარიერულ მხარდაჭერას და განგრძობად პროფესიონალურ განვითარებას. მასწავლებელთა განათლების ხარისხი მჭიდროდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო სისტემის ხარისხს, იმიტომ რომ აქ არის კორელაცია მასწავლებელთა განათლებასა და

სტუდენტების შესრულებულ სამუშაოს შორის. (Eliot 2003. Goe 2007 Darling Hammod 2005.)

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებში არსებულ სიტუაციას მასწავლებლის მომზადების თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ ძირითადად დაწყებითი კლასის მასწავლებლების მომზადება ხდებოდა საბაკალავრო დონეზე, ხოლო საშუალო სკოლის მასწავლებლებს სამაგისტრო დონეზე ამზადებდნენ. თუმცა, ქვეყნების უმრავლესობაში დაბალი და საშუალოზე მაღალი სკოლის მასწავლებლები ერთად ტრენინგებდნენ. ქვეყნების 30 %-ში ამ ორი ტიპის მასწავლებლებს რადიკალურად განსხვავებულად ატრენინგებდნენ, მათ შორის საერთო მახასიათებლის მიუხედავად, არსებობს ქვეყნები სადაც მომავალ მასწავლებლებს სხვადასხვა დონისთვის სხვადასხვაგვარი მეთოდებით ამზადებდნენ. (stager2014)

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი მოდელის თანახმად, მასწავლებელი ჯერ იღებს საგნობრივ განათლებას და შემდეგ პედაგოგიურ განათლებას მისი კონკურენტული მოდელი კი ითვალისწინებს ორივე საგნის სწავლებას ერთი ხარისხის მისაღებად.

თიუნინგის მიხედვით მასწავლებელს ეძლევათ შემდეგი სახის მითითებები :

1. ცოდნის მენეჯმენტი და შემოქმედობითობა ;
2. სწავლების პროცესების, სწავლების და შეფასების დიზაინი და მენეჯმენტი;
3. შემსწავლელის ძალა პოტენციალი და კრეატიულობა ;

4. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინარული საკომუნიკაციო პრინციპების ყოვლისმომცველი გაგება ;

5. ღირებულებები და სოციალური ლიდერობა;

6. პროფესიონალის განვითარება ცხოვრების ბოლომდე;

თიუნინგის მიხედვით სწავლა უნდა გახდეს შედარებით შეთავსებადი და გამჭირვალე. სწავლება შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და მასწავლებლის მოლოდინი მიმართული უნდა იყოს ნასწავლი მასალის სრულფასოვან დემონსტრირებაზე.

თავი II - მასწავლებლის მომზადება - ისტორიული კონტექსტი

§ 2.1 ზოგადი მიმოხილვა

მასწავლებელთა მომზადების ისტორიული კონტექსტის დაინტერესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოვახდინოთ რეტროსპექტივა და მივიღეთ “იეზუიტთა” რელიგიურ სკოლებში, სადაც სასწავლო პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მანამდე არსებული რელიგიური სწავლებისგან და აგებული იყო ეპოქისთვის დამახასიათებელი პროგრესული ნიშნებით. Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 39

საგულისხმოა, რომ იეზუიტები სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას უთმობდნენ დიდაქტიკის პრინციპების დაცვას. სწორედ აღნიშნული პრინციპების დაცვითა და მთელი რიგი პედაგოგიური დისციპლინების ღრმა ცოდნით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი მომავალი პედაგოგი, ამიტომაც იეზუიტებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოემზადებინათ პედაგოგი, რაც განახორციელეს კიდევ XVI-XVIII საუკუნეებში.

საქართველოში საგანმანათლებლო კერებს უძველესი პერიოდიდან ვაწყდებით. ჩვენთვის საკმარისია დავასახელოთ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (აკადემია) III -IV სს-ში, პეტრე იბერის მოღვაწეობა გელათისა და იყალთოს აკადემიები, ასევე პეტრიწონის სემინარია ბულგარეთში, ასევე განათლების ცენტრები ათონსა და პალესტინაში სადაც ქართველი ჰუმანისტი მოაზროვნეები - პეტრიწი, შავთელი, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები არსენ იყალთოელი და სხვანი მოღვაწეობდნენ. უდავოდ აღნიშვნის ღირსია, რომ მათ პედაგოგიურ მოღვაწეობას სერიოზული გამოწვევები ახლდა თან, თუმცა, ვფიქრობთ, რომ არ გადავაჭარბებთ თუკი ვიტყვით, რომ მათ ჩაუყარეს საფუძველი საქართველოში მასწავლებლობის ინსტიტუტს.

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას ამ თვალსაზრისით, მასწავლებელთა მომზადების დაწესებულებებს XIX საუკუნიდან ვხვდებით. *მასწავლებლის მომზადების საკითხის განხილვა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ჭრილში არანაკლებ საინტერესო*

მიგნებებს გვთავაზობს. ვხედავთ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სახალხო სკოლებისთვის მასწავლებლებს ამზადებდნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში (1817 წ), თბილისის, ქუთაისის და თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლები. (1846, 1847, 1865 წწ), კერძო პანსიონები - ახვერდოვის (1820), კასტელის (1830), ფავრის (1854), ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1840), აგრეთვე, ნაწილობრივ ვაჟთა გიმნაზიები, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს არ ყოფილა მათი ძირითადი დანიშნულება. მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდში მათ არ ჰქონდათ სათანადო პირობები მასწავლებელთა მოსამზადებლად და არც იყო შემუშავებული პედაგოგიური კადრების მოსამზადების გარკვეული სისტემა. ეს ყველაფერი თანდათან, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და განვითარდა. თუმცა ცხადია აღნიშნული ფუნქცია მასწავლებლებმა იტვირთეს მხოლოდ იმის გამო, რომ არ არსებობდა მასწავლებელთა მომზადების სპეციალური სასწავლებლები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლებლებში გარკვეული პერიოდიდან ფუნქციონირებდა სპეციალური პედაგოგიური კლასი, სადაც მასწავლებლის მომზადების მიზნით ტარდებოდა ე. წ. „პედაგოგიური საუბრები“ და იკითხებოდა საგანი „პედაგოგიკა“ და „საგანთა დიდაქტიკებიც კი“. [მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში. ქეთევან ჭკუასელი]

როგორც ვხედავთ, მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით უდიდესი ყურადღება ეთმობოდა პედაგოგიკის ციკლიდან საგნების წაკითხვას, ამასთან ერთად ხაზგასასმელია დიდაქტიკის სწავლების მნიშვნელობაც. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საგნების(და არა მხოლოდ) პროფესიონალური და თანამედროვე სტანდარტებს მორგებული ხედვით XXI საუკუნის პედაგოგი შეძლებს თავისი პროფესიული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებას, რაც ასე საჭიროა დღევანდელი საგანმანათლებლო სივრცისთვის.

ცხადია, რომ ზემოთხსენებულ დაწესებულებებს ჰქონდათ უსისტემო და პედაგოგიურად მოუწესრიგებელი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობა, ამის მიუხედავად მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დაწყებითი კლასების პედაგოგთა და კერძო მასწავლებელთა მომზადების საქმეში. (Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 40) საქართველოში პირველ

სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებლებს ვხვდებით მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში (1866 წ). ეს სკოლა გაიხსნა საქართველოში მართლამადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ და სკოლის დანიშნულებას წარმოადგენდა აღნიშნული საზოგადოების სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა მომზადება, მაგრამ სინამდვილეში, ეს სკოლა მასწავლებლებს ამზადებდა არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ განათლების სამინისტროს დაწყებითი სასწავლებლებისათვისაც. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პედაგოგიური ციკლის საგნებიდან ისწავლებოდა "პედაგოგიკა" "სასკოლო ჰიგიენა" და "პედაგოგიური პრაქტიკა." (მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში. ქეთევან ჭკუასელი 2009)

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი საკვლევი თემა გახლავთ სამაგისტრო პროგრამა " მასწავლებელთა განათლების" გამოწვევები და პერსპექტივები და, დღემდე ჩატარებული კვლევების უმრავლესობის რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პედაგოგიური ციკლის დისციპლინების გაძლიერება, აღვნიშნავთ, რომ სემინარიაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20 წლებამდე პედაგოგიური ციკლის საგნებიდან ისწავლებოდა პედაგოგიკა და პედაგოგიური პრაქტიკა. შემდგომ უკვე ასწავლიდნენ საგნების სწავლების მეთოდიკებსაც.

"საშუალო სკოლებისათვის პედაგოგიურ კადრების მომზადება ხდებოდა ქალთა უმაღლეს კურსებზე (1909 წ), ხოლო სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის – სასულიერო სასწავლებლებში. საქართველოში ასეთი სასწავლებლები არსებობდა თბილისში (1817 წ), გორში (1818 წ), თელავში (1817 წ), ქუთაისში (1821 წ), მარტვილში (1830 წ), ოზურგეთში (1877წ). სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს ამზადებდა თბილისის (1817 წ) და ქუთაისის (1894 წ) სასულიერო სემინარიები". [მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში. ქეთევან ჭკუასელი 2009]

§ 2.2 თსუ-ში არსებული ვითარება

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილებები დაიწყო. რამაც საფუძველი ჩაუყარა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას და ეროვნული კადრების მომზადებას საქართველოში. 1909 წელს თბილისში, კერძო პირთა ინიციატივით, დაარსდა პირველი უმაღლესი სკოლა - «ქალთა უმაღლესი კურსები», რომელიც შემდგომში ამიერკავკასიის კერძო ინსტიტუტად გადაკეთდა, იარსება 1920 წლამდე. 1917 წელს, ასევე კერძო ინიციატივით დაარსდა თბილისის პოლიტექნიკური Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 42 ხოლო 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილის და სხვა ქართველ მეცნიერთა და მოღვაწეთა ინიციატივით, დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტში მასწავლებელთა მომზადების ისტორიას თუ გადავხედავთ შევნიშნავთ, რომ 2002 წლიდან უნივერსიტეტი გადავიდა მსოფლიოში აპრობირებულ მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პარალელური მომზადების მოდელზე, რომელიც არჩევითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული, რაც გულისხმობდა იმას, რომ საქართველოში პირველად დაირღვა სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ მასწავლებელთა მომზადების სავალდებულო სისტემა და სტუდენტს პირველად მიეცა უფლება საკუთარი სურვილით აერჩია მასწავლებლის პროფესია. ბაკალავრიატში სწავლების პერიოდში სტუდენტს შეეძლო გაეგლო 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა საბაკალავრო დიპლომის პარალელურად და მიეღო ცნობა დიპლომის კვალიფიკაციით, მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილებით უნივერსიტეტმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა მასწავლებელთა მომზადების საქმეში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, 3000 მდე სტუდენტმა მოისმინა პედაგოგიურ მეცნიერებათა კურსი და მიიღო დამადასტურებელი მოწმობა. ამ პროგრამამ იარსება მხოლოდ 2006 წლამდე, რადგან 2006 წლის 29 თებერვალს დამტკიცებულ იქნა მასწავლებელთა განათლების კონცეფციისა და შემდგომი განათლების კანონი. დღეს საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადება განისაზღვრა მაგისტრატურის დონეზე,

ხოლო დაწყებითი სკოლის (I-VI კლასები) მასწავლებელთა მომზადება კვლავ განათლების ბაკალავრიატის დონეზე ხდება.

რაც შეეხება უშუალო მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამას, მოგახსენებთ, რომ აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2009 წელს და დღემდე წარმატებით ახორციელებს საგანმანათლებლო მუშაობას თავის მიმართულებით, პროგრამის სრული დასახელებაა “მასწავლებელთა განათლება” რომლის მოცულობას შედგენს 120 კრედიტს. კრედიტების გადანაწილებისას ყველზე მეტი ხვედრითი წილი ეთმობა სასწავლო დისციპლინებს, რომელთა ჯამური რაოდენობაა 90 კრედიტი, თავის მხრივ ეს უკანასკნელი იყოფა შემდეგ ძირითად დისციპლინებად, ეს გახლავთ 55 პედაგოგიური და 35 კრედიტი მოიცავს მოდულის მიმართულებას დარჩენილი 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს ლიდერობა, ინიციატურობა, შემოქმედობითობა, სასწავლო პროგრამისა და განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა მოტივირება მეთოდისტ მასწავლებელთა უნარები, მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ცოდნა და ა.შ პროგრამას წარმოადგენილი აქვს 12 მოდული ესენია: ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ისტორია, გეოგრაფია, ქართული გერმანული, ფრანგული, რუსული და რუსული როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა.

პროგრამის მესვეურნი კურსდამთავრებულის მისაღწევ შედეგად მოიაზრებენ პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით მეთოდოლოგიურ - ფსიქოლოგიურ დისციპლინებს, რომელთა შორის ხაზგასმულია სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, ცხადია, რომ შედეგების გასაზომად მთავარი ორიენტირი გვაქვს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ის მთავარი დებულებები, რომელთა შესრულება და განხორციელება მართებს ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს, პროგრამა ასევე გვთავაზობს მასწავლებლის მისაღწევ შედეგად თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევის მეცნიერული მეთოდების ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ სტანდარტის შესაბამისად სიღრმისეულად დაუფლებას, მომავალი პედაგოგი გათვინობიერებული უნდა იყოს განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზაში.

მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პროგრამა ეყრდნობა და იზიარებს როგორც დარგობრივი მახასიათებლის, ისე მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მთავარ დებულებებს, ორივე დოკუმენტი გვთავაზობს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების აუცილებლობას, რაშიც მოვიაზრებთ იმა გარემოებას, რომ მასწავლებელი არ შემოიფარგლოს მხოლოდ მიღებული შედეგებით და ცოდნით, ორიენტირებული იყოს სიახლეების მიღებაზე, რაც მისი პროფესიული წინსვლის გარანტი იქნება.

თსუს მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მომავალ პედაგოგს გამოუმუშავოს ისეთი უნარები, როგორცაა ლიდერობა, ინიციატურობა, შემოქმედობითობა, სასწავლო პროგრამისა და გეგმის განვითარების დამოუკიდებელი ხედვა, მოსწავლეთა სკოლისადმი მოტივირება და სხვა ის უნარები, რომლებიც გულისხმობს და მოიაზრებს პრინციპულად გასხვავებული მასწავლებლის მომზადებას. აღნიშნული პროგრამის აღწერილობიდან ვიგებთ, რომ მისი კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს მეთოდისტ-მასწავლებლის უნარებსაც, რომელზეც სწორედ რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განათლების კანონში. ვთანხმდებით იმაზე, რომ ყოველივე ზემოთხსენებული კომპეტეციების და ცოდნით აღჭურვილი კადრის მომზადება საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას, რომელშიც ასახული იქნება მასწავლებლის და დარგის მეთოდის, სპეციალისტის მიმართ თანამედროვე მოთხოვნები, რომელიც თავისთავში შესაბამისობაში იქნება მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

თსუს სამაგისტრო პროგრამის მასწავლებელთა განათლების კურსდამთავრებულს მოეთხოვება რომ ჰქონდეს გამომუშავებული შემდეგი დამახასიათებელი პრინციპები:

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება რაც გულისხმობს დროის მენეჯმენტის უზრუნველყოფას, პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრას.

დასკვნის გაკეთების უნარი - მოიაზრებს აბსტრაქტულ აზროვნების, ანალიზის სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და თვითშეფასების უნარს. კურსდამთავრებულის მიერ სათანადო კომუნიკაციის უნარის ქონაში იგულისხმება სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების დამუშავებისა და ანალიზის უნარი, მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, რომელიც საკმარისია

პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობისა და წერილობითი ანგარიშების და პრეზენტაციების მოსამზადებლად. გარდა ამისა, მას ევალდებულება ინგლისური და კიდევ ერთ უცხო ენაზე პროფესიული საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის უნარს ფლობა. თსუ-ის განათლებების მეცნიერებების მაგისტრისთვის **სწავლის უნარი-გულისხმობს** სწავლის და ცოდნის მუდმივგანახლებას სასწავლო და კვლევითი უნარების განვითარებას, ამასთან ერთად პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერების შესაძლებლობას. რაც შეეხება **ღირებულებებს**, ამ შემთხვევაში მოვიაზრებთ იმ ფაქტს, რომ ის პატივს უნდა სცემდეს კულტურულ მრავალფეროვნებას, გააზრებული უნდა ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა და პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული სხვისი აზრის მიმართ რაშიც მოიაზრებენ ურთიერთობას ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, აღნიშნული პროგრამის თანახმად მოეთხოვება დააკმაყოფილოს სტანდარტში გაწერილი პუნქტები, მას ევალდებულება იცოდეს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მეთოდოლოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები ასევე სასწავლო პროცესში მოზარდის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, ჩვენ გვქონდა საუბარი მასწავლებელთა მხრიდან თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის აუცილებლობაზე, რაც ამ ეპოქაში გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, ამასთან ერთად თსუ-ის კურსდამთავრებულს მოეთხოვება კვლევითი მეცნიერული მეთოდების დამუშავება, რათა შემდგომ მოხახერხოს სამაგისტრო ნაშრომის დაწერა, თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა სთავზაობს სწავლების მეთოდის დაუფლებას და ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის შესწავლას, კურსდამთავრებულს როგორც მომავალ პედაგოგს მართებს გაითვალისწინოს პროფესიულ ეთიკური ნორმები, როგორც საკლასო ოთახში და კოლეგებთან ურთიერთობისას, ისე მშობლებთან თანამშრომლობისას. საგნობრივი სტანდარტი უფროს მასწავლებელს ავალდებულებს მუდმივად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით პროგრამა იმეორებს მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში გაწერილ დებულებებს, რაც ითვალისწინებს საგნობრივი პროგრამის ანალიზსა და დაგეგმვას.

აღნიშნული დებულებები პირდაპირი გამოძახილია ბოლონის პროცესში გაწერილი სახელმძღვანელო პუნქტებისა და თიუნინგის პროექტის მიერ დადებული რეზოლუციებისა.

ჩვენ მოგვიანებით კვლევითი ნაწილის ანალიზში გვექნება საუბარი იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად ახერხებს ეს პროგრამა და განუვითარებს სტუდენტებს ზემოთხსენებულ კომპეტენციებს, ვნახავთ იმას, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან კურსდამთავრებულები პროგრამით, გავეცნობით მათ შეხედულებებსა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გაწეულ რეკომენდაციებს.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს საკმაოდ დიდი მისია აკისრია, მან უნდა მოახერხოს და გაკვეთილი დაგეგმოს იმგვარად, რომ ამით ხელი შეეწყოს მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და მოსწავლეებს დაეხმაროს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან გამკლავებაში. ცოდნა გააზრების მხრივ მნიშვნელოვანია კლასის მართვის სათანადო უნარებით უზრუნველყოფა კონფლიქტების პრევენციისა და არსებული შემთხვევაში მისი მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები, აქედან გამომდინარე, დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილა და მასწავლებლის უნარიანობას, მოახდინოს ადეკვატური რეაგირება მშობლებთან, მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მან უნდა შეძლოს პოზიტიური გარემოს შექმნა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ეს ყველაფერი კი შესაძლოა ასახოს სასწავლო პრაქტიკის პორტფოლიოში, სადაც იგი დეტალურად აღწერს მის მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ სტრატეგიებს იქნება ეს კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების კუთხით მასწავლებელთა აღნიშნულ პორტფოლიოში უნდა შეძლოს და წარმოგვიდგინოს ეს ყოველივე იმგვარად, რომ შეფასებული და გაანალიზებული იყოს მათი ეფექტიანობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებში ძირითად ნიშანსვეტს წარმოადგენს იმგვარი აქტივობების ფორმირება, რითაც ხელი შეეწყობა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის პირველი სამასწავლებლო ინსტიტუტი 1919 წელს გადაკეთდა "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო

ინსტიტუტად". 1921 წ 29 ივლისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა ერთ პედაგოგიურ ფაკულტეტად. 1922 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგო ინსტიტუტი გადაკეთდა საპედაგოგო ფაკულტეტის ინსტიტუტად და მისი კურსის გავლა სავალდებულო იყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გეგმავდნენ სამომავლო პროფესიას პედაგოგობისთვის დაეკავშირებინათ. [მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში ქ. ჭკუასელი 2009წ.]

1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თსუ-ს რეორგანიზაცია. მის ბაზაზე შეიქმნა 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი. მათ შორის ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანია პედაგოგიური ინსტიტუტი. 1930-1931 სასწავლო წელს პედაგოგიურ ინსტიტუტს, ჩამოყალიბების დროს, 6 ფაკულტეტი ჰქონდა: ფიზიკა-მათემატიკის, საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური და გეოგრაფია-გეოლოგიური. შემდგომში დაემატა: ენისა და ლიტერატურის (ქართული და ევროპული), საზოგადოებრივ-ეკონომიური (ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიური განყოფილებებით), ფილოლოგიურ-პედაგოგიური (პედაგოგიური, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის განყოფილებებით), სახვითი ხელოვნების.(Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 43)

როგორც ვხედავთ, ამ უმძიმეს პერიოდში, სწორედ პედაგოგიურმა ინსტიტუტს დაეკისრა ძირითადი ჰუმანიტარული სპეციალობებისა და დისციპლინების თავმოყრა.

საბედნიეროდ, ყველაფერი მალე ჩადგა თავის კალაპოტში. საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის და ნაწილობრივ პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე მოეწყო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჯერად სწავლების ვადა განისაზღვრა 4-5 წლით და შეიქმნა 5 ფაკულტეტი სხვადასხვა განყოფილებებით და სექციებით (სულ 24 სექცია). უნივერსიტეტში, 1930 წლიდან ცალკე ერთეულად არსებული პედაგოგიკის კათედრა 1933 წლიდან ემსახურება ყველა ფაკულტეტს და შესაბამისად უნივერსიტეტის ყველა კურსდამთავრებულს ენიჭება მასწავლებლის წოდება. თუმცა ცხადია ეს არ ხდება მაგისტრატურის დონეზე, რადგან მაშინ ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ იდგა.

როგორც ვხედავთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითქმის გახსნის დღიდან, მასწავლებელს ამზადებს სპეციალური ფაკულტეტი და მისი წოდება ენიჭება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამ ფაკულტეტს გაივლიან. იმ დროინდელ მსოფლიოში არსებული მასწავლებლის მომზადების სისტემებიც სწორედ ასეა აგებული. (მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში ქეთევან ჭკუასელი 45გვ.)

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს განათლების სისტემაც ძირეულ ცვლილებებს განიცდის და ატარებს ქვეყნის პოლიტიკის ინტერესებს, რაც ცხადია, რომ ასახვას ჰპოვებს მასწავლებლის მომზადების სისტემაზეც. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა განსხვავებულია მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების სისტემებისაგან, სადაც მასწავლებლებს ამზადებენ უნივერსიტეტებთან არსებული სპეციალური ფაკულტეტები, განყოფილებები და კოლეჯები და მასწავლებლის კვალიფიკაცია ენიჭებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც თავიანთი სურვილის შესაბამისად გაივლიან აღნიშნულ ფაკულტეტებსა და კურსებს.

მასწავლებლებს ამზადებდნენ უნივერსიტეტები და პედაგოგიური ინსტიტუტები. ცალკე უნდა აღინიშნოს მასწავლებლის პროფესიული მომზადების საკითხი სკოლამდელი აღზრდის სექტორისათვის.

XX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს იმჟამინდელმა სახალხო განათლების კომისარიატმა თბილისსა და სხვა ქალაქებში დააარსა პედაგოგიური სასწავლებლები, სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდელებისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლების მოსამზადებლად. 1923 წელს დაარსდა თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი და მას თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი ეწოდა, სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი იყო. შემდგომში ინსტიტუტი ორად გაიყო და მასთან ერთად, 1935 წ. ჩამოყალიბდა ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამ დროიდან, 1935 წლიდან, პედაგოგიურ ინსტიტუტს იაკობ გოგებაშვილის სახელი ეწოდა და იგი ბოლო წლებამდე ემსახურებოდა სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მომზადებას საქართველოში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში არსებობდა პედაგოგიური ტექნიკუმები (თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი), რომლებიც ამზადებდნენ დაწყებითი სკოლისა და არასრული საშუალო სკოლის (IV-VIII)

ფიზკულტურის, ხატვისა და ხაზვის მასწავლებლებს, პროფესიული სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატებს. ეს სასწავლებლები იღებოდნენ საშუალო სკოლა- და რვაკლასდამთავრებულებს. მათთვის სწავლა 3-4 წელი იყო, პარალელურად ეუფლებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსს. საშუალო სკოლადამთავრებულთათვის სწავლა 2 წელი იყო. პედაგოგიური ტექნიკუმების კურსდამთავრებული დებულობდა დიპლომს, რომელიც უფლებას აძლევდა, ემუშავა შესაბამის თანამდებობაზე, ან გაეგრძელებინა სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში კონკურსში მონაწილეობის შედეგად. შემდგომში პედაგოგიური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ფუნქცია პედაგოგიურ ინსტიტუტებს დაეკისრა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოხდა საქართველოში არსებული სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების რეორგანიზაცია და მათ პედაგოგიური უნივერსიტეტები ან უბრალოდ, უნივერსიტეტები ეწოდათ. შესაბამისად შეიცვალა მათი სასწავლო გეგმებიც. გარდა ამისა, გაჩნდა ძალზე ბევრი არასახელმწიფო ინსტიტუტი და დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, რომლებიც ამზადებენ სკოლამდელი აღზრდის, დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს. ამასთანვე მასწავლებელთა მომზადების უმნიშვნელოვანეს კერად, ცხადია, რჩებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამგვარად, საქართველოში მასწავლებელთა პროფესიული მომზადება ძირითადად უნივერსიტეტებში ხდებოდა, რაც თითქოსდა ამაღლებს მასწავლებლის პროფესიულ პრესტიჟსა და მომზადების დონეს. მაგრამ ამ პროცესებს უარყოფითი მომენტებიც ახლავს. კერძოდ, საუნივერსიტეტო მომზადების საერთო სისტემაში მასწავლებლის მომზადება რიგით მოვლენად იქცა და ამ პროცესმა შეამცირა განსაკუთრებული ყურადღების დათმობა ამ მეტად საპატიო პროფესიისადმი. ხშირ შემთხვევაში Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 45 უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტები და სტუდენტები პედაგოგიური ციკლის საგნებს არასპეციალურ საგნებად მიიჩნევდნენ და გადატვირთული სასწავლო გეგმების პირობებში, ყოველნაირად ცდილობდნენ ამ საგანთა დატვირთვების შემცირებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სერიოზული ცვლილებები შეიტანა მასწავლებელთა განათლების პროცესში. კერძოდ,

2002/03 წლიდან უნივერსიტეტი გადავიდა იმ დროს მსოფლიოში აპრობირებულ მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პარალელური მომზადების მოდელზე, რომელიც არჩევითობის პრინციპზე იყო დაფუძნებული. ამასთან დაკავშირებით ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. განათლების რეფორმის პირობებში სახელმწიფომ მასწავლებელთა განათლება რეგულირებად დარგად გამოაცხადა. ცხადია, ეს მოვლენა მისასაღმებელია და ადეკვატურადაც იქნა აღქმული მასწავლებელთა მომზადების პროცესით დასაქმებული საზოგადოების მიერ. ამიერიდან, სახელმწიფო არეგულირებს და პრიორიტეტს ანიჭებს ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კადრის მომზადებას, როგორცაა სკოლის მასწავლებელი. ამასთანავე, განათლების კანონმა საბაზო სკოლის მასწავლებლის მომზადება მაგისტრატურის დონეზე განსაზღვრა. თავისთავად ესეც მისასაღმებელი და სასურველი ფაქტია. იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მომავალ თაობაზე და სურს მისი აღმზრდელი არა ბაკალავრი, არამედ სერიოზული სპეციალისტი, კერძოდ, მაგისტრი იყოს, საბედნიეროდ ოპონენტი ძნელად მოეძებნება. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას. კანონით განისაზღვრა, რომ მასწავლებელი არა რომელიმე სპეციალობის მაგისტრი, არამედ განათლების მაგისტრი უნდა იყოს. როგორც იქნა კანონის დონეზე გადაწყდა, რომ მასწავლებლობა არ ნიშნავს მხოლოდ საგნის ცოდნას, იგი კიდევ ამ საგნის სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცოდნას, პროფესიული უნარების გამომუშავებასაც გულისხმობს. ყოველივე ამას კი სერიოზული პედაგოგიური მომზადება სჭირდება. მასწავლებელთა მომზადებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცხადია, რომ მისასაღმებელია, მაგრამ ვიდრე ეს კანონმდებლობის დონეზე გადაწყდებოდა, საჭირო იყო დაფიქრება მოსალოდნელ შედეგებზე, ე.წ. რისკ-ფაქტორებზე, რაც თავის მხრივ Georgian Electronic Scientific Journal: Education Science and Psychology 2009 | No.1(14) 46 ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული.

საგულისხმოა, რომ ბოლონის პროცესი, რომლის წევრი საქართველო 2005 წელს გახდა, მასწავლებელთა მომზადების რამდენიმე მოდელს გვთავაზობს, სახელმწიფომ უნდა იფიქროს ამ მოდელებზე და უნივერსიტეტებს ისინი მთელი მრავალფეროვნებით, არჩევითობის პრინციპით, რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით შესთავაზოს. ამავე დროს უნდა გაიზარდოს სტუდენტთა მოტივაცია ამ დარგისადმი,

რასაც სახელმწიფოს მიერ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. როგორც საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, ისე მასწავლებელთა ანაზღაურების და პროფესიის პრიორიტეტულობაზე ზრუნვის მიმართულებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია გითხრათ, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა კვლავ სერიოზული გარდაქმნებისა და რეფორმების გზაზე დგას. ამ გარდაქმნებში აუცილებელია საკუთარი ტრადიციებისა და გამოცდილებების, საჭიროებების გათვალისწინება. რეფორმა მტკივნეული პროცესია, იგი ობიექტურებით იწვევს ღირებულებების გადაფასებას და ნგრევას. ამიტომ აუცილებელია რეფორმის გამტარებელმა უწყებებმა ამ პროცესს ძალზე ფრთხილად და გულისხმიერებით შეხედონ. მათ უნდა ახსოვდეთ, კანონების და დაგენილებების წერის გარდა უნდა გათვალონ მათი მოსალოდნელი შედეგები, რაც არცთუ ისე მარტივად განსაჭვრეტია.

§ 3 თავი სწავლების მომზადება - საერთაშორისო გამოცდილება

ამ თავში მიმოვიხილავ იმას, თუ რა გამოცდილებას გვთავაზობს მასწავლებელთა განათლების თვალსაზრისით საერთაშორისო გამოცდილება, განხილული მექნება გერმანია, ესტონეთი და ამერიკის შეერთებული შტატები კერძოდ კი სტენფორდში ჩატარებული კვლევა ,სადაც მნიშვნელოვანი შედეგები დაიღო და გავაკეთებ შედარებით ანალიზს ჩემს მიერ საკვლევ თემად არჩეულ პროგრამასთან.

§ 3 1. სტენფორდის კვლევა

თეორიული კვლევის ანალიზის ფარგლებში ჩემთვის მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტენფორდში ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამის კვლევა, იმის შესაფასებლად თუ როგორ მუშაობს მასწავლებელთა განათლების პროგრამა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სტრატეგიებად გამოყენებული გახლდათ კვლევები, ინტერვიუები. **კვლევის მიზანს** წარმოადგენდა იმ ცნობების შეგროვება და ინფორმაციის დაფიქსირება, თუ როგორ აღიქვამდნენ სტუდენტები პროგრამის ელემენტებს, რაც ეხებოდა მათ პირად, მზაობას, დაკვირვებებს, პრაქტიკასა და სასწავლო განათლების შემდგომ მათი პრაქტიკის შეფასებას, პრაქტიკის სტრუქტურირებულ პორტფოლიოს ანალიზებს, სტუდენტთა შედეგებს, რომლებიც მოიცავს დამატებით ღირებულ საზომებს.

მოცემული კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი რეზულტატი: სტუდენტების შესწავლის მონაცემი ცალკე აღებული, როგორც საზომი მასწავლებელთა ეფექტურობის გასაზომად არ გამოდგებოდა დამხმარე საშუალებად, იმისთვის რომ მიეღოთ გადაწყვეტილებები პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ამიტომ საჭირო გახდა მიდგომების რანჟირება, გარდა ამისა, ამ კვლევის მიხედვით გამოვლინდა ისიც, რომ შესაძლოა აქ ყოფილიყო სწავლების ვიწრო ჭრილში გაზომვა სტანდარტული ტესტით. რაც არ მოგცემდა საშუალებას ობიექტურად გამოგვეტანა დასკვნა. ამავე

დროს, მნიშვნელოვანია, ისიც, რომ კურსდამთავრებულებისთვის ხელმეორედ იქნა გამოყენებული რაოდენობრივი კვლევა, რათა შედეგებში უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო სწავლების მზაობის აღქმა, უზრუნველყო მონაცემები რწმენებსა და პრაქტიკას შორის და ინფორმაცია კარიერულ გზის შესახებ. კვლევის გამხორციელებლები საუბროდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ჰქონდათ თვით რეფლექსიის დეფიციტი (შეზღუდული რაოდენობა). საბოლოო ჯამში, კვლევა გვიჩვენებს მნიშვნელოვან კორელაციას აღქმებსა და მასწავლებლობის შეგრძნებებს, თვითეფექტურობას შორის.

კვლევამ ასევე აჩვენა ის, რომ სტენფორდის მასწავლებელთა განათლების კურსდამთავრებულთა 87%-მა კურსდამთავრებულმა გააგრძელა მოღვაწეობა საგანმანათლებლო პოზიციაზე, უმრავლესობამ სხვადასხვა სკოლებში და ბევრ მათგანს ჰქონდა ლიდერის პოზიცია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ მიერ მიღებული ცოდნა აღნიშნულ პროგრამაზე იყო რელევანტური თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდებოდა ასეთი დიდი კონტიგენტის დასაქმება სხვადასხვა საგანმანათლებლო პოზიციებზე. პროგრამის განახლება აღმოჩნდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ მათ მიეღოთ სრულფასოვანი განათლება რაც დაეხმარათ დასაქმების კუთხით საკუთარი თავის რეალიზებაში, თეორიაში ნასწავლი ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებაში. თუკი პარალელს გავავლებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებთან, ვნახავთ, რომ კურსდამთავრებულთა ის ნაწილი, რომელთაც დამთავრებული აქვთ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამა “მასწავლებელთა განათლება”, 3-4 წლის წინ ავლენენ განსხვავებულ დამოკიდებულებას ახალი კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით, ვგულისხმობთ იმას, რომ ახალი კურსდამთავრებულებისგან განსხვავებით მათი პოზიცია მეტად ხისტი და ცალსახაა პროგრამის როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებთან მიმართებით. ვვარაუდობთ რომ ეს განსხვავება პასუხებს შორის დროის ფაქტორთან არის დაკავშირებული, რამოდენიმე წლის წინ კურსდამთავრებულმა გაანალიზეს რა პროგრამაზე ნასწავლი, დროთა განმავლობაში პრაქტიკაში შეძლეს (ან ვერ შეძლეს) მისი წარმატებულად გადატანა, და, ჩვენი ვარაუდით, ის სტუდენტები, რომლებიც წელს ასრულებენ პროგრამას, რამოდენიმე წლის შემდეგ ჩატარებული

გამოკითხვის შემთხვევაში განხვავებულ შედეგებს შემოგვთავაზებენ. ჩვენ ვმსჯელობთ ჩვენი სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტს ობიექტური სარჩული ახლავს.

დაასკვნეს, რომ მასწავლებლები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ იყვნენ უფრო მეტად მომზადებულები უკეთ ახერხებდნენ მორგებას, შეთავსებას სწავლებასთან რომელიც დამყარებული იყო სტუდენტების პროგრესზე და სხვადასხვა სწავლების სტილზე, ახერხებდნენ კვლევის გამოყენებას გადაწყვეტილების მიღების დროს უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სტუდენტების მობილიზებას, საკუთარი სასწავლო მიზნებისა და სამუშაოს შეფასებისას.

ცხადია, რომ აღნიშნული გამოკითხვის მონაცემები ვერ მოგვცემს მთლიანად ამომწურავ ინფორმაციას იმისთვის, რომ მოვახდინოთ დახარისხება შესაძლო გამოცდილებებსა და ამ პროგრამის ცვლილებებში რაც დიდ განსხვავებას ქმნის. მკვლევრებმა საჭიროდ ჩათვალეს უფრო ღრმად ეკვლიათ კურსდამთავრებულთა ინტერვიუები, სადაც ისინი საუბრობდნენ მათ თვით რეფლექსიაზე თუ როდის და როგორ გახდა მათი ცოდნა უფრო მნიშვნელოვანი. ასევე მნიშვნელოვნად ჩათვალეს იმ მონაცემების შეგროვება თუ რას აკეთებდნენ კანდიდატები საკლასო ოთახში და რა გავლენა მოახდინა მათმა გადაწყვეტილებებმა პრაქტიკაზე.

სტენფორდში ჩატარებული კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები მასწავლებელთა კანდიდატებთან აღნიშნული ინტერვიუები მნიშვნელოვანია დაემატოს გამოკითხვის შედეგებს, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიაზროთ მათი შეხედულებები თუ რამდენად კარგად იყვნენ მომზადებულები. ერთის მხრივ მაგალითში მკვლევრებმა გამოიკვლიეს კურსის შედეგები, რომლებიც განახლდა, მეორეს მხრივ, შეფასდა მისი შემდგენელი ნაწილები, მესამე კი იყო პროგრამის მთლიანი ეფექტიანობის განსაზღვრა, ყველა ამ კვლევაში კანდიდატებს ეკითხებოდნენ არა იმას, თუ რამდენად კარგად იყვნენ მომზადებულები არამედ იმას თუ როგორ აღიქვეს სპეციფიკური კურსი და გამოცდილება, ეს ყველაფერი ბევრ სხვა მონაცემებთან ერთად დიდი ინფორმაციას გვაძლევს.

ინტერვიუები ჩაატარეს არა მხოლოდ იმისთვის, რომ აესახათ რა ისწავლეს არამედ იმისთვის, რომ გამოეკვლიათ რამდენად ახერხებდნენ ისინი შემენილი ცოდნის

რეალიზებას, აინტერესებდათ მათი წინა და სამომავლო გეგმები, კითხვები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნასწავლის პრაქტიკასთან ბმის უზრუნველყოფა. სილამუსი იყო ძალიან კარგი დამხმარე საშუალება მოგვიანებით ამ პროგრამის სადიაგნოსტიკოდ.

სტენფორდში ჩატარებული კვლევის შემდეგ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია, იმისთვის, რომ შეიქმნას უფრო ძლიერი პროგრამა სადაც უკეთესად იქნება ინტეგრირებული თეორია და პრაქტიკა და კანდიდატებს მისცემს საშუალებას იყვნენ უფრო წარმატებულები სხვადასხვა შემსწავლელებთან, მაღალი საჭიროების სკოლებსა და საზოგადოებაში. ამის მისაღწევად კი გადაიდგა ნაბიჯები, რაც გულისხმობს იმას, რომ ფაკულტეტი გაერთიანდა განახლებულ კურსებში და გამთლიანდა. კურსებმა გააერთიანა თანამდებობები და მასწავლებლის საქმიანობების შეფასებები (სტუდენტების კვლევის შედეგები, გამოკითხვები სწავლისა და სწავლების ანალიზები, სასწავლო პროგრამის გეგმები) იმისთვის, რომ შეიქმნას კონკრეტული აპლიკაციები და ერთწლიანი სტუდენტებისთვის სწავლების სტაჟირებები, სტუდენტების სწავლების სტაჟირებები საგულდაგულოდ იქნა შესწავლილი იმისთვის, რომ კანდიდატებს დაეკავებინათ ადგილები ექსპერტ მასწავლებლების გვერდით.

საბოლოოდ, პროგრამა მოითხოვს სკოლებში განვითარდეს სამართლიანობაზე ორიენტირებული პრაქტიკა მრავალფეროვან შემსწავლელებთან. ეს მოიცავს სკოლებში რეფორმებისა და რეკონსტრუირების განხორციელებას. მთავარი, აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალმა მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ პრაქტიკა პრაქტიკაში უნივერსიტეტების და სკოლების მუშაობა მჭიდროდ უნდა ინტეგრირდეს და გაძლიერდეს.

სტენფორდში ჩატარებული კვლევა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან მაგალითს ჩვენი კვლევის განხორციელების თვალსაზრისით, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევის რეზულტატებსა და სტენფორდში ჩატარებულ კვლევის შედეგებზე შორის არსებობს მრავალი საერთო მახასიათებელი. რაშიც ვგულისხმობთ პირველ ყოვლისა იმას, რომ ჩვენი კვლევის საგნად არჩეული პროგრამის შესაფასებლად, მისი გამოწვევებისა და პერსექტივების დასახვის მიზნით, შევიმუშავეთ როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივი მეთოდი იმისთვის, რომ გამოვლენილ შედეგებს

მოეცათ უფრო მეტი ინტერპრეტაციის საშუალება. საერთო მახასიათებლებთან ერთად გამოვლინდა განმასხვავებელი ნიშანი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მიუხედავად რამოდენიმე გამონაკლისისა, კვლევის ფარგლებში საშუალება მოგვცა მიგველოთ თვირეფლექსიის დიდი დოზა ჩვენი პროგრამის კუსრდამთავრებული სტუდენტების მხრიდან.

როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული კვლევის შედეგები აღმოჩნდა საკმაოდ მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ყოფილიყო მასტიმულირებელი მოტივი პროგრამის მესვეურებისთვის, მათი ხელმძღვანელების მხრიდან გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

§ 3.2 მასწავლებელთა მომზადება ესტონეთში

მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია პარალელი გავავლოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან, ერთ-ერთ ასეთ ქვეყნად შევარჩიეთ ესტონეთი, სადაც ტრადიციულად მასწავლებლობა არ ყოფილა მაღალი სტატუსის და მაღალანაზღაურებადი პროფესია, თუმცა უკვე 2000 წლისთვის ქვეყანა მასწავლებელთა ნაკლებობის წინაშე აღმოჩნდა. ძალიან რთული იყო ნიჭიერი ახალგაზრდა ხალხის შერჩევა, ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემური გახდა მას შემდეგ რაც მათ კონკურენტულ ტექნოლოგიურ სფეროებში გაჩნდა მაღალანაზღაურებადი სამსახურები, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მასწავლებლობის პროფესიისთვის მაქსიმალურად ხელის შეწყობა და სახელმწიფოს ინტერსის საგანიც სწორედ აღნიშნული ფაქტორი გახლდათ.

ესტონეთმა მოახერხა საბჭოთა ეპოქის დასრულების შემდეგ გარდაექმნა საგანმანათლებლო სისტემა და პიზას კვლევების თანახმად (2015). დღეს ის გვევლინება ერთ-ერთ საუკეთესო რეფორმატორად საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია განვიხილოთ საერთაშორისო გამოცდილება და სამაგისტრო პროგრამები, რომლების მასწავლებელთა განათლებას მიმართულებას ემსახურება. ამჯერად განიხილავთ სამაგისტრო პროგრამას ტალინის უნივერსიტეტში,

კურსის სახელწოდებაა” საგანმანათლებლო მეცნიერების სკოლა”. კურსის ფარგლებში ტალინის და ჰელსინკის უნივერსიტეტების კოლაბორაციით სტუდენტებს შეეთავაზებათ პროფესიული კომპეტენციის უმაღლესი დონე. სწავლების პირველ წელს მათ ჩაუტარდება უამრავი სემინარი სადაც მოხდება სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ინტეგრაცია, მესამე სემესტრი არის მოქმედების გეგმის შემუშავების და დანერგვის, ბოლო სემესტრში კი, მათ მოეთხოვებათ წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი . კურსი იყოფა სამ მოდულად (<https://www.tlu.ee/en/eduinfo>, ტალინის უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო მეცნიერებების სკოლა)

1. საგანმანათლებლო ინოვაცია

2..კვლევა

3.ლიდერობა და მართვა.

დიდი ყურადღება ეთმობა განათლებისა და ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირს ასევე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს ამ სისტემური მიდგომით გვთავაზობენ ახალ ინიციატივებს და ეფექტურ შეფასებას.

მთავარი მოდულები და კურსები.(საგანმანათლებლო ინოვაციები)

1. სწავლა და განვითარება
2. გლობალური საგანმანათლებლო ცვლილება
3. ინოვაცია, სკოლასა და საკლასო ოთახში
4. მასწავლებლის პროფესია და პროფესიული განვითარება

კვლევა და ანალიტიკა

1. მეთოდოლოგია ემყარება განათლების განვითარებას
2. საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და სწავლების ანალიტიკა

ხელმძღვანელობა, ლიდერობა და მენეჯმენტი

1. კულტურისა და ლიდერობის სწავლა
2. ინოვაციები, ცვლილებები ლიდერობაში

ინდივიდუალური საგანმანათლებლო განვითარების პროექტი

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო ურთიერთ კავშირს.

გარდა ამისა, ესტონეთში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები, გვთავაზობენ მასწავლებელთა სატრენინგო კურსს, რომელიც მოიცავს ხუთ წელს და სრულდება მაგისტრის ხარისხით, საკმაოდ დიდი ძალისხმევა გაიღეს იმისთვის, რომ გაეზარდათ მასწავლებლის პროფესიაში შემსვლელთა რიცხვი, დაწესდა ახალი დაჩქარებული პროგრამები, რომლებიც კურდამთავრებულებს სთავაზობს ხარისხს, ინტენსიური ტრენინგით მასწავლებლის სერტიფიკატს ორ თვეში. ორივე, უნივერსიტეტები და პროფესიული უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა დაწყებით განათლებას.

მასწავლებელთა ტრენინგი სამ კომპონენტს მოიცავს :

- ✓ ზოგადი განათლების კვლევები ;
- ✓ კონკრეტულ საგანთან მიმართებით ჩატარებული კვლევები;
- ✓ პროფესიული კვლევა;

ესტონეთში 2004 წლიდან მასწავლებლის პროგრამის ყველა კურდამთავრებულს მოსთხოვეს რომ გაეარა ერთწლიანი პერიოდი, სადაც მათ დახმარებას გაუწიეს მათმა კოლეგებმა/ მენტორებმა, ასევე საშუალება ჰქონდათ სხვადასხვა პროგრამებში მიეღოთ მონაწილეობა, რომლებსაც სთავაზობდნენ მათ მასწავლებელთა ტრენინგები-უნივერსიტეტებში. მასწავლებლები ვალდებული არიან მინიმუმ 160 საათიანი ტრენინგები გაიარონ, ხოლო იმ მასწავლებლებს რომლებიც პროფესიულ სასწავლებლებში იღებენ მასწავლებლის სტატუსს, მოეთხოვებათ მინიმუმ ორი თვე ყოველ სამ წელში, მასწავლებლები ვერ დაასრულებენ და ვერ გადავლენ ზედა საფეხურზე ვიდრე არ დაასრულებენ მიმდინარე პროფესიულ განვითარებას რაც გაწერილია კანონში. ეს ტარდება ან დამოუკიდებელი ტრენინგის ან სახელმწიფო მუნიციპალურ ინსტიტუტში ან კერძო სკოლებში ტრენინგის ლიცენზიით.

მასწავლებლის მოსამზადებელი ტრენინგები ორიენტირებულია დიაგნოსტიკურებასა და რეფლექსიაზე, მასწავლებლებს ატრენინგებენ კვლევის მიდგომებში,

კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, იმისთვის, რომ მათ საკუთარი თავი დაინახონ მკვლევრებად, რომელთაც ესმის სტუდენტის საჭიროებები, შეუძლიათ პრობლემების დიაგნოსტიკა, ცდიან ახალ პრაქტიკებს და აფასებენ მათ.

ესტონეთის განათლების მინისტრმა განავითარა ელექტრონული თვით განვითარების საშუალება იმისთვის, რომ მასწავლებლებს შეეფასებინათ საკუთარი თავი და შეერჩიათ სივრცე, სადაც ფოკუსირდებოდნენ თავიანთ განვითარებაზე. (ანალოგიური თვითგანვითარების სქემა გვაქვს ჩვენ შემუშავებული ჩვენს ქვეყანაში, სადაც მოქმედ პედაგოგებს აქვთ საშუალება შეაფასონ საკუთარი თავი, მოახდინონ რეფლექსია და იზრუნონ განვითარებაზე) მეორე ფაქტორი, რაზეც ყურადღება გაამახვილეს, იყო ტექნოლოგიების გამოყენება, იმ მიზნით, რომ მასწავლებელი ყოფილიყო სტუდენტის შესაძლებლობებში მაქსიმალურად ჩახედული გამოყენებინა ტექნოლოგიები კვლევასა და ანალიზში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესტონეთში მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს მოდელს სამომავლოდ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სამაგისტრო პროგრამისა, რომლის პროგრამაზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. საქართველოს განათლების სისტემა ერთგვარად იმეორებს ესტონურ მოდელს და ცდილობს, რომ მოარგოს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეს, თუმცა ჩემი აზრით, მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო, 120 კრედიტის პროგრამა არ კარგავს თავის მნიშვნელობას, ამის თქმა შეგვიძლია ცალსახად, რადგან როგორც პროგრამის მესვეურე, მათი საკმაოდ დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნავენ, ეს პროგრამა წარმოადგენს ერთგვარ დასაყრდენს, მათთვის ვისთვისაც მასწავლებლობის სტატუსის მინიჭებასთან ერთად მნიშვნელოვანია სრულფასოვანი ხარისხის ქონაც, რაც აღნიშნულ პროგრამაზე სწავლით იქნება შესაძლებელი, იმ შემთხვევაში თუკი გადაიდგმება სწორი ნაბიჯები და პროგრამის ხელმძღვანელობა და მისით დაინტერესებული საზოგადოება ყურად იღებს იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრას, რაზეც გვესაუბრებიან პროგრამის კუსრდამთავრებულები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვლევის პროცესში არ ყოფილა მხოლოდ ხარვეზებზე საუბარი და გვყავდა რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც კმაყოფილებას გამოხატავდნენ თსუ-ის მასწავლებელთა სამაგისტრო

პროგრამის გავლილი კურსით, აღნიშნავდნენ, რომ სწორედ იქ ნასწავლი თეორიული მასალა გახდა საფუძველი მათთვის პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ასათვისებლად.

§3.3 გერმანია- მასწავლებელთა მომზადება

რაც შეეხება გერმანიის მდგომარეობას მასწავლებელთა მომზადების მიმართულ-ბით, თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ გერმანიის ფედერაცია 16 მიწად იყოფა. განათლება გერმანიაში მიწების ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა. მიწების დონეზე საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებს კონკრეტულად მოცემული მიწის მმართველი ორგანო. თითოეულ ამ მიწაზე გააჩნიათ საკუთარი განათლების კანონი, რომელიც ფედერალური განათლების კანონის საფუძველზეა შემდგარი. განათლების სისტემის შინაარსი კი, როგორც ფედერალურ, ისე სხვადასხვა მიწის განათლების კანონებში წარმოდგენილია კლასიკური მრავალსაფეხურიანი სტრუქტურული ჩარჩოთი, რომლის შინაარსშიც სასწავლო საადმზრდელო დაწესებულებათა ერთიანობა მოიაზრება.

საგულისხმოა, რომ განათლების მართვის რგოლები კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში განიხილებიან. შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ გერმანია განათლების სისტემის მოწყობისას ამოსავალ პრინციპად სასწავლო-საადმზრდელო დაწესებულებათა ერთიანობას განიხილავს. შესაბამისად, ფედერალურ კანონში ვერ ვხვდებით მსჯელობას განათლების სისტემის შიგნით მმართველი რგოლებისა და განათლების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესახებ (Deutsch Bundesschulgesetz <http://www.bildungsexperten.net/wissen/das-bafog-gesetz/> 1)

გერმანიაში მასწავლებელთა განათლება მოიცავს შემდეგ დონეებს:

- ✓ დამწყები სკოლის მასწავლებელი
- ✓ საშუალო სკოლის მასწავლებელი
- ✓ უმაღლესი სკოლის მასწავლებელი
- ✓ პროფესიული სკოლის მასწავლებელი
- ✓ სპეციალური მასწავლებელი.

ინდივიდუალური ლონდერი პასუხისმგებელია როგორც სასკოლო ისე მასწავლებელთა განათლებაზე. ლონდერი გვათავაზობს საერთო ჩარჩოს მასწავლებელთა განათლებაში. იმისთვის, რომ გახდეს აპლიკანტი მასწავლებელთა განათლებაზე უნდა ჰქონდეს უმაღლეს განათლებაში შემსვლელი კვალიფიკაცია, რომელიც მიღებული ექნება 13 წელი სკოლაში ან 12 წელი ლონდერში. ყველა მასწავლებელი ორ ეტაპზე გადის ტრენინგებს.

1. დაწყებითი ფაზა მასწავლებელთა განათლების უნივერსიტეტში ან მუსიკის /ხელოვნების კოლეჯში, სწავლის ხანგრძლივობა 3-4 წლიდან (დაწყებითი სკოლის სწავლება. 4 -5 ან 6 წლამდე . კურსები მოიცავს სულ მცირე ორი საგნის სწავლებას ან მომიჯნავე საგანთა სწავლებას იმ საგნის ან მომიჯნავე საგანთა ჯგუფებში 2 საგანმანათლებლო თეორიისა და ფსიქოლოგიის სწავლებას ამას ემატება დამატებითი კვლევის სივრცეები და ზოგიერთი პრაქტიკული სამუშაოები სკოლაში.

მეორე ფაზის ბოლოს სტუდენტი მასწავლებელის ვალია ატვირთოს ძირითადი დოკუმენტი ძირითადად ეს არის დიდაქტიკის ერთ-ერთი საგანი, რომელსაც სწვალობდა უნივერსიტეტში, ერთი პრაქტიკული სწავლების გამოცდა თითოეულ საგანში ზეპირი გამოცდა დიდაქტიკასა და მეთოდურ საკითხებში საგანმანათლებლო თეორიებსა და სკოლის სხვა საგანმანათლებლო საკითხებზე.

გერმანიაში მასწავლებელთა განათლებასთან დაკავშირებით შემდეგი სახის რეკომენდაციებია გაცემული:

1. ითხოვენ რომ მეტად იყოს აქცენტი გაკეთებული პროფესიულ საჭიროებებზე და სწავლაზე, სუფთა სამეცნიერო კვლევები უნდა ფოკუსირდებოდეს განათლებაზე მეთოდებზე და დიდაქტიკაზე. საუბარია ასევე სკოლაში მუშაობის გაზრდაზეც.

2. მომავალი მასწავლებლების სხვადასხვა უნივერსიტეტების ფაკულტეტები უნდა გაერთიანდნენ გვთავაზობს უნივერსიტეტებში მასწავლებელთა განათლების ცენტრების დაარსებას.

(Teacher Education in Germany Michael Krueger Ministry of Education, State of Hessen მასწავლებელთა განათლება გერმანიაში)

1. უნივერსიტეტებში მასწავლებელთა განათლების საწყის ეტაპზე უნდა იყოს მეტად ხაზგასმული სწავლების პროფესიული საჭიროებები.

2.წმინდმა მეცნიერულმა კვლევებმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ განათლებას, მეთოდებსა და დიდაქტიკას.

3. კვლევები ასევე უნდა მოიცავდეს დიდი დოზით სკოლაში მუშაობას.

მეორე რეკომენდაცია მდგომარეობას იმაში, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის მომავალი მასწავლებლების თანამშრომლობას უნდა შეეწყოს ხელი, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია და პროფესიული საჭიროებების ურთიერთ გაზიარება. რეკომენდაცია ასევე მიემართება უნივერსიტეტში მასწავლებელთა განათლების ტრენინგების დაარსებას. მნიშვნელოვანი იქნება თუ ტრენინგები, რომლებიც მოიცავს თანამშრომელთა ურთიერთახმარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სამუშაო ადგილზევე გახდეს სამომავლო პროფესიული განვითარების სისტემის ნაწილი.

დამატებითი მოტივაცია არის ის რომ მოხდეს რესტრუქტურირება მასწავლებელთა განათლებაში, პრობლემები მოგვარებადი გახდება მხოლოდ მაშინ როცა ევროპაში მასწავლებელთა მობილობა შედარებით სტანდარტებს დაეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში მასწავლებელთა განათლების პროგრამებს უამრავ მხარდამჭერთან ერთად ბევრ კრიტიკოსიც ჰყავს, ყველა ერთხმად აღიარებს სამ ძირითად პრინციპს:

- ✓ მასწავლებელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს საგანი
- ✓ მასწავლებელს უნდა შეეძლოს წარმატებული სასწავლო პროცესის მართვა
- ✓ მასწავლებელი უნდა იყოს ძლიერი პიროვნება

გერმანიაში მასწავლებელთა პროფესია საკმაოდ პრესტიჟული და საპასუხისმგებლოა, სწორედ აქედან გამომდინარე გერმანიის მთავრობა ამ პროფესიაში შემსვლელთათვის ძალიან ბევრს ფიქრობს . ვიდრე აბიტურიენტი გადაწყვეტს დაეუფლოს თუ არა მასწავლებლის პროფესიას, იგი ვალდებულია გაიაროს ორკვირიანი შესავალი პრაქტიკა პროფესიაში. ამ პრაქტიკის განმავლობაში მას შესაძლებლობა აქვს რომ დააკვირდეს სასწავლო პროცესს, რამდენიმე რაკურსით იქნება ეს მოსწავლის, მასწავლებლის თუ დირექციის ხედვით.მას საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ, საგულისხმოა რომ ამ ორი კვირის განმავლობაში აბიტურიენტი არ ფასდება და ამ პროცესს აქვს წმინდა ფსიქოლოგიური დატვირთვა, რაც ნიშნავს იმას რომ იგი ეხმარება აბიტურიენტს გადაწყვეტილების მიღებაში, იმის გაანალიზებაში რომ იგი მასზე მორგებულ გადაწყვეტილებას იღებს და სამომავლო პროფესიას სწორად ირჩევს.

ვფიქრობთ, რომ გერმანიას ამ მხრივ საკმაოდ სწორი პოლიტიკა აქვს შემუშავებული რადგან მის მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მასწავლებლის მომზადება არამედ მისი შენარჩუნებაც.

სკოლის დასრულების შემდეგ აბიტურიენტს საშუალება აქვს პრაქტიკის მეორე ეტაპი გაიაროს უკვე ბაკალავრიატში სწავლების დროს. ამ შემთხვევაში შეფასება ხდება მენტორ მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის პროფესორის მიერ რაც გავლენას ახდენს სტუდენტის საბოლოო შეფასებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ბაკალავრშივე სტუდენტს შეუძლია განივითაროს კვლევის უნარები, ჩაატაროს ის და შედეგები თავის პორტფოლიოში ასახოს. აღნიშნული კვლევის ჩატარება უნდა მოხდეს სკოლაში მენტორის ხელმძღვანელობით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი თვისობრივი კვლევის ფარგლებში, გერმანიაში მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით არის ის გარემოება, რომ იმისთვის რომ სტუდენტმა მოიპოვოს მასწავლებლობა აუცილებელია **მაგისტრის ხარისხი**, გერმანიაში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების დროს სტუდენტი ნახევარზე მეტს დროს სკოლაში ატარებს რადგან სამაგისტრო ნაშრომისთვის მას სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობა სჭირდება.

როგორც აღვნიშნეთ, გერმანიაში მასწავლებლობის მსურველთათვის აუცილებელია მაგისტრის ხარისხი, ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროგრამას, მაგალითად ავიღეთ ბრემენის უნივერსიტეტი, სადაც პროგრამა მოიცავს სწავლებას შემდეგ საგნებში

- მეთოდები სპეციფიკურ დიდაქტიკაში;
- საგანმანათლებლო მეცნიერება ;
- ინტერნატურა

სამაგისტრო პროგრამა ბრემენის უნივერსიტეტში მოიცავს 4 სემესტრს სწავლობენ ორ ძირითად და ერთ მაინორ საგანს სავალდებულო საგნებია: გერმანული და ელემენტარული მათემატიკა. მესამე საგნის არჩევაში არიან თავისუფლები.

მეცნიერებისა და დიდაქტიკის საგნები შემდეგნაირად არის გადანაწილებული კრედიტულებში: საგანი A -24 კრედიტულა, სადაც 12 კრედიტი სამეცნიერო საგნებს ეთმობა და 12 - დიდაქტიკის საგნებს.

საგანი B მოიცავს ასევე 24 კრედიტულას, და აქაც 12 კრედიტი დათმობილი აქვს ანალოგიურად სამეცნიერო და 12 კრედიტი დიდაქტიკის საგნებს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ პედაგოგიკის საგნებით დატვირთვის ხარისხი. ბრემენის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე მომავალ მასწავლებლებს შეეთავაზებათ 27 კრედიტულა, რომელთაგან 9 კრედიტს ზოგადი კვალიფიკაციის საგნები შეადგენს, პრაქტიკული სემესტრი მოიცავს 15 კრედიტს მაგისტრის მოდული დიდაქტიკის საგნებში ან საგანმანათლებლო მეცნიერებებში მოიცავს 21 კრედიტულას.

თუ შევადარებთ ბრემენის უნივერსიტეტის ბაკალავრის პროგრამასა და სამგისტრო პროგრამას, ვნახავთ რომ ბაკალავრზე ასწავლიან დიდაქტიკას, პედაგოგიკას და სასკოლო პრაქტიკის 26 %-ს მაგისტრზე კი 80 % დათმობილია პროფესიულ სწავლებაზე. ბრემენის უნივერსიტეტისთვის დამახასიათებელი თვისებებია:

- სავალდებულოა არაერთგვაროვან განსხვავებულ სწავლების ჯგუფებთან ურთიერთობა

- თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი
- სამაგისტრო პროგრამაზე პრაქტიკული სემესტრი

აქ ვფიქრობ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩემს მიერ გამოკითხულ რესპოდენტებს შორის იყო რესპოდენტთა ის კატეგორია, რომლებმაც ისურვეს 1 სემესტრის მაგივრად 2 სემესტრზე ყოფილიყო გადანაწილებული სასკოლო პრაქტიკის პერიოდი, რის მიზეზადაც დაასახელეს უფრო შედეგიანი და პროდუქტიული სწავლების პერსპექტივა. მათთვის 1 სემესტრი არ წარმოადგენს საკმარის დროს იმისთვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს სრულფასოვანი პრაქტიკა. რაც შეეხება გერმანიას აქ, სტუდენტისთვის პრაქტიკის ყველა დონისთვის არსებობს სტანდარტები რომელთა მიღწევაც ევალდებულება მას. გთავაზობთ სტანდარტის შესრულების ინდიკატორებს.

- სტანდარტი: სტუდენტს შეუძლია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების და საჭიროებების დადგენა (მაგალითად ასაკობრივი, სოციალური მდგომარეობა. და მათი შესაბამისი მოქმედება).
- ინდიკატორები: სტუდენტი ატარებს სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა გამოკითხვას მათი საწროებების დადგენის მიზნით.

სტუდენტი აკვირდება ცალკეული მოსწავლეების ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში სასწავლო პროცესის დროს და აკეთებს მათზე ჩანაწერებს.

სტუდენტი ეხმარება მოსწავლეებს დავალებათა შესრულების დროს წარმოჩენილი სირთულეების გადალახვაში.

თეორიული ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადადის დამამთავრებელ საფეხურზე. რასაც გერმანიაში მაძიებლობის პერიოდი ჰქვია.

ნორდრაინ-ვესტფალიაში მომავალი მასწავლებელი 18 თვის განმავლობაში გადის პრაქტიკას სკოლაში, სკოლაში მუშაობის შემდეგ ხდება მასწავლებელი. განათლების რეფორმატორების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ 18 თვიანი მაძიებლობის პერიოდი ართულებს მასწავლებელთა მომზადების პროგრამას და შესაძლოა მრავალმა აბიტურიენტმა თქვას უარი მასწავლებლის პროფესიის დაუფლებაზე. მაგრამ ამ იდეის დამცველთა არგუმენტი არანაკლებ ძლიერია, იმისთვის, რომ მასწავლებელმა

დამოუკიდებლად და რაც მთავარია მაღალკვალიფიციურად შეძლოს მუშაობა ბავშვთან აუცილებელია საფუძვლიანი მომზადება და ამ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია მაძიებლობა, როცა მომავალი მასწავლებელი საბოლოოდ დახელოვნდება პროფესიაში. მასწავლებელთა განათლება გერმანიაში <https://www.internationalhu.com/master-programmes/teacher-education-in-german>)

გერმანიის ერთ-ერთ სამეცნიერო უნივერსიტეტ უტრიჩში სამაგისტრო პროგრამა ამზადებს მასწავლებლებს გერმანულ ენასა და ლიტერატურაში, მასწავლებლების მომზადება ხდება როგორც აღმზრდელ პედაგოგად, ისე გერმანული ენის სპეციალისტად, მომავალი კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ ენა უმაღლეს დონეზე, გარდა ამისა დაეუფლონ კრიტიკულ მიდგომებს განათლების ხარისხთან და სწავლებასთან მიმართებით. სწავლა მიმდინარეობს ორი წლის განმავლობაში, პირველ წელს სწავლობენ შემდეგ საგნებს:

- გერმანული გეოგრაფია
- TV ენის უნარები C2
- VD1 დიდაქტიკა 1
- LC1 ინტრო ლიტერატურის ანალიზი
- LC3 ლიტერატურა 1900 მდე
- TK1 ლინგვისტიკა 1
- საგანმანათლებლო მეცნიერებები
- კვლევა

მეორე წელს გვთავაზობენ ენის სრულფასოვან დაუფლებას, ენის უნარების მოდულის გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული C2 დონის შესაბამის სერტიფიკატს აიღებს გოეთეს უნივერსიტეტში, პროგრამაზე ყურადღება გამახვილებულია არამარტო ენის არამედ ლიტერატურის, ისტორიის და მსურველები გაივლიან კულტურულ და სამხატვრო განათლების კურსს, ეს მოდული გვთავაზობს ინტერნაციონალიზაციას, რას გულისხმობს გერმანულენოვან სამყაროსი პროგრამის ადაპტირებას. კურსის მეორე მოდული გახლავთ სწავლების უნარების განვითარება ამ შემთხვევაში გერმანიის სამეცნიერო უნივერსიტეტის სამაგისტრო დონეზე ხდება მაღალი კლასის მასწავლებლების მომზადება.

პროგრამა გვთავაზობს მომზადებას არ მხოლოდ აუდიტორიაში არამედ, ჯგუფებში სასწავლო პრაქტიკებზე, შეთავაზებულია როგორც ინდივიდუალური ისე ონლაინ კურსები, რაც

სწავლების მრავალმხრივობას და მრავალფეროვნებას უწყობს ხელს.(160 საათი არის პროგრამის ხანგრძლივობა) , მოქმედ პედაგოგებს პრაქტიკის გავლა შეუძლიათ თავის სკოლაშივე.

სამაგისტრო პროგრამა "მასწავლებელთა განათლება ინგლისურად" არის ნახევარგანაკვეთიანი, პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეძლებს ცოდნის გაღრმავებას ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში ლინგვისტიკაში და საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ფსიქოლოგიაში, გაიღრმავებს მკვლევარისთვის დამახასიათებელ თვისებებს, იმისთვის, რომ მსურველი მოხდეს ამ პროგრამაზე აუცილებელია C 2 დონის ენის ცოდნა, მასწავლებელი შეძლებს ასწავლოს საშუალო სკოლის ზედა კლასებში და ასევე უნივერსიტეტამდელ განათლებაში მიიღოს მონაწილეობა, მასწავლებელმა უნდა შეძლოს სასკოლო პროგრამის კრიტიკულად შეფასება და ფორმულირება, უნდა უზრუნველყოს შესაძლო გაუმჯობესების გზების განსაზღვრა და დანერგვა, მთავარი საგნები იქნება ინგლისური ენა და ლიტერატურა, ლინგვისტიკა და ენის პროფესიონალურად დაუფლების ასპექტები, პროგრამის მიხედვით სტუდენტი განივითარებს საკომუნიკაციო და აკადემიური წერის სტილებს, პროგრამის ძლიერ მხარედ მოიაზრებენ თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტის მჭიდრო ურთიერთკავშირს, სტუდენტებს კურსის ხელმძღვანელისგან საჭიროების შემთხვევაში უწყვეტი მხარდაჭერით იქნებიან უზრუნველყოფილნი. კურსის მოქნილი გრაფიკი სთავაზობს სტუდენტებს მოსახერხებელ გრაფიკს, პროგრამის 2 წელში გავლა სავალდებულო არაა მათ შეუძლიათ ეს კურსი 3 წელშიც გაიარონ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთხსენებულიდან გამომდინარე , მასწავლებლის მომზადება სამაგისტრო დონეზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოში არამედ, განვითარებული მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილში, ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მასწავლებელთა მომზადების სრულფასოვნებას, მის აღჭურვას როგორც საგნობრივი ისე მეთოდოლოგიური რესურსების ცოდნით, მომავალი პედაგოგის კვალიფიკაცია უპირობოდ მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სათანადოდ აღზრდის თვალსაზრისით.

XXI საუკუნე მართლაც რომ დიდი გამოწვევების ხანაა, დღეს მასწავლებლის მხრიდან პასიურ მდგომარეობაში ყოფნა პრაქტიკულად დანაშაულია, პირველ რიგში თავის პროფესიის და, მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა მოსწავლეების წინაშე, რომელთა მიმართაც მისი პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო დიდია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილი განუზომელია მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით, ვნახეთ, რომ უნივერსიტეტი დაარსებს დღიდან აქტიურად დგას მომავლი პედაგოგების მომზადების საქმეში. ამ საკითხთან დაკავშირებული მასალის სიღრმისეული გაცნობით ვხედავთ, რომ მომავალ პედაგოგს ევალდებულება საქართველოს კანონის მიერ სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად ედება მის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს, სამაგისტრო დონეზე მასწავლებლის მომზადების საკითხის დასმა არ იყო შემთხვევითი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტსა და დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი მასწავლებელთა სტანდარტები პირდაპირ გვხვდება მასწავლებელთა მომზადების ძირითად დოკუმენტებშიც, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება, ვგულისხმობ სასწავლო საუნივერსიტეტო პროგრამას, სილაბუსებს სადაც სრული სიზუსტით არის ასახული სტრუქტურული ერთეულების ფორმულირება და შემდგომ ეს პრინციპები ჩამოყალიბდა დისციპლინების მიხედვით სხვადასხვა მახასიათებლად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარდა საგნობრივად მნიშვნელოვანი ელემენტების განსაზღვრისა თითქმის ყველა დისციპლინის სილაბუსში ხაზგასმულია რომ კონკრეტული საგნის შესწავლას საფუძვლად უდევს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, რაც ვფიქრობ, რომ ძალზედ მართებულ მიდგომას წარმოადგენს და უპირობო აუცილებლობას საგნის სწავლების პროცესში. თითოეული მასწავლებლის აღნიშნული კომპეტენციებით შეიარაღება პასუხობს ევროპის საერთაშორისო სტანდარტებს მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებული კრიტერიუმების გაწერის განსაზღვრისას.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებულ ჩვენეულ დასკვნებს, აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი რომ ესტონეთში მასწავლებელთა მომზადებელ ტრენინგებში ხაზგასმული იყო პრობლემების დიაგნოსტიკა და მასწავლებელთა თვითგანვითარებაზე თვითრეფლექსიაზე ზრუნვა ასევე მნიშვნელოვანია სასკოლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული აქცენტი, რაც შეეხება გერმანიას, ამ ქვეყანაშიც მნიშვნელოვანია პროფესიული საჭიროებების გათვალისწინება გაზსგასმა ხდება განათლების მეთოდებსა

და დიდაქტიკაზე, მასწავლებლებისთვის გერმანიაში დამატებით მოტივაციას წარმოადგენს რეკონსტრუქტურიზაცია მასწავლებელთა განათლებაში და მისი დაუახლოვება ევროპულ მოდელთან. გერმანიაში მასწავლებლისთვის გაწერილ პროფესიულ სტანდარტებს ემატება ერთი პრინციპი, რომელიც არ გვხვდება სხვა ქვეყნის განათლების სისტემაში, ეს გახლავთ მასწავლებლის როლი იყოს ძლიერი პიროვნება, ამ შემთხვევაში გულისხმობენ საგნის ცოდნასა და სწავლების მეთოდების ფლობას.

როგორც ვნახეთ, გერმანიის სამაგისტრიო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი მასწავლებლების მომზადებას, საკმაოდ დიდი რაოდენობის კრედიტებს უთმობს ისეთ მნიშვნელოვან საგნებს, როგორებიცაა დიდაქტიკა, პედაგოგიკა და საგანმანათლებლო მეცნიერებები, ვიმედოვნებთ, რომ ამ საგნების სწავლება ხდება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში და დიდი აქცენტი კეთდება შესწავლილი მასალის, პრაქტიკაში გამოყენების ხარისზე, რის დანაკლისაც განიცდიდა თსუ-ის სამაგისტრიო პროგრამის კუსრდამთავრებულების დიდი ნაწილი. თუმცა არა გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა)

გერმანიაში განათლების სისტემაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს დამოკიდებულება მასწავლებლის პროფესიაში შემსვლელთათვის. ისინი დიდ ძალისხმევას ხარჯავენ იმისთვის რომ მომავალმა პედაგოგმა სრულად გაისიგრძეგანოს თავის სამომავლო პროფესიაში არსებული გამოწვევები და სამომავლო პესრპექტივები და, სწორედ აქედან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება იქნება თუ არა მზად დაეუფლოს მასწავლებლის პროფესიას.

სტენფორდის უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევაში მნიშვნელოვან ასპექტად მიმაჩნია თვით რეფლექსიასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაც ამაღლებს მასწავლებლის მომზადებულობას, ხდის მათ უფრო თავდაჯერებულს, ახელოვნებს პროფესიაში და უმაღლებს კვალიფიკაციას, რაც ერთობ მნიშვნელოვანია მათი მომავალი პროფესიისთვის.

სტენტორდში ჩატარებულ კვლევას ცხადია ჰქონდა ხარვეზებიც, რაც გამოიხატებოდა კურდამთავრებულთა შედეგების მხოლოდ სტანდარტული ტესტით გაზომვის

მცდელობაში .მაშინ როცა ვიხილეთ კუსრდამთავრებულთა რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება, მიუხედავად იმისა რომ წლის დასაწყისში ისინი პროგნოზირებნენ რომ კურსის განმავლობაში საჭირო ცოდნის მიღებას, და, ასეც მოხდა მათი ძირითადი ფოკუსი იყო აღქმებსა და წარმოდგენებზე სასწავლო პროცესის დროს, კუსრდამთავრებულები დიდი როლს ანიჭებდნენ თვით რეფლექსიას, პარალელს თუ გავავლებთ ჩვენი კვლევის რესპოდენტების პასუხებთან, ვნახავთ რომ მათ არანაკლები რეფლექტურობის განცდა აქვთ, და, სურთ რომ მისი რეალიზება მოახდინონ როგორც საკუთარი თავის ისე მოსწავლეთა მიმართულებით .

კვლევითი ნაწილი

მოცემული თავის მიზანია განსაზღვროს კვლევითი მეთოდოლოგია,, ასევე აღწეროს და განსაზღვროს მასწავლებელთა სამაგისტრო პროგრამის გამოწვევები და პერსპექტივები .

კვლევის ზოგადი აღწერა

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევა რამოდენიმე ეტაპად განხორციელდა, პირველ რიგში ჩატარდა თეორიული კვლევა, რომლის ფარგლებში ანალიზი გაუკეთდა საგანმანათლებლო და საკანონმდებლო დოკუმენტაციებს ასევე საარქივო მასალებსა და კვლევებს, მეორე ეტაპზე ჩატარდა ემპირიული კვლევა, რომლის მიზანი იყო „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შესწავლა და პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მომდევნო ეტაპზე სუბიექტური ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ პროგრამით დაინტერესებულ მხარესთან , ვფიქრობთ, რომ მისი აზრი უაღრესად მნიშვნელოვანია და გვაძლევს ობიექტური დასკვნების გამოტანის საფუძველს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, აქამდე არ ჩატარებულა თსუ-ის მასწავლებელთა განათლების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის კვლევა. შესაბამისად, ნაშრომი ამ მიმართულებით ავლენს სიახლეს და არ იმეორებს აქამდე არსებულ კვლევის შედეგებს.

რაც შეეხება კვლევის ამოცანებს , ისინი მდგომარეობს შემდეგში:

კვლევის ამოცანები

- ლიტერატურის/ დოკუმენტაციის ანალიზი
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება

- ემპირიული კვლევის ჩატარება
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

კვლევის საგანი წარმოადგენს თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა

კვლევის ობიექტს წარმოადგენს თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკა-განხორციელები პროცესი.

კვლევის მეთოდი- თვისებრივი კვლევა: ლიტერატურის ანალიზი და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის დაინტერესებულ პირებთან.

რეპოდენტთა შერჩევას ჰქონდა მიზნობრივი ხასითი, რადგანაც შევარჩიეთ თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები და პროგრამის ხელმძღვანელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იმისთვის, რომ სათანადოდ მოგვეხდინა განზოგადება და საბოლოოდ ობიექტური შედეგები აგვესახა.

კვლევის ინსტრუმენტად შევუმუშავეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა.

ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ დავიწყეთ პროგრამის ისტორიის გახსენებით. ქალბატონმა ქეთევანმა მოგვითხრო უნივერსიტეტში მასწავლებელთა მომზადების ისტორიის პერიპეტიები, იქ გზა, თუ როგორ მივიდა უნივერსიტეტი იმ გადაწყვეტილებამდე. განიხილა პროგრამის როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეები. ინტერვიუს სრულად გაცნობით მოგვეცემა საშუალება დავფიქრდეთ,

გავანალიზოთ მისი თვალით დანახული პროგრამის განვითარება და შესაძლო რისკები რაც, მისი თქმით, ბოლო პერიოდში გამოვლინდა.

1. მოგესალმებით ქალბატონო ქეთევან, თუ შეიძლება მოგვიყვით, როდის გაჩნდა იდეა უნივერსიტეტში მასწავლებელთა მომზადების მიმართულებით შეგექმნათ პროგრამა?

„მაშინ როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ ამ იდეის განხორციელება საქართველოში არ არსებებდა ტერმინები მაინორი(minor) და მეიჯორი (major) ეს ყველაფერი მოიტანა ბოლონიის პროცესმა როცა მან წარმოადგინა 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა და ის წარმოადგინა ორი კომპონენტით ერთი ეს იყო მთავარი მაჟორი და მეორე იყო მაინორი შეიძლება ვთარგმნოთ ეს როგორც უფრო ძლიერი და ნაკლებად ძლიერი. მოგეხსენებათ რომ ჩვენი ქვეყანა გამოსული იყო საბჭოთა სივრციდან და ოთხმოცდაათიან წლებში მიმდინარეობდა მუდმივი ზრუნვა და ფიქრი თუ რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა იმისთვის, რომ გაგვეუმჯობესებინა მასწავლებლის მომზადების საკითხი, შევისწავლეთ მთელი ევროპის გამოცდილება და ევროპული მოდელის შესაბამისად შევქმენით პროგრამა რომელსაც ერქვა მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამა რომელიც იყო 60 კრედიტიანი, მაგრამ ეს სამოცი კრედიტი არ უდრიდა დღევანდელი გაგებით სამოც კრედიტს ეს იყო ევროპული კრედიტი, რადგანაც მაშინ არ იყო შემოსული ბოლონიის პროცესი”,(ბოლონიის პროცესში საქართველო 2005 წელს ჩაერთო).

საგნები იყო 2 და 3 კრედიტიანი. სადაც მოიაზრებოდა როგორც დამოუკიდებელი მუშაობა ისე საკონტაქტო საათები, იყო წარმოდგენილი ორი მოდელით პარალელური და მიმდევრობითი მოდელი.

2. თუ შეიძლება განგვიმარტეთ რა იგულისხმებოდა ამ მოდელებში?

“პარალელურ მოდელი გულისხმობდა იმას, რომ ბაკალავრიატში სწავლებასთან ერთად სტუდენტი გადიოდა ამ პროგრამას და მიმდევრობით მოდელში მოვიაზრეთ ის გარემოება, რომ სწავლის დასრულების შემდეგ შეეძლოთ გადასულიყვნენ ამ პროგრამაზე”.

3. რაში მდგომარეობდა თქვენს მიერ ამოქმედებული პროგრამის ნოვატორობა, თუ ეს იყო მხოლოდ მიზანმიმართული ევროპული მოდელის, წარმოადგენდა თუ არა ეს მის იდენტურ ვარიანტს ?

„ასე იყო მთელს ევროპაში ან ცალკე შედიოდნენ ან პარალელურად გადიოდნენ. ჩვენ ავამუშავეთ პარალელური მოდელი და სასწავლო კურსებთან ერთად გადიოდნენ ამას, ოღონდ ეს ჩვენი პარალელური მოდელი იყო არჩევითი და ეს იყო სიახლე. ერთი სიახლე იყო ის რომ ეს პროგრამა იყო სამოც კრედიტიანი და მეორე ის, რომ იყო არჩევითი მანამდე პედაგოგიკა ისწავლებოდა ძალიან ცოტა საგნებით: პედაგოგიკა, პედაგოგიური პრაქტიკა საგნის სწავლების მეთოდოლოგია და ფსიქოლოგია, ჩვენ ამ სამოც კრედიტში შევიტანეთ ძალიან ბევრი საგანი, 40 კრედიტი იყო სავალდებულო 20 კრედიტი იყო არჩევითი. ზოგი ორ კრედიტიანი და ზოგი სამ კრედიტიანია“.

2. თუ შეიძლება გაიხსენეთ, რამდენად იყო დაინტერესება ამ პროგრამაზე ჩაბარების.

„პირველ და მეორე წელს პრაქტიკულად ასივე პროცენტმა აირჩია ეს პროგრამა, ეს იყო 2002 წლიდან. 2006 წელს შეიცვალა ყველაფერი დაიწერა ახალი რეგულაციები განათლების სამინისტროში შეიცვალა მიმდინარეობა ყველანაირად, კანონმა დაარეგულირა რომ მასწავლებლობის უფლება აქვს მხოლოდ მაგისტრს. ეს პროგრამა არსად არ ფიგურირებდა კანონში, მაგრამ უნივერსიტეტის ძალიან დიდი თანადგომითა და ხელშეწყობით ეს პროგრამა დავტოვეთ და სტუდენტებს ვუსხნიდით, მიუხედავად იმისა, რომ კანონში არ იყო გაწერილი პუნქტი ამ პროგრამის შესახებ, ეს კურსი მათ სამომავლოდ წაადგებოდათ.“

3. გყავდათ თუ არა ბევრი მსურველი?

4. *„3000-მდე ბავშვმა დაამთავრა ეს პროგრამა. 2009 წელს დაარეგულირა კანონმა მაინორ პროგრამა კანონით, სადაც ითქვა, რომ ბაკალავრში შეეძლოთ მაინორ პროგრამად გაეგლოთ. ჩვენთვის ეს სიახლე არ იყო ჩვენ ისედაც ვაკეთებდით ამას, უბრალოდ ამ კანონის შემდეგ გადავანწყვეთ იმგვარად რომ გაგვეტანა აკრედიტაციაზე“*

და 2009 წელს ამ პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, უნივერსიტეტში ეს პროგრამა არსებობს 2002 წლიდან მაგრამ აკრედიტაცია გაიარა 2009 წელს. და დღემდე არსებობს.

პროგრამის ხელმძღვანელი საუბრობს წინა წელს. (2018) მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც პარლამენტმა შემთხვევით ამოიღო ეს პროგრამა და აღარ ჰქონდა მაინორ პროგრამის დატვირთვა, საბედნიეროდ მათი დიდი ძალისხმევით ისევ აღადგინეს.

5. რაც შეეხება უშაულოდ მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო პროგრამას, როდის გაჩნდა და რა ფორმით?

„რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, მას შემდეგ რაც კანონში გაიწერა, რომ მასწავლებლობის მომზადების უფლება აქვს მხოლოდ მაგისტრატურას და თანაც განათლების მაგისტრატურას ჩვენ ყველა საგანში გავხსენით სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანი. პროგრამა ასე იყო ორგანიზებული ჰქონდა ერთი ქუდი, პედაგოგიური დისციპლინები 55 კრედიტი შემდეგ იყო დარგობრივი დისციპლინები სხვადასხვა დარგის ჩაშლილი 35 კრედიტი და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი. ეს პროგრამა ძალიან კარგი იყო და არსებობს დღემდე მაგრამ სამწუხაროდ სტუდენტების რაოდენობა ვერ გავზარდეთ 20-ზე მეტად მანამდე მოდიოდა 7-10 15-20“.

7. რა შემთხვევაში შეიძლება ამ პროგრამის გავლა?

ეს არის პროგრამა სადაც სტუდენტი შევიდოდა მას შემდეგ რაც დაამთავრებდა ბაკალვარში თავის რომელიმე სპოციალობას ფიზიკას ფილოლოგიას თუ ისტორიას და შემდეგ მასწავლებლად გახდომისთვის ჩააბარებდა ამ პროგრამაზე.

ხელმძღვანელი საუბრობს პროგრამის დადებით მხარეზე იმ კუთხით რომ პედაგოგიური სახის დისციპლინები არის სრულად წარმოდგენილი და თვითონ საგანი არის სრულფასოვნად წარმოდგენილი უამრავი მეთოდით, მიუხედავად იმისა, რომ არის ძალიან კარგი პროგრამა გულიტკივილს გამოთქვამს, იმასთან დაკავშირებით რომ არსებობს საგნები, სადაც არ არის მსურველთა დაინტერესება ესეთებია მაგალითად სამოქალაქო განათლება ასევე ქიმია. გამოთქვა ვარაუდი, რომ ამის მიზეზი შესაძლოა იყოს დროის ფაქტორი, რადგან ბევრი კუსრდამთავრებულისთვის 2 წელი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ხანგრძლივი პერიოდი შეიძლება იყოს. მასწავლებელთა

მომზადების სამაგისტრო პროგრამას 2019 წლის დეკემბერში ეწურება აკრედიტაციის ვადა, თუმცა ხელმძღვანელს ჯერ არ აქვს საბოლოოდ გადწყვეტილი დაწერს თუ არა ამ პროგრამას სამომავლოდ, იმიტომ რომ ძალიან მალე წელში შემოდის 300 კრედიტიანი პროგრამა, რომლის მიზანია საგნის მასწავლებლის ხუთწლიანი კურსის დასრულების შემდეგ იღებენ მაგისტრის ხარისხს, ფიქრობს, რომ მიუხედავად იმისა რომ ეს პროგრამა არ უკეტავს გზას მაგისტრატურას, რადგან პრაქტიკიდან გამომდინარე აშაკარაა რომ არცთუ ისე მცირეა იმ კურსდამთავრებულების რაოდენობა, რომლებიც წლების მერე გადწყვეტენ ამ პროგრამაზე ჩაბარებას და ხარისხის მიღებას. ამიტომ თვლის რომ ამ კატეგორიის მსურველთა ინტერესიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

„ამ პროგრამის მიღევად რეჟიმში ყოფნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გაჩნდა მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, მასწავლებლობის მსურველისთვის სულაც არაა აუცილებელი რომ ჩააბაროს მაგისტრატურაში და მოიპოვოს მასწავლებლის სტატუსი,“ ჩანს რომ ძალიან დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო რომ ავამოქმედოთ ეს პროგრამა. ვფიქრობთ, მაინც რომ ვერ იმუშავებს და სტუნდენტების რაოდენობას ვერ გავზრდით კონკურენტი პროგრამის არსებობის გამო.“

2007 წელს გაიხსნა სამაგისტრო პროგრამა მასწავლებელი. ჩვენს კითხვაზე ჰქონდა თუ არა უკუკავშირი და კონსულტაციები პრაქტიკაზე წარგზავნილებთან დაგვიდასტურა და დასძინა, ისიც რომ უნივერსიტეტში ჰყავთ რამოდენიმე წარმატებული კურსდამთავრებული დასაქმებული აღნიშნა ისიც, რომ განსაკუთრებით კარგი ნაკადი მოდის მათემატიკოსები ასევე ანგლისტები, კარგი ფილოლოგები იყვნენ. ძირითადი ნაკადი იყო ფილოლოგების უცხო ენა - მხოლოდ ინგლისური. იყვნენ ქართულის ინგლისურის და მათემატიკის მსურველნი, პროგრამის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესება ძალიან მცირეა, მიუხედავად იმისა რომ სკოლას სწირება კადრი მათი შემოდინება ამ პროგრამაზე მაინც არ ხდება დიდი მასტაბით. მაგალითად თუ სკოლას სჭირდება 20 მათემატიკოსი შემოდის 5 ბავშვი, ინტერვიუს ბოლოს მან გამოთქვა გულისტკივილი რომ დიდი ალბათობით აღარ დაწერს ამ პროგრამას სამომავლოდ.

თვისებრივი კვლევის ანალიზი:

გთავაზობთ გამოკითხული სტუდენტების მიერ ასახულ დეტალურ ინფორმაციას. გამოკითხული რესპოდენტების პასუხები ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე განსხვავდებოდა მათი აღქმის თვალსაზრისით, ზოგიერთი მათგანისთვის " დამაკმაყოფილებელი" შეფასება დადებით კონტექსტში მოიაზრებოდა ზოგიერთთვის კი პირიქით- უარყოფითი კონოტაციის მატარებელი იყო. გამომდინარე იქიდან , რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ ისე თვისებრივი მეთოდის ელემენტებს, რაოდენობრივი მახასიათებლის შებასებასთან ერთად მათ ჰქონდათ საშუალება განემარტათ მათი პასუხის განმაპირობებელი მოტივი.

1. გთხოვთ, შეაფასოთ „მასწავლებელთა განათლების" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საგნობრივი კომპეტენციების ბლოკის საგნებში მიღებული ცოდნა.

რესპოდენტთა დიდი ნაწილი საგნობრივ კომპეტენციაში მიღებულ ცოდნას დამაკმაყოფილებლად აფასებს რის განმაპირობებელ ფაქტორადაც ასახელებს ლექტორების კომპეტენტურობას. ასევე მეტი პრაქტიკული დავალების აუცილებლობას.

„დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ვფიქრობ დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე გამოწვევებს ბოლომდე ვერ პასუხობს ჩვენ მიერ მიღებული ცოდნა შევისწავლეთ ბევრი საინტერესო და აქტუალური საგანი, თუმცა მიმდინარე პროცესებთან მაინც არასამარისი ბერკეტია.“

„ჩემი მოლოდინები გამართლდა, ამიტომ ვთვლი რომ საგნებში მიღებული ცოდნა დამაკმაყოფილებელია“.

„იყვნენ ლექტორები, რომლებიც რეალურად ცდილობდნენ მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებული ლექციები ჩაეტარებინათ, გვაკეთებდნენ პრაქტიკულ აქტივობებს“

„სწავლის ხარისხი არის მაღალი“

„არის საინტერესო კურსი, თუმცა ვისურვებდი გადაახლებულიყო საგნები, იყო ისეთი საგნები, რომლებიც ჩემი აზრით არ უნდა ისწავლებოდეს არ უნდა ხდებოდეს საგნების გადაფარვა“

„აქ მიღებული თეორიული ცოდნა ძალიან დამეხმარა პროფესიული მუშაობისას“
„ აქ ნასწავლით ვხელმძღვანელობ პრაქტიკაში და საკმაოდ წარმატებულად“

„თსუ მასწავლებელთა განათლების პროგრამის ფარგლებში სწავლების ძველი თუ თანამედროვე მეთოდების ღრმა თეორიულმა შესწავლა და შემდგომში პრაქტიკაში გამოყენებამ ნამსვილად მომცა საშუალება დამედასტურებინა მასწავლებლის კომპეტენცია“

„ლექციების არა თანამედროვე მეთოდებით წარმართვა“

“ნამდვილად გავიარე ისეთი საგნები, რაც აუცილებლად გამომადგება როგორც მასწავლებელს მომავალში”

„სწავლების ძველმოდური სტილი და მეთოდოლოგია“

„ჩემი აზრით ეს პროგრამა არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტითაა გაწერილი“

„მათემატიკის მიმართულებით გვასწავლიდნენ თეიმურაზ ვეფხვაძე და ლამარა ქურჩიშვილი და ამ საგნის მეთოდოლოგია ძალიან კარგად შეგვასწავლეს“

“სასურველია ხდებოდეს საგნობრივი ცოდნის გაღრმავება უფრო პრაქტიკული კუთხით, რათა სწავლების პროცესში შესაძლებელი იყოს მიღებული ცოდნის საინტერესოდ მიწოდება.”

„კმაყოფილი ვარ ამ პროგრამით, აქ იყვნენ კომპეტენტური ლექტორები, რომელთაგან ბევრი ვისწავლე და ეს ცოდნა ძალიან დამეხმარა ჩემს პროფესიაში“

როგორც ვნახეთ აზრი ორად გაიყო, გამოკითხული რესპოდენტების ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ კმაყოფილია პროგრამით და აქ ნასწავლი გამოადგა მას თავის პროფესიულ საქმიანობაში, თუმცა მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ პროგრამის მიერ აღებული კურსი არ მოდის შესაბამისობაში თანამედროვე სტანდარტებთან და ის აუცილებლად საჭიროებს მოდიფიცირებას. იმასაც აღვნიშნავთ, რომ კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს, ვინც პროგრამის დადებით მხარეზე საუბრობდა ეს კურსი დასრულებული ჰქონდა ორი-სამი წლის წინ და სავარაუდოდ მათ პროფესიულ საქმიანობაში შესვლისას უკეთ გამოსცადეს აქ მიღებული თეორიული ცოდნა მათი გადმოსახედიდან თუ ვიმსჯელებთ ზოგს წაადგა პროგრამაში ნასწავლი თეორიული ცოდნა და წარმატებულად მოახდინეს თავისი შესაძლებლობების რეალიზება სასკოლო პრაქტიკაში, თუმცა იყვნენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც საუბრობდნენ

პროგრამის უარყოფით, გამოსასწორებელ მხარეებზე და თვლიდნენ რომ პროგრამა აუცილებლად საჭიროებს თანამედროვე ელემენტების შეტანას და მოდიფიცირებას, აქედან გამომდინარე, მათი მსჯელობა ამ პრიზმიდან შეგვიძლია შევაფასოთ.

2. პრაქტიკის განხორციელების პროცესში მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორები იყო:

რესპოდენტების ნაწილი საუბრობს იმაზე მათ პრაქტიკის პროცესში ძირითად დაბრკოლებად ჰქონდათ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო ხელშეწყობა გარდა ამისა, საუბრობენ მენტორთან ურთიერთობის უარყოფით მხარეებზეც, რაც ძირითად შემთხვევაში გამოიხატებოდა მათი გადატვირთული გრაფიკით, არასაკმარისი ყურადღებით და ნაწილის აზრით, ზოგიერთი მენტორი არ იყო კომპეტენტური თავის საქმეში, ეს ცხადია სადავო საკითხია . ერთ-ერთი რესპოდენტი გვეუბნება

“ სკოლის დირექტორებს ჰქონდათ შიში ჩვენი სკოლაში შესვლისა და მათი მოსწავლეების გამოკითხვის”. პრაქტიკის პროცესში წარმოშობილ ერთ-ერთ დაბრკოლებად ასახელებენ უნივერსიტეტის მხრიდან არასახარბიელო თანამშრომლობას. ”სასურველია უნივერსიტეტიდან მეტი ჩართულობა, თუნდაც უშუალოდ პროცესზე დაკვირვება, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გამოიკვეთოს ის ხარვეზები, რომელთა გათვალისწინება და გამოსწორება(დახვეწა) პროცესში ჩართულს პირს სამომავლოდ დაეხმარება განვითარებაში”

საუბრობენ ასევე იმაზე, რომ მათი დროის უქონლობაც იყო ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი პრაქტიკის სრულფასოვნად განსახორციელებლად, რადგან რესპოდენტთა ნაწილი დღის პირველ ნახევარში მუშაობდა და ვერ ახერხებდა სკოლაში სისტემატურად სიარულს და გაკვეთილების ჩატარებას, ანუ სამსახურთან შეუთავსებელი აღმოჩნდა მათთვის პრაქტიკის პერიოდი. თუმცა ცხადია, რომ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდება პრაქტიკის დროის ცვლილება და სტუდენტებს ყოველთვის მოუწევთ გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ.

აღნიშნული პასუხებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ სკოლის ადმინისტრაცია სამწუხაროდ არ ავლენს საკმარის ენთუზიაზმს და მიმღებლობას იმისთვის, რომ შესაბამისი თანამშრომლობითი ურთიერთობა წარიმართოს პრაქტიკაზე წარგზავნილ სტუდენტებსა და მათ შორის. სტუდენტები სასკოლო პრაქტიკაში გავლილ პერიოდს სამწუხარონ არანაყოფიერად მოიხსენიებენ და ეს შეფასება არ არის სასიამოვნო და მისაღები. თუმცა, საუბრობენ კეთილგაწყობილ, თანამშრომლობით ურთიერთობაზეც, რითაც კმაყოფილებას გამოხატავენ. როგორც ვხედავთ ამ მხრივ გადასადგმელია სერიოზული ნაბიჯები, გასატარებელია კონკრეტული ქმედებები, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი სიტუაციები. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ კუსრდამთავრებულებიც 30% იყო მოქმედი პედაგოგი და მათ არ მოუხდათ პრაქტიკული კურსის გავლა სხვადასხვა სკოლებში, სადაც უნივერსიტეტს ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული და თავისივე სკოლაში მუშაობა ჩაეთვალათ, ასე რომ ისინი პრაქტიკის კურსის შეფასებაში ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას.

3.გთხოვთ შეაფასოთ უმაულოდ სკოლის მენტორთან არსებული ურთიერთობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც ამ მხრივ ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება, რესპოდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი ურთიერთობა მენტორებთან არ იყო ნაყოფიერი“ერთი მუდამ მოუცლელი იყო და არ ჰქონდა დაგეგმილი გაკვეთილები. მეორე კარგი იყო” თუმცა იყვენ ისეთებიც, რომლებიც საუბრობენ, რომ გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად მათ მაინც ჰქონდათ თანამშრომლობითი ურთიერთობა , იღებდნენ რჩევებს გაკვეთილის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

„ხშირად ვხვდებოდით და მეუბნებოდა რამე ხომ არ მჭირდებოდა და მეხმარებოდა”

”გარემო, რომელიც იყო შექმნილი მათი მხრიდან მეხმარებოდა არ ვყოფილიყავი დაძაბული და დამესვა ჩემთვის საინტერესო ნებისმიერი კითხვა თუ მიმელო მათი რჩევები.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მენტორთან ურთიერთ თანამშრომლობის თვალსაზრისით შეიმჩნევა როგორც დადებითი ისე უარყოფითი ნიშნები. გამოკითხული რესპოდენტების ნაწილი თვლის, რომ მენტორების მხრიდან მათ

მიმართ იყო არასაკმარისი ხელშეწყობა და დახმარების გაწევა, თუმცა გვყავს რესპოდენტები, რომლებიც კმაყოფილნი და მოხიბლულნი არიან განმახორციელებელ მენტორთან თანამშრომლობით, ცხადია, რომ შეუძლებელია ცალსახა დასკვნების გამოტანა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სკოლისთან ურთიერთობის საკითხი და თანამშრომლების მხრიდან ურთიერთობის ხარისხი გადახედვას საჭიროებს.

4. გთხოვთ შეაფასოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცესი

როგორც წინა პასუხებში ვნახეთ სტუდენტების აზრი აქაც ორად გაიყო, ჩვენს მიერ გამოკითხული რესპოდენტების დიდი ნაწილი საუბრობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ურთიერთობის საკმაოდ მაღალ ხარისხზე. „ხელმძღვანელი მუდამ საქმის კურსში იყო კვლევის ჩატარების, პრეზენტაციის მომზადების და ნაშრომის დაწერის პროცესების დროს ყოველ ნაბიჯზე ვიღებდი უკუკავშირს, რაც განაპირობებდა ნაშრომის და კვლევის გაუმჯობესებას.“

„სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მაქსიმალური ჩართულობა და მუდმივი მონიტორინგი“

„ყოველთვის მზად იყო დამხმარებოდა, მოეწოდებინა დამხმარე მასალები საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მაქსიმალურად ითვალისწინებდა ჩემს მდგომარეობას ყველა მიმართულებით“

„ხელმძღვანელი იღებს ჩემს ინიციატივას, ვმსჯელობთ და ამის მიხედვით ვმუშაობ სამაგისტრო ნაშრომზე“

„ძალიან კარგი ხელმძღვანელი მყავდა, საჭიროების შემთხვევაში მაძლევდა რჩევებს და ჩართული იყო თეზისის წერის პროცესში“

„ჩემი ხელმძღვანელი იყო კომპეტენტური ლექტორი და ნებისმიერ, ჩემთვის პრობლემატურ საკითხზე მუდამ მზად იყო დამხმარებოდა“

ხელმძღვანელის მხრიდან კმაყოფილი სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ დიდია, რაც პროგრამის დადებით მხარეს უსვამს ხაზს, თუმცა არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ და აღვნიშნოთ იმ რესპოდენტების პასუხები, რომლების საუბრობენ ხელმძღვანელებთან არც თუ სახარბიელო ხარისხის ურთიერთობებზე. ზოგი ამბობს,

რომ მათი ხელმძღვანელი ძალიან იშვიათად ახერხებდა დაკონტაქტებას, მუდმივად მოუცლელი იყო და სტუდენტს მარტოს უხდებოდა გამკლავებოდა ნაშრომის წერის პროცესში წარმოქნილ სირთულეებს, რამაც შემდგომ შედეგებზეც ჰპოვა ასახვა. ხელმძღვანელთან ურთიერთობის ხარისხით უკმაყოფილო სტუდენტები აღნიშავენ იმასაც რომ ორივე ორივე მხარე იმდენად დაკავებული იყო, რომ რთულდებოდა თავისუფალი დროის გამონახვა. იყო რესპოდენტების ნაწილი, რომლებმაც არ ისურვეს გაეცათ პასუხი ამ კითხვაზე და ჩვენთვის ბუნდოვანი დარჩა მათი პოზიცია ამ თემასთან მიმართებით. გვექონდა ასეთი პასუხიც ” რაც შეუძლიათ აკეთებენ”

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელმძღვანელთან ურთიერთობის ხარისხი მკვეთრად განსაზღვრავს ნაშრომის ხარისხს, და რესპოდენტების გულისწუხილი სწორედ რიგ შემთხვევაში გამოწვეული ამ არასაკმარისი ხარისხით იყო განპირობებული, თუმცა, ჩვენი ვარაუდით საურთიერთოდ მხოლოდ პირისპირ კომუნიკაცია არ არის აუცილებელი, დღეს უნივერსიტეტში დასაქმებული ადამიანი რთულად თუ გამონახავს თავისუფალ დროს(ამით ცხადია არ ვამართლებთ ზოგიერთი ხელმძღვანელის მხრიდან გამოვლენილ არაკეთილსინდისიერ ქცევას) მაგრამ საკომუნიკაციოდ არსებობს მრავალგვარი საშუალება, ცხადია, პირისპირ საუბრით პირდაპირი კომუნიკაციით სხვაგვარი ურთიერთობა ყალიბდება, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ობიექტური მოსაზრებებით შესაძლოა მეტნაკლებად არ ვიყოთ ცალსახად კრიტიკულნი. ცხადია, რომ ეს ნაწილი არის მსჯელობის და დავის საგანი და საჭიროებს სათანადო ყურადღებას.

5.რას ურჩევდით პროგრამის მესვეურთ მისი გაუმჯობესების კუთხით?

რაც შეეხება პროგრამის გაუმჯობესებას ამ თვალსაზრისით სტუდენტთა შეხედულებებს მათი ნაწილის ხედვა ასეთია:

„საჭიროა ახალი თანამედროვე მიდგომების შემოტანა, ასევე სკოლებთან უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა უნდა არსებობდეს, რათა დასაქმების კუთხით პრობლემა არ შეექმნათ მაგისტრებს.“

როგორც ვხედავთ, კურსდამთავრებული კონკრეტულ აქცენტს აკეთებს სკოლასთან თანამშრომლობის გააქტიურებაზე და მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით სამუშაოების ჩატარება აუცილებელია.”

„ვურჩევდი, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამა უფრო მეტად იყოს მორგებული თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს და პასუხობდეს მის გამოწვევებს”.

პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით გამოთქმული მოსაზრებები რომ შევაჯეროთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწილი გამოირჩეოდა ზოგადი რეკომენდაციებით და იყო კონკრეტულ საგანთან მიმართებით გამოთქმული რჩევებიც, ასე მაგალითად

„განათლების ისტორია, ძალიან დიდია, ვფიქრობ, ერთი სემესტრი პროგრამის სრულად დასაფარად საკმარისი არ არის.”

„ჩემი აზრით, საჭიროა სასწავლო მასალის გადახედვა მეთოდოლოგიაში, გრამატიკის მეთოდოლოგიის სწავლება“

ზოგი საუბრობდა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელი იყო პრაქტიკული კურსის გახანგრძლივება და ერთის ნაცვლად ორ სემესტრზე გადანაწილება. ხელმძღვანელობას ურჩევნ უფრო მეტი პრაქტიკული აქტივობით გაამდიდრონ კურსი. საკმაოდ ხშირია საუბარი პროგრამაში თანამედროვე ელემენტების შეტანაზე ასევე ბავშვთა ფსიქოლოგიის მიმართულებით პედაგოგიკის ღრმა განათლებაზე.

იყო ასეთი პასუხებიც „პროგრამა უნდა გაუქმდეს, ახალი რეფორმების შედეგად ამ პროგრამის არსებობას აზრი ეკარგება.“

პროგრამა საჭიროებს თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგებას, აუცილებელია ამოღებულ იქნას ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებში არ ჯდება, კურსდამთავრებულთა ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ აუცილებელია სასწავლო კურსის სილაბუსების გადახალისება და მეთოდების შეცვლა.

სასურველია მეტი ჩართულობა საწყის ეტაპზევე, რომ უფრო კარგად იყოს გამოკვეთილი ის მიზნები, რომელსაც ემსახურება ეს პროგრამა და მისი განხორციელების საშუალებები. ასევე, შესაძლებელია სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია რომ უკეთ გამოიკვეთოს ის დეტალები, რომელთა გაუმჯობესებაც საჭიროა.

„პროგრამის ხელმძღვანელობას ვურჩევდი იყვენ უფრო მეტად სტუდენტებზე ორიენტირებულნი, მისცენ მათ მეტი პრაქტიკული დავალება რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ მათ პროფესიულ საქმიანობას და პროგრამა გაახალისონ, აუცილებელია ის პასუხობდეს თანამედროვე სტანდარტებს”

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, გამოკითხული კურსდამთავრებულების დიდი უმრავლესობა ცალსახად მიიჩნევს, რომ პროგრამას სჭირდება გადახალისება, თანამედროვე დეტალებით აღჭურვა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ფეხი აუწყოს მის გამოწვევებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია იმ სტუდენტების მოსაზრებების გატვავისწინებაც, რომლებიც თვლიან, რომ პროგრამა საჭიროებს მოდიფიცირებას და გადახალისებას ბავშვთა ფსიქოლოგიის სწავლების მიმართულებით, რადგან საკუთარი გამოცდილებით შემძლია გითხრათ, სკოლაში შესულ მასწავლებელს კარგად პიროვნული თვისებებისა ევალდებულება რომ ამ მიმართულებით ჰქონდეს საკმად სრულფასოვანი ცოდნა, რადგან თანამედროვე სკოლა დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებელს და საკმარისი ცოდნის არ ქონის გამო ზარალდება ორივე მხარე მოსწავლეს და მასწავლებელიც. გარდა ამისა მიაჩნიათ, რომ აუცილებელია მთელი რიგი კონკრეტული საკითხისთვის ყურადღების დათმობა, როგორცა პრაქტიკული კურსის გახანგრძლივება, ძველი სახელმძღვანელოების შეზღუდვა და სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლება.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი


მოგეხსენებათ, ჩვენ თვისობრივ კვლევის მეთოდთან ერთად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევა, რათა უკეთ აგვესახა სტუდენტთა შეხედულებები და შთაბეჭდილებები პროგრამით კმაყოფილების შესახებ. მოგეხსენებათ რომ ჩვენს მიერ გამოკითხული სტუდენტების შერჩევა მოხდა მიზნობრივად, ანუ გამოვიკითხეთ კურსდამთავრებულები, რომლებმაც ეს პროგრამა დაამთავრეს 2015-2019 წლებში. შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლები, სულ გამოვიკითხეთ 30 სტუდენტი. გამოკითხვის ფორმა გხლდათ ელექტონული, კურსდამთავრებულმა

შეავსეს კითხვარი, მათი კონდფიდენციალურობის დაცვის თანხმობით . ვიმედოვნებთ რომ ეს პასუხები მოგვცემს განზოგადების საშუალებას.

როდის დაასრულეთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა?



responses




დიაგრამა1

როგორც ვხედავთ, გამოკითხული სტუდენტების 10%-მა (3) ეს პროგრამა დაამთავრა 2012-2014 წლებში. 2015 წელს 20%-მა, (6) 2017 წელს -6,7 %-მა (2) და 2019 წელს ეს პროგრამა დაამთავრა გამოკითხული სტუდენტებისდ 33.3 % (19), როგორც ვხედავთ, დიდი პროცენტული წილი მოდის წელს დაამთავრებულ სტუდენტებზე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ სტუდენტების პროცენტული ხვედრითი წილი, რომლებმაც სხვადასხვა წლებში დაამთავრეს საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგს გვაძლევს საკითხის განზოგადების და დასკვნების გამოტანის თვალსაზრისით, რომელზეც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

3. გთხოვთ, შეაფასოთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საგნობრივი კომპეტენციების ბლოკის საგნებში მიღებული ცოდნა.



30 responses




დიაგრამა2

კითხვაზე შეეფასებინათ საგნობრივ კომპეტენციაში მათი ცოდნა, ვიხილეთ შემდეგნაირი შედეგი: 40% გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ის „სავსებით კმაყოფილია“ პროგრამაში გავლილი საგნებით, 13, 3%-ისთვის მასწავლებელთა სამაგისტრო პროგრამაზე გავლილი კურსი“ არადამაკმაყოფილებლად შეფასდა და დარჩენილი 46, 7 %თვლის, რომ მათთვის” დამაკმაყოფილებელი იყო კურსზე მიღებული ცოდნა. გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება რომ კურსდამთავრებულების იმ ნაწილმა (არა აბსოლუტურმა უმრავლესობამ) რომლებიც აცხადებს რომ “სავსებით კმაყოფილია” ამ პროგრამით დაასრულეს ეს კურსი 2012-დან 2018 წლებში, რაც გვამღევეს იმის საფუძვლიანი ვარაუდის მიზეზს, რომ ამ პროგრამაზე გავლილი მასალა მათ დროთა განმავლობაში გამოიყენეს პრაქტიკაში, თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში და აქედან გამომდინარე შეაფასეს კურსის ხარისხი, ხოლო ის ნაწილი ვინც თვლის რომ კურსი იყო დამაკმაყოფილებელი მათ შორისაც არსებობს მეტნაკლებად ორაზროვანი და ბუნდოვანი დამოკიდებულება, ვგულისხმობთ კმაყოფილების ხარისხს, ზოგი ტერმინს” დამაკმაყოფილებელი” დადებით კონტექსტში განიხილავს და საუბრობს ლექტორების კომპენეტურობაზე,, მასალის ხარისხიანად მიწოდებაზე და ა. შ. მეორე ნაწილი კი აღნიშნავს, იმას რომ პროგრამას ჰქონდა მთელი რიგი ხარვეზები და საჭიროებს გაუმჯობესებას.ჩვენი ვარაუდით აღნიშნული გარემოება აიხსნება იმით, რომ

რესპოდენტებმა არჩევანი გააკეთეს“ სავსებით დამაკმაყოფილებელსა” და “დამაკმაყოფილებელს “ შორის და აქედან მათთვის ოპტიმალურივარიანტი აირჩიეს.

5.საგნობრივი მიმართულება

30 responses




დიაგრამა3

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი საგნობრივ კომპეტენციებში შემდეგნაირად ნაწილდება: 33.3-ინგლისური, 10% გერმანული, 16, 7 მათემატიკა 23, 3% გეოგრაფია, 13, 3% ქართული ენა და ლიტერატურა და 3,4 % ისტორია. როგორც ვხედავთ, უცხო ენა, (ინგლისური) სარგებლობს უპირატესობით რაოდენობრივი თვალსაზრისით, დანარჩენ საგნებში არც თუ ისე სახარბიელოდ არის წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი, რის მიზეზითაც დავინტერესდით პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს ჩაწერის დროს და მან ეს ყველაფერი საბაზრო მოთხოვნებით ახსნა.

6. მიმაჩნია, რომ ენის(ინგლისური, ქართული,გერმანული) სტრუქტურისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ საკმარის ცოდნას ვფლობ.



20 responses




დიაგრამა4

შემდგომ კუსრდამთავრებულებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ენის სტრუქტურისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ მათი ცოდნა, სადაც შემდეგი შედეგი მივიღეთ: 1.5 % ამბობს რომ იცის საგანი, (2), 35% (7) აცხადებს რომ “ კარგად იცის” და 60 (12)

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სტუდენტების ვინაობა არ იქნება გაცხადებული, რადგან მათ ეს კითხვარი შეავსეს გვარ -სახელების დართვით, რამოდენიმე მათგანმა არ ისურვა ვინაობის გამხელა და მათი პასუხები ცხადია კონფიდენციალურია, აქედან გამომდინარე გამოვთქვამთ საფუძვლიან ვარაუდს, რომ მათი პასუხები გულწრფელია და ისინი რეალურად ამგვარად აფასებენ აღნიშნულ კურსს.

7.შეაფასეთ ქართული ენის სწავლების მეთოდика

11 responses



დიაგრამა 5

რაც შეეხება საგნის მეთოდებში მიღებული ცოდნის შეფასებას ვიხილეთ შემდეგი შედეგი:


ქართული ენა და ლიტერატურა- (1) 9,1 % “ არ ვიცი”, (5) 45, 5 %-მა “ კარგად ვიცი”, (4) 45, 5 % -“ სრულყოფილად ვიცი”;

ინგლისური ენის სწავლების მეთოდика- (2) 18,2% -“ არ ვიცი”

8.შეაფასეთ ინგლისური ენის სწავლების მეთოდика



11 responses



დიაგრამა 6

(1) 9,1 % კარგად ვიცი, (8) 72.7 % “ სრულყოფილად ვიცი”;

(2)


(3) გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგია- (2) 50%- “ კარგად ვიცი” და 50% “ არ ვიცი”

9. შეაფასეთ გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგია

4 responses

11. შეაფასეთ მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია

5 responses




(4) დიაგრამა7

გეოგრაფია- (1) 20% “ არ ვიცი, (1) 20% -“ ვიცი” (2) 40% “ შემიძლია” (1) 20 % “ კარგად ვიცი” ;

10. შეაფასეთ გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგია

5 responses



დიაგრამა8

მათემატიკა (1) 20% “ არ ვიცი” (1) 20% “ კარგად ვიცი” (3) 60%- “ სრულყოფილად ვფლობ”


დიაგრამა9

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კუსრდამთავრებულთა უმრავლესობა საგნების მეთოდის ცოდნას დამაკმაყოფილებლად აფასებს.

რაც შეეხება პედაგოგის ზოგად საფუძვლებში გამოკითხულთა შეფასებას: (2) 6,7 “ არვიცი”, (4) 13, 3%- “ შემოიღია”, (18) 60% „კარგად ვიცი“, (6) 20% „სრულყოფილად ვფლობ”,

12. შეაფასეთ თქვენი ცოდნა პედაგოგის ზოგად საფუძვლებში

30 responses




დიაგრამა 10

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში საკმაოდ კარგი მაჩვენებელი გვაქვს იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თვლის რომ იცის საგანი.

კუსრდამთავრებულთა შეფასების მაჩვენებელი განვითარებისა და სწავლების თეორიაში ასეთია: (2) 6,7%” არ ვიცი”, (2) 6,7 % “ შემოიღია” (20) 60,75-“ კარგად ვიცი” (6) 20%- “ სრულყოფილად იცის,. ამ შემთხვევაშიც დადებითი შეფასება ვლინდება.

13. შეაფასეთ თქვენი ცოდნა განვითარებისა და სწავლების თეორიაში

30 responses




დიაგრამა11

განათლების ისტორია- (1) 3,3 5 “ ვიცი”. (8) 26,7% “ შემიძლია, (15) 50% “ კარგად ვიცი, (4) 13,3 “ არ ვიცი”

14.შეაფასეთ თქვენი ცოდნა განათლების ისტორიაში

30 responses




დიაგრამა12

განათლების სისტემები და მათი აგების სამართლებრივი საფუძვლები- (1) 3,4 %” არ ვიცი”, (2) 6,9% “ ვიცი, , (6) 20,7 “ შემიძლია”, (12) 41,4 5” კარგად ვიცი, (8) 27, % “ სრულყოფილად ვფლობ”

16.შეაფასეთ თქვენი ცოდნა განათლების სისტემებსა და მათი აგების სამართლებრივ საფუძვლებში

29 responses




დიაგრამა13

ამ შემთხვევაში იკვეთება საკმაოდ საინტერესო მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ საგანი იცის კარგად.

თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები- (1) 3,3 5 ვიცი, (13) 43. 3% “
 კარგად ვიცი,(9) 30 %- “ სრულყოფილად ვიცი)

17.შეაფასეთ თქვენი ცოდნა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში

30 responses




დიაგრამა14

პედაგოგიურ კვლევის მეცნიერულ მეთოდებშიც საკმაოდ ყურადსაღები პასუხები შემოგვთავაზეს: (1) 3,4 % -“ არ ვიცი, (2) 6,9 “ ვიცი, (5) 17, 2 შემიძლია, (15) 51,7 %”
 კარგად ვიცი” (6) 20%-“ სრულყოფილად ვფლობ”

18.შეაფასეთ თქვენი ცოდნა პედაგოგიური კვლევის მეცნიერულ მეთოდებში

29 responses




დიაგრამა15

გამოკითხული კუსრდამთავრებულების ნახევარზე მეტი თვლის , რომ საგანი იცის კარგად.

რაც შეეხება პრაქტიკის განხორციელების პროცესში წარმოქმნილ დაბრკოლებებს, ამ შემთხვევაში გამოკითხული სტუდენტების 33.3 % აცხადებს , რომ მათთვის


პროცესის დადგენა იყო პრობლემური საკითხი, 26, 7%-ისთვის- განმახორციელებელი მენტორი, 13,3 % თვლის რომ საორგანიზაციო საკითხები არიყო სათანადოდ მოგვარებული ხოლო სამსახურთან შეუთავსებლობას და დროის არ ქონას პრობლემატურ საკითხად ასახელებს სტუდენტთა 24%, მენტორთან ურთიერთობის ხარისხს კი შემდეგნაირად აფასებენ. 33.3 % თვლის რომ მატ კარგი მენტორი ჰყავდათ და 26, 7 პროცენტისთვის ის იყო” საუკეთესო, დარჩენილი პროცენტულიწილები ნაწილდება 6,7 5-ცუდი და 3,3” დამაკმაყოფილებელი. რაც შემდეგნაირად გამოისახა:

19.პრაქტიკის განხორციელების პროცესში მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორები იყო (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი) 📄
30 responses



რესპოდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ მენტორთან ურთიერთობის ხარისხი. შედეგები შემდეგნაირად გამოიკვეთა:

21. შეაფასეთ სკოლის მენტორთან თანამშრომლობა (1= ცუდი2 დამაკმაყოფილებელი 3= არც კარგი და არც ცუდი4= კარგი 5= საუკეთესო) 📄
30 responses




დიაგრამა

ჩვენს მიერ გამოკითხულ კურსდამთავრებულების 6,7%- ამ თანამშრომლობას არ აფასებს კარგად. 3,3%-ისთვის - სკოლის მენტორთან თანამშრომლობის პროცესი იყო დამაკმაყოფილებელი. 30% არ იხრება არც დადებითი და არც უარყოფითი მხარისკენ და ამჯობინებს ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ სავარაუდოდ რომ ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა.

და ბოლოს რაოდენობრივი კვლევის ბოლო კითხვა გახლდათ ის თუ როგორ აფასებდნენ კურსდამთავრებულები ხელმძღვანელთან თანამშრომლობის ხარისხს, შედეგები ასეთია: 33,3 %-“ცუდი” 6,6% “დამაკმაყოფილებელი, 3,3%-“არადამაკმაყოფილებელი, 56,7” ძალიან კარგი „30%-“ საუკეთესო, საკმაოდ სასიხარულო ფაქტს წარმოადგეს რომ სტუდენტთა თიქთმის აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია ხელმძღვანელთან თანამშრომლობის ხარისხით.

23. გთხოვთ, შეაფასოთ სამაგისტრო წაშრომის ხელმძღვანელთან თანამშრომლობის პროცესი

30 responses



დიაგრამა 17

დასკვნები

ჩვენს მიერ ჩატარებული თეორიული კვლევისა, კითხვარისა და ინტერვიუს ანალიზის საშუალებით მიღებული შედეგების შეჯამების საფუძველზე შესაძლებელია საკვლევი თემის ძირითადი დასკვნების გაკეთება.

გამოკითხული რესპოდენტების (46,7%) თვლის, რომ თსუ-ის სამაგისტრო პროგრამაზე “ მასწავლებელთა განათლება” მათი საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ცოდნა იყო “დამაკმაყოფილებელი”, 40%-ისთვის, კი “სავსებით დამაკმაყოფილებელი”. მათი პასუხების განმაპირობებელ არგუმენტებად გვთავაზობენ შემდეგს:

პროგრამით კმაყოფილების ხარისხი

როგორც კვლევის შედეგებიდან ვნახეთ პროგრამის კმაყოფილების ხარისხის შეფასებამ სტუდენტებმა ორაზროვანი დამოკიდებულება გამოკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა ნაწილი საუბრობს გარკვეულხარვეზზე, გადაჭარბების გარეშე შეგიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული სტუდენტების თითქმის 58 % კმაყოფილია პროგრამით, მიიჩნევენ, რომ მათი მოლოდინები გამართლდა, პროგრამაში გავლილ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით მათ თავდაჯერებულად შეძლეს დაედასტურებინათ მასწავლებლის კომპეტენცია, დადებით მახარებზე საუბრისას ამბობენ რომ მათთვის ყველაზე კარგად დასამახსოვრებელი იყო ის ლექტორი, რომლებიც ორინტირებულნი იყვნენ მეტად პრაქტიკული დავალების შესრულებაზე და თეორიული ცოდნის რეალიზებაზე, რისი დეფიციტიც ჩათვალეს პროგრამის უარყოფით მახასიათებლად გამოკითხულთა დარჩენილმა ნაწილმა.

- კომპეტენტური ლექტორები ;
- მეტი პრაქტიკული დავალებაა საჭირო;
- საუბრობენ რომ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე გამოწვევებს ბოლომდე ვერ პასუხობს მათ მიერ მიღებული

ცოდნა, მიუხედავად იმისა რომ შეისწავლეს ბევრი საინტერესო საგანი, მაგრამ პრაქტიკაში მიმდინარე პროცესებთან პირისპირ მაინც არასაკმარისი ბერკეტი აღმოჩნდა”;

- თვლიან რომ მოლოდინები გამართლდა,
- იყვნენ ლექტორები, რომლებიც რეალურად ცდილობდნენ მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებული ლექციები ჩაეტარებინათ, აკეთებინდნენ პრაქტიკულ აქტივობებს;
- სწავლების ხარისხი არის მაღალი ;
- არის საინტერესო კურსი, თუმცა ისურვებდნენ გადაახლებულიყოს საგნები, და არ იყოს სხვა საგნების გადაფარვის მცდელობა;
- აქ მიღებული თეორიული ცოდნა დაეხმარა ბევრ კურსდამთავრებულს პრაქტიკული მუშაობისას;
- “აქ ნასწავლით ვხელმძღვანელობ პროფესიული მუშაობისას თან საკმაოდ წარმატებულად”.
- “თსუ მასწავლებელთა განათლების პროგრამის ფარგლებში სწავლების ძველი თუ თანამედროვე მეთოდების ღრმა თეორიულმა შესწავლა და შემდგომში პრაქტიკაში გამოყენებამ ნამდვილად მომცა საშუალება დამედასტურებინა მასწავლებლის კომპეტენცია”
- “ ყველაფერი კარგად იყო ახსნილი ყველანაირ ლიტერატურასთან გვექონდა წვდომა, გადმოგვცეს ის აუცილებელი მასალა რაც მასწავლებელმა უნდა იცოდეს”
- ლექციების არა თანამედროვე მეთოდებით წარმართვა
- “იყო ხარვეზები, თუმცა ვთვლი, რომ მაინც დამაკმაყოფილებელია”

პრაქტიკის კურსის შეფასება

პრაქტიკის კურსის შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტუდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიციის დაფიქსირება, რომლებიც მიიჩნევენ რომ სკოლის ადმინისტრაცია მათ არ უქმნით სათანადო პირობებს, რათა სრულფასოვნად მოხდეს მათი თანამშრომლობა,საირგანიზაციო საკითხების მოუგვარებლობა აბრკოლებს პროცესი დაგეგმვას, რის გამოც ფერხდება

მათი მუშაობის პროცესი, კუსრდამთავრებულები ვერ ხსნიან თუ რითი იყო განპირობებული დირექტორების შიში გამოეკითხათ მასწავლებლები და სკოლის მოსწავლეები, რადგან მათ დაწვრილებით აუხსნეს მათი მივლინების მიზეზი და ანონიმურობის გარანტია მისცეს.

- ყველაზე რთული პროცესის დაგეგმვა იყო
- პრობლემას ქმნიდა დირექტორების მხრიდან არათანამშრომლობითი პოზიცია
- თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის არ არსებობა
- სისტემა სავსებით მოუწესრიგებელია

თუმცა ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ როგორც აღვნიშნეთ კურსდამთავრებულთა ნაწილი გახლდათ მოქმედი პედაგოგი და მათ არ მოუხდათ ცალკე პრაქტიკული კურსის გავლა და, აქედან გამომდინარე, მათ ამ მხრივ პრეტენზია არ გამოუთქვამთ და აღნიშნეს რომ პრაქტიკაში მათ დაბრკოლებები არ შექმნიათ.

გარდა ამისა მნიშვნელოვნად მიმაცნია დავაფიქსირო იმ რესპოდენტების აზრიც, რომლებიც კეთილგაწყობას ამჟღავნებდნენ სასკოლო პრაქტიკის პროცესის მიმართ.

- მიმაჩნია, რომ საკმარისად კარგად იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი და საორგანიზაციო საკითხებიც ჩემთვის მოგვარებული იყო
- სავსებიტ კმაყოფილი ვარ პრაქტიკული კუსრით
- მენტორი ჩემს მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა, მეხმარებოდა და რჩევებს მამლევდა

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ურთიერთობის ხარისხი

აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ სტუდენტები იყვნენ მეტნაკლებად ერთსულოვნები, რადგან 56% თვლის რომ ხელმძღვანელთან თანამშრომლობის ხარისხი იყო "მაღიან კარგი" რის განმაპირობებელ მოტივაცდაც ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ხელმძღვანელების ნაწილი ახერხებდა მუდმივად გაეწია მონიტორინგი სტუდენტისთვის ნამუშევრის დაწერის პროცესში, მიეცა სათანადო რჩევები და რეკომენდაციები, ზოგიერთმატოგანი ხელმძღვანელის მხრიდან დახმარებას ტექნიკური საკითხების მოგვარებაში ხედავს, ნა-

წილს მიაჩნდა რომ ჰყავდა მათი ხელმძღვანელი გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და მუდმივად გრზნობდა მის თანადგომას.

- ნაშრომის ხელმძღვანელი ძალიან ყურადღებიანი იყო და მუდმივად უწევდა მონიტორინგს ჩემი თეზისის დაწერის პროცესს
- ნაშრომის ხელმძღვანელი საჭიროების შემთხვევაში მამლევდა რჩევებს და მეხმარებოდა
- მუდმივად მიწევდა დახმარებას ნაშრომის დაწერის პროცესში
- ჩემი ხელმძღვანელი იყო კომპეტენტური ლექტორი და, ნებისმიერ ჩემთვის

პრობლემურ საკითხთან მიმართებით მზად იყო დამხმარებოდა

გარდა ამისა, ცხადია რომ მნიშვნელოვანია აღნიშნოს გამოკითხული სტუდენტების იმ ნაწილის პოზიცია რომლებიც ნაშრომის ხელმძღვანელთან ურთოიერთობობის ხარისხს არ მიიჩნევდნენ დამაკმაყოფილებლად

- არ იჩენდა ყურადღებას
- ხელმძღვანელის დროის გრაფიკიარ იყო მორგებული ჩემზე
- ძირითადად მე მიწევდა გავმკლავებოდი იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვებოდა ნაშრომის წერის დროს
- ჩემი ხელმძღვანელი მუდმივად დაკავებული იყო და იშვიათად მაქცევდა ყურადღებას.

და ბოლოს გვიძლია ავსახოთ ის დასკვნები, რომლებიც გამოვლინდა გამოკითხულთა სტუდენტების პასუხებიდან პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით, გამოკითხული სტუდენტების თვალსაზრისი იყო ერთმნიშვნელოვანი პროგრამაში თანამედროვე ელემენტების შეტანის თაობაზე, გამოთქვეს მოსაზრება, რომ მიუხედავად ზოგიერთი ლექტორის დაუოკებელი მცდელობისა კურსში შეეტანა თანამედროვე დეტალები, მათ ამის შესაძლებლობას არ აძლევდა ძველმოდური ლიტერატურა. საუბრობენ პროგრამის გადახალისებაზე, ბავშთა ფსიქოლოგიის კუთხით მეტ ყურადღების დათმობაზე, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პრაქტიკული დავალებების დეფიციტი, ისურვებდნენ რომ ეს საკითხი სამომავლოდ ყოფილიყოს გათვასიწინებული. გარდა ამისა პროგრამის გაუმჯობესების

გზას ხედავენ ახალი კადრების მოზიდვასა და თანამედროვე ხედვებით კურსის წარმართვაში.

➤ პროგრამის გაუმჯობესების მხრივ ვისურვებდი უფრო მეტ კვალიფიციურ კადრს

➤ პროგრამას ვუსურვებ უფრო მეტად თანამედროვე ელემენტებით უზრუნველყოფას

➤ აუცილებელია სიახლეების დანერგვა, ვფიქრობ ისტორიას არ უნდა ეთმობოდეს ამდენი დრო ან უნდა მოხდეს სათანადოდ ამის შერწყმა თანამედროვეობასთან

➤ ვურჩევდი პრაქტიკული სამუშაოებით პროგრამის დატვირთვას.

➤ ბავშვთა ფსიქოლოგიის მიმართულებით პედაგოგიკის სტუდენტთა ღრმა განათლება

ზემოთხსენებულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა გამოთქვამს კმაყოფილებას თსუ სამაგისტრო პროგრამით“ მასწავლებელთა განათლების მიმართ“, თუმცა ისურვებდნენ რომ ყოფილიყო უფრო მეტი პრაქტიკული სწავლება, რათა უფრო უკეთესად მოემზადონ სკოლაში შესასვლელად, იყო რესპოდენტების ნაწილი, რომელმაც გამოთქვა სურვილი პრაქტიკის ხანგრძლივობა ერთი სემესტრის ნაცვლად ორ სემესტრზე ყოფილიყო გადანაწილებული. გარდა ამისა, ისურვებენ რომ პროგრამაში არ იყოს ისეთი საგნები რომლებიც არ არის კონკრეტულ მიზნებს მორგებული, აღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევიმუშავოთ რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობთ რომ დადებითად აისახება პროგრამის განვითარებაზე სამომავლოდ და მის გაუმჯობესებაში შეიტანს წვლილს.

რეკომენდაციები

- სასურველია, სკოლის ადმინისტრაციასთან შესაბამისი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რათა გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები, გატარდეს კონკრეტული ქმედებები, რათა სამომავლოდ აცილებული იქნას მსგავსი პრობლემები სკოლაში;
- სასურველია პრაქტიკის კურსი გახანგრძლივდეს ორი სემესტრის მანძილზე;
- აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ ისეთ საგნებზე, რომლებიც მორგებული იქნება პრაქტიკულ მიზნებს და შედეგზე იქნება ორიენტირებული
- სასურველია შეიზღუდოს მოძველებული ლიტერატურის გამოყენება სასწავლო პროცესში და ის ჩანაცვლდეს თანამედროვე ლიტერატურით
- აუცილებელია სიახლეების დანერგვა,
- პროგრამის გაუმჯობესების მხრივ ვისურვებდი უფრო მეტ კვალიფიციურ კადრს
- სასურველია ბავშვთა ფსიქოლოგიის მიმართულებით პედაგოგიკის სტუდენტთა ღრმა განათლება
- სასურველია პრაქტიკის და თეორიის მჭიდრო ურთიერთ კავშირი
- პროგრამის უზრუნველყოფა თანამედროვე ლიტერატურით
- ისეთი საგნების ამოღება სასწავლო კურსიდან , რომლებიც გარკვეულწილად ფარავენ სხვა საგნებს
- სკოლებთან ურთიერთობის დასტაბილურება, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, 3 ტომი, თბ., 1974
2. დარგობრივი მახასიათებელი 2011.2018
3. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
4. ვ. გაგუა, სახალხო განათლება მე-19 საუკ. რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ., 1974
5. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი -
6. ზ. ქიტიაშვილი ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში 1991-2013 წლები, უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი. 2016
7. ი. ჭკუასელი, ჟურნალი “განათლება” და მისი ადგილი ქართული
8. პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში, თბ., 1981
9. ლ. მენტეშაშვილი მეცნიერება და ცხოვრება 2013
10. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
11. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, შენიშვნები და რეკომენდაციები ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი, მარინე გოგნელაშვილი, 2014
12. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია“ 2006. 9 თებერვალი
13. მათი მერი, "ცვალებადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მასწავლებლისადმი" ფინეთის უნივერსიტეტის დოქტორი.
14. ო. ქინქლაძე, ქართულიდემოკრატიულიპედაგოგიკისჩამოყალიბება, თბ., 1974 Article received: 2009-06-09
15. ს. სიგუა, სახალხო განათლება რევოლუციამდე საქართველოში, თბ., 1969 ქართული პედაგოგიკის ისტორია, გ. სიხარულიძის რედაქტორობით, თბ., 1974
16. ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1988 6. ვ. ქაჯაია, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თბ., 1973
17. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთულერთშეწყობა ევროპაში II უნივერსიტეტების წვლილი ბოლონის პროცესში ხულია გონზალესი, რობერტ ვაგენაარი 2005
18. ქ. ჭკუასელი” მასწავლებელთა განათლების ისტორია საქართველოში “2009

19. ქ. ჭკუასელი „საზრისი“ „პედაგოგის პროფესიული ხელოვნების ასპექტები“ 2005 (92-106)

a. მასწავლებლობა, პროფესია თუ მოწოდება, ირინე ხატიაშვილი 2014.

- <http://asiasociety.org/files/lwtw-teachersummit.pdf>
- <https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/36bde79d-6351-489a-9986-d019efb2e72c>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78> ნანახია 31.05.2019
- <https://www.tlu.ee/en/eduinno#course-outline>
- <http://documents.worldbank.org/curated/en/235831548858735497/Successful-Teachers-Successful-Students-Recruiting-and-Supporting-Society-s-Most-Crucial-Profession.pdf?fbclid=IwAR1pE1OwiY1SzcjCiFYtP7yo6wqaK1OABQ6jFWKso9Q07VUtFiMS83D6HYM>
- https://bsu.edu.ge/upload/universitetebis_cvrili_bol_processhi_II.pdf?fbclid=IwAR21apcyPQUb6QLEonwt9agIIVjvH8hQX8BPraZug00W7GikWkix3wrs
- <http://ncee.org/what-we-do/center-on-international-education-benchmarking/top-performing-countries/estonia-overview/estonia-teacher-and-principal-quality/?fbclid=IwAR1pE1OwiY1SzcjCiFYtP7yo6wqaK1OABQ6jFWKso9Q07VUtFiMS83D6HYM>
- http://schooleruditi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=60&Itemid=71&fbclid=IwAR31SnfkUn4P4aD-FQLpjqpD5LTBmEju5sBy08q6wveX6YgF9djk1ND5beg

https://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/eJournal/Papers/PutkaradzeMindia.pdf?fbclid=IwAR1q0GYk67-C1rY_jO54-QqZi646gN4rS97W_WToWn2OUUK_fEK56er5WWg

http://entep.unibuc.eu/wp-content/uploads/2017/07/NAT_REPORTS_KRUEGER.pdf?fbclid=IwAR0zwR4NMJfuza7MnAwYwS7HbqI8rsFRoHKC4daP4xJdEi_EfnrEiEtCZ7g

https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/786856/DFE_Teacher_Retention_Strategy_Report.pdf?fbclid=IwAR1aE8OPzu8r-3RgqPcoilpm6MEo4loLqMSmpkyJjjFhsOfUuRxfNZIUwY

http://documents.worldbank.org/curated/en/235831548858735497/Successful-Teachers-Successful-Students-Recruiting-and-Supporting-Society-s-Most-Crucial-Profession.pdf?fbclid=IwAR2l-WBot8rFPsUID_JnBxNyz_sLahoBAF-H6wuQHkwm1Mo8j4_4fQXWOOo

<https://www.uni-bremen.de/en/studies/orientation-application/study-programs/teacher-education-at-the-university-of-bremen/gymnasiumoberschule/>

<https://www.uv.es/uvweb/master-secondary-education-teaching/en/master-s-degree-programme/curriculum/curriculum-1285886102408.html>

<https://www.tlu.ee/en/eduinno#why-school-of-educational-sciences>

<https://www.internationalhu.com/confirmation-brochure-parttime>

<https://www.internationalhu.com/master-programmes/teacher-education-in-german/during-the-programme>

დანართი N 1.

მასწავლებელთა განათლების "სამაგისტრო პროგრამის გამოწვევები და პერსპექტივები

მვირფასო სტუდენტებო, კვლევას ვატარებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. კვლევის მიზანია თსუ-ის „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შესწავლა და პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

გახსოვდეთ, რომ კონფიდენციალურობა დაცულია.

გთხოვთ, გულახდილად უპასუხოთ შეკითხვებს:

1.სახელი და გვარი

2. როდის დაასრულეთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამა?

საგნობრივი კომპეტენციების ბლოკი

(ამ ბლოკში კითხვებზე პასუხი სავალდებულოა, თქვენ მოგეთხოვებათ უპასუხოთ თქვენი საგნის კომპეტენციის ფარგლებში.)

3. გთხოვთ, შეაფასოთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საგნობრივი კომპეტენციების ბლოკის საგნებში მიღებული ცოდნა.

4.გთხოვთ განმარტოთ თქვენი პასუხის განმაპირობებელი მოტივი

საგნის სწავლების მეთოდის ბლოკი

ამ ბლოკში იგულისხმება ის საგნები, რომელთა მეთოდებიც შეისწავლეთ . შეფასებისას გაითვალისწინეთ. 1 =არ ვიცი 2= ვიცი 3= შემძლია 4 =კარგად ვიცი 5= სრულყოფილად ვფლობ)

5. საგნობრივი მიმართულება

6. მიმაჩნია, რომ ენის (ინგლისური, ქართული, გერმანული) სტრუქტურისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ საკმარის ცოდნას ვფლობ.

7.შეაფასეთ ქართული ენის სწავლების მეთოდიკა

8. შეაფასეთ ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა

9. შეაფასეთ გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგია
10. შეაფასეთ გეოგრაფიის სწავლების მეთოდოლოგია
11. შეაფასეთ მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგია
პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის ბლოკი
12. შეაფასეთ თქვენი ცოდნა პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებში
13. შეაფასეთ თქვენი ცოდნა განვითარებისა და სწავლების თეორიებში
14. შეაფასეთ თქვენი ცოდნა განათლების ისტორიაში
- 15 შეაფასეთ თქვენი ცოდნა განათლების სისტემებსა და მათი აგების სამართლებრივ საფუძვლებში
16. შეაფასეთ თქვენი ცოდნა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში
17. შეაფასეთ თქვენი ცოდნა პედაგოგიური კვლევის მეცნიერულ მეთოდებში
პედაგოგიური პრაქტიკა
- 18.პრაქტიკის განხორციელების პროცესში მტავარი ხელის შემსლელი ფაქტორი იყო(შეგიძლიათ მინიშნოთ რამოდენიმე პასუხი)
- 19.გთხოვთ განმარტოთ თქვენი პასუხის განმაპირობებელი მოტივი
- 20.შეაფასეთ სკოლის მენტორთან თანამშრომლობა
21. .გთხოვთ განმარტოთ თქვენი პასუხის განმაპირობებელი მოტივი
კვლევითი კომპეტენციების ბლოკი
22. გთხოვთ შეაფასოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან თანამშრომლობის პროცესი
23. .გთხოვთ განმარტოთ თქვენი პასუხის განმაპირობებელი მოტივი
24. შეაფასეთ „მასწავლებელთა განათლების“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევები
25. რას ურჩევდით პროგრამის მესვეურთ მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით?